საქართველოს ხელისუფლებას ეროვნული დაუმორჩილებლობით ემუქრება A2

თბილისს გაზი, მინიმუმ, თვენახევრით შეუწყდა A4

თბილისის ჯაზ-ფესტივალის ფინალური აკორდი B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 27 ივნისი, 2002 წელი. №25

ფასი 50 თეთრი

# „მოსახლეობაში უნდობლობის ხარისხი კულმინაციას აღწევს"

### ამბობს ავთანდილ ჯორბენაძე და ცდილობს, შევარდნაძის პარტიას სული ხელახლა შთაბეროს

## მთავრობა „მოქალაქეთა კავშირში" შედის

*თუ ცივილიზებულ ქვეყნებში ჯერ პარტია იმარჯვებს არჩევნებში და მერე აკომპლექტებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, ჩვენში ყველაფერი უკუღმაა.*

თამარ ხორბალაძე

საქართველოს მთავრობა მოქალაქეთა პარტიაში შესასვლელად ემზადება.

როგორც ჩანს, **"ზოგიერთი მინისტრის იქ არ დგომის"** შესახებ გაკეთებული ჯორბენაძისეული განცხადება, მინისტრებმა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგეს (ან გააგებინეს, მაგრამ ეს შედეგს არ ცვლის).

სახელმწიფო მინისტრმა გუშინ არ დააკონკრეტა იმ "ახალი პარტიული სახეების" ვინაობა, ვინც მომავალ შაბათს, პარტიულ ყრილობაზე, მოქალაქეთა კავშირის რესტავრირებულ ფასადს წარმოადგენენ. მან, უბრალოდ, აღნიშნა, რომ ისინი "**ძალიან საინტერესო ადამიანები არიან**".

სამაგიეროდ, ახალი პარტიული ორიენტაცია არ დაუმალავს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს აკაკი ზოიძეს, რომელმაც "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ პარტიის წევრიცაა და ყრილობის დელეგატის მანდატიც აქვს. მანვე გაგვიმხილა, რომ მთავრობაში ბევრი, ვისაც **"პარტიული მიმართულება არჩეული აქამდე არ ჰქონდა"**, განახლებული "მოქალაქეთა კავშირის" რიგებში ეწერება. სახელმწიფო მინისტრის მოადგილე საკუთარ და

გაგრძელება A3 გვერდზე



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

## მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად არაფერი გაკეთებულა

თამარ მაისურაძე

*თბილისში მომხდარი მიწისძვრიდან ორი თვის შემდეგ სახელმწიფო აღიარებს, რომ დაზარალებულთა დასახმარებლად არაფერი გაკეთებულა; რომ ორი თვის მანძილზე მუშაობა საკმაოდ არაორგანიზებულად მიმდინარეობდა და დღემდე არ არსებობს კონკრეტული გეგმა კონკრეტული სამუშაოების შესასრულებლად. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე აცხადებს, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც შეეძლო.*

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ შეხვედრაზე ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები სახელმწიფო მინისტრს ორი თვის ანგარიშს აბარებდნენ. მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის შტაბის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ჯორბენაძის მოადგილე კაკი ზოიძე, რომლისგანაც შევიტყვეთ, რომ ფონდის ანგარიშზე 900 ათასი ლარია. ზოიძეს ქალაქის მერი ვანო ზოდელავა შეენაცვლა და სახელმწიფო მინისტრს განუცხადა, რომ ქალაქის ბიუჯეტიდან ფონდში 5 მილიონი ლარის გადარიცხვას აპირებენ. ამას დაემატება მილიონ ნახევარი ლარი პრეზიდენტის ფონდიდან, 3 მილიონი ლარი სუფსიდიების სახით, კიდევ 3 მილიონი მცირე ბიზნესის განვითარების ფონდიდან და 500 ათასი დოლარი, რომელსაც ბანკი "ქართუ" გადარიცხავს. **"იმედი მაქვს, რომ გაერო**

გაგრძელება A3 გვერდზე

ვარიაციები თემაზე - რამდენი ჩეჩენი ლტოლვილი ცხოვრობს საქართველოში A3

რამდენად თავისუფალია საქართველოში ეკონომიკა A4

ჯორბენაძე ახალ კანცელარიას აყალიბებს A4

წამების იარაღები თბილისის ქუჩებში A7

38 გრადუსიანი სიცხე გვიახლოვდება B6

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 28 |
| ქუთაისი | 24 |
| ბათუმი | 22 |
| სოხუმი | 22 |
| ფოთი | 23 |
| თელავი | 28 |
| ზუგდიდი | 24 |
| გორი | 23 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2100 |
| ევრო | 2.0750 |
| ფუნტი სტერლინგი | 3.2214 |
| რუბლი | 0.0807 |

## იგორ გიორგაძე: ჩვენ შევარდნაძის მთელი კლანი უნდა გავასამართლოთ. ქართველი ხალხისათვის ეს აუცილებელია

### „როსიისკაია" გაზეტამ იგორ გიორგაძის საპრეზიდენტო პროგრამა გამოაქვეყნა

რუსიკო ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსეთ-საქართველოს შორის მორიგი სკანდალია: რუსეთის ხელისუფლების მთავარმა ორგანომ „როსიისკაია გაზეტამ" 26 ივნისის ნომერში გამოაქვეყნა ინტერვიუ საქართველოს უშიშროების ექს-შეფ იგორ გიორგაძესთან.

მასალა პირველ გვერდზე იწყება და მთელი მეოთხე გვერდი ეთმობა. ინტერვიუს გაზეთი გიორგაძის უზარმაზარი პორტრეტით აძლევს.

მოსკოვში ეს გაზეთი ოფიციოზად ითვლება და კრემლთან შეუთანხმებლად, ბუნებრივია, იქ მასალები არ თავსდება. გაზეთი დიდი პოპულარობით სარგებლობს ხელისუფლების სტრუქტურებში.

გაგრძელება A8 გვერდზე

## ცრუ მანევრი თუ, უბრალოდ, მოძრაობის დემონსტრირება

### ხმაურით დაწყებული და უშედეგოდ დასრულებული სპეცოპერაცია

სოფიკო ჩხაიძე

გუშინ პიტერ შოუ უნდა გაეთავისუფლებინათ. თითქოს სწორედ ამის იმედს იძლეოდა მაღალჩინოსან სამართალდამცველთა შეფარული კომენტარები, საჯაროდ "გასაიდუმლოებული" სპეცოპერაციის მოლოდინი, მასმედიის ხელში "შემთხვევით" ჩავარდნილი ფოტორობოტების გამოქვეყნება.

მოლოდინი არ გამართლდა. პოლიციის მხრიდან კონსპირაციულად დანაპირები სპეცოპერაცია, რომელსაც, ყველა ნიშნის მიხედვით, პიტერ შოუს გათავისუფლება უნდა მოჰყოლოდა, ხალხს სასაცილოდაც არ ეყო.

"გამარჯობათ, პიტერ შოუ თქვენთან ხომ არ არის?" -- დაახლოებით ასე მიმართავდა დილაადრიან კარს მიმდგარი პოლიცია დიდი დიღმის გაკვირვებულ მცხოვრებლებს. მათი გაკვირვება გასაგებია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში დედაქალაქის ამ გარეუბანში მცხოვრებნი სამართალდამცველთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მიეჩვივნენ, უთენია საკუთარი ბინის ზღურბლზე ავტომატიანი პოლიციელების დანახვა, დამეთანხმებით, დღის კარგ დასაწყისად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. არადა, სწორედ ასე დაიწყო გუშინდელი დღე დიდი დიღმის მე-3 და მე-4 მიკრორაიონების მცხოვრებთათვის.

გაგრძელება A7 გვერდზე

## ბრაზილია მეორე ფინალისტია!



REUTERS

## რაში ფლანგავენ დროს პარლამენტარები

### 2002 წლის განვლილ პერიოდში პარლამენტმა მხოლოდ ხუთი კანონი მიიღო

თამარ ხორბალაძე

**"საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას..."** – ამ სიტყვებით იწყება საქართველოს პარლამენტის ცნების განმარტება საქართველოს კონსტიტუციაში, რაც მარტივად იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის მთავარი და ძირითადი ფუნქცია სწორედ კანონშემოქმედებაა, თუმცა...

საქართველოს პარლამენტმა ბოლო წლებში დამკვიდრებულ ტრადიციას წელსაც არ უღალატა და საგაზაფხულო სესია ისე დაასრულა, დღის წესრიგში შესული კანონპროექტების უმეტესობის განხილვა ვერ მოასწრო.

ან კი რას მოასწრებდნენ, როცა პარლამენტარებს პოლიტიკურ დებატებსა და კინკლაობაში ჰქონდათ დღეები გასაყვანი, საპარლამენტო სკამები ჰქონდათ გადასანაწილებელი, საპარლამენტო კაბინეტები და მანქანები – გასაყოფი, ახალი პოლიტიკური რეალობა – გასაფორმებელი.

ახლა რიგგარეშე სხდომას იწვევენ და დღის წესრიგში "აუცილებლად დასამტკიცებელ კანონპროექტებს", მაგრამ ეს ფაქტი ვერ ცვლის დღევანდელი მოწვევის პარლამენტის მუშაობის იმ შედეგს, რომლის სტატისტიკაც საქართველოს "კანონშემოქმედთა"

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B1 ფეხბურთი B4 კულტურა B5 კულტურა B6 საზოგადოება B7 სტილი B8 სხვადასხვა

# ბალტიისპირეთის სამხედრო გამოცდილება ჯარისთვის და საქართველოს მთავრობისთვის

კობა ლიკლიკაძე,
"რადიო თავისუფლება",
სპეციალურად "24 საათისთვის"


დავით თევზაძე და ლინას ლინკიავიჩუსი
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

***26 ივნისს თბილისში ორდღიანი ვიზიტით ლიტვის თავდაცვის მინისტრი ლინას ლინკიავიჩუსი ჩამოვიდა. ვიზიტის ფარგლებში ლინკიავიჩუსი საქართველოს პრეზიდენტსა და სახელმწიფო მინისტრს შეხვდება, მანამდე კი ორი ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა თბილისში ხელი მოაწერის შეთანხმებას სამხედრო განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის მეთერთმეტე წლის თავზე, საქართველომ პირდაპირი სამხედრო თანამშრომლობა ბალტიისპირეთის ყველა სახელმწიფოსთან დაამყარა. თუმცა, იმის მიღება, რასაც საქართველო ამ თანამშრომლობისგან ელოდება, ხელშეკრულებების გარეშეც მშვენივრად შეიძლებოდა.***

საქართველოსა და ბალტიის ქვეყნებს ერთმანეთთან არ აქვთ საერთო საზღვარი, მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები. სამხრეთ კავკასიაც, მოუგვარებელი ეთნიკური თუ პოლიტიკური კონფლიქტებით, აშკარად განსხვავდება ბალტიის რეგიონისგან, რომლის სამივე სახელმწიფოსთვის უცხოა ტერიტორიული პრეტენზიები. მეტიც, ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს ერთმანეთთან ყველა სფეროში მჭიდრო კავშირურთიერთობები და სტრატეგიული ხედვა აკავშირებთ. დამოუკიდებლობის ათი წლის განმავლობაში სამივე სახელმწიფომ წარმატებით გაართვა თავი გარდამავალი პერიოდის ყველა გამოწვევას და, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ნატო-ს მომავალ სამიტზე, რომელსაც ნოემბერში პრაღა უმასპინძლებს, ბალტიის სამივე ქვეყანა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობისგან ოფიციალურ მოწვევას მიიღებს.

სამწუხაროდ, საქართველო გვიან იწყებს ბალტიური გამოცდილების გაზიარებას და სასინჯად სამხედრო სფეროს იღებს. მაგრამ, თუ 2000 წლამდე თანამშრომლობა ძირითადად სამმხრივ ფორმატში, დიდი ბრიტანეთის თანადაფინასებით მიმდინარეობდა, 2001 წლის აპრილ-სექტემბერში სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობა ჯერ ესტონეთთან და ლიტვასთან დამყარდა, წრე კი 2002 წლის 28 მაისს ლატვიის რესპუბლიკასთან ხელმოწერილი შეთანხმებით შეიკრა. საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბალტიისპირეთის ქვეყნებთან სამხედრო თანამშრომლობის მთავარ ამოცანად სწორედ მათი უნიკალური გამოცდილების შეძენას ასახელებს.

**"უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ქვეყნებმა, სამხედრო თვალსაზრისით, ნატოსთან ინტეგრაციის პრობლემები, პრაქტიკულად, დაძლიეს და ამ მხრივ შეუძლიათ, გარკვეულწილად, ჩვენც გაგვიწიონ დახმარება. მეტიც, მათ აქვთ უნიკალური გამოცდილება რუსეთის სამხედრო ბაზების თავიანთი ქვეყნებიდან უმტკივნეულოდ გაყვანისა. არ დაგიმალავთ, ამ გამოცდილებას ჩვენც ყურადღებით ვსწავლობთ,"** - განაცხადა ოთხშაბათს გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ.

თუმცა, ამ გამოცდილების გაზიარება მოკრძალებულად იწყება. 26 ივნისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ხელმოწერილი ორმხრივი შეთანხმება ბალტიისპირეთის ქვეყნების გაერთიანებულ სამხედრო კოლეჯში მხოლოდ ერთი ქართველი ოფიცრის სწავლებას ითვალისწინებს. თავის მხრივ, წელს ესტონეთის რესპუბლიკა საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიას საწვრთნელ სიმულიატორს გადასცემს. გარდა ამისა, ლიტვამ, როგორც ნატო-ს მომავალმა წევრმა სახელმწიფომ, გამოთქვა მზადყოფნა, იყოს ინიციატორი ნატო-ს წევრ სახელმწიფოებთან საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების თვალსაზრისით. ბუნებრივია, პრიორიტეტი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ერთობლივ რეგიონულ პროექტებს მიენიჭება. რეგიონული თანამშრომლობის უპირატესობაზე ყურადღება ლიტვის თავდაცვის მინისტრმა ლინას ლინკიავიჩუსმაც გაამახვილა.

**"ჩვენი თანამშრომლობისთვის დიდი სივრცე და კარგი პერსპექტივა არსებობს. თუმცა, დღეს ხელმოწერილი შეთანხმება მხოლოდ მცირე ნაწილია შესაძლო ორმხრივი თანამშრომლობის ფართო სპექტრისა. ვინ იცის, იქნებ გარკვეული სახის რეგიონული თანამშრომლობის პროგრამებისთვისაც გამოიძებნოს მასში ადგილი. ჩვენ ბედნიერები ვიქნებით, თუკი ბალტიის რეგიონის გამოცდილების გაზიარებას, საქართველოსთან ერთად, სამხრეთ კავკასიის რეგიონის სხვა ქვეყნებიც მოისურვებენ",** - განაცხადა ლინას ლინკიავიჩუსმა.

საქართველოს თავადაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს უფროსის, პაატა გაფრინდაშვილის განცხადებით, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობაში წელს კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა. მიმდინარე წლიდან საქართველოსთვის უსაფრთხოების საკითხებში არსებული მრჩეველთა საერთაშორისო საბჭო გაფართოვდა და მის წევრად დაინიშნა ესტონეთის რესპუბლიკის ყოფილი თავდაცვის მინისტრი იური ლუიკი, რომელიც თავის ქვეყანაში წარმატებული სამხედრო რეფორმების ერთ-ერთი ავტორი გახლდათ. ლატვიიდან კი ამავე საბჭოს არის ლეიჯონსი დაემატა, რომელიც არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის საკითხებით იქნება დაკავებული.

**"ახლა უკვე ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. იმიტომ, რომ ნებისმიერი მისალები და კარგი წინადადებისა თუ ინიციატივის შემთხვევაში, ჩვენი ბალტიისპირელი კოლეგები მზად არიან, დახმარება აღმოგვიჩინონ და ჩვენს წინადადებებს ლობირება გაუწიონ."**

გაფრინდაშვილის ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ არავინ ამბობს მთავარს, რომ ბალტიისპირეთის უნიკალური გამოცდილება სხვა არაფერია, თუ არა უარის თქმა ძველ სტერეოტიპებზე, პოლიტიკური ნება სტრატეგიული კურსის განსაზღვრისას და სამხედრო დახმარების მიზნობრივი გამოყენება იმ რაოდენობის სამხედრო ძალაზე, რისი შენახვაც სახელმწიფოს ბიუჯეტს შეუძლია. ასე რომ, მთავარი პრობლემა გამოცდილების ნაკლებობა კი არაა, არამედ ის, თუ რამდენად არის საქართველოს ხელისუფლება მზად, გაიზიაროს ამგვარი გამოცდილება.

# სააკაშვილი ხელისუფლებას ეროვნული დაუმორჩილებლობით ემუქრება

თამარ მჭედლიშვილი

**გუშინ ნაციონალურმა მოძრაობამ კვლავ სასამართლოს მიმართა. ნაციონალების მტკიცებით, საოლქო სასამართლომ შედეგების გადასამოწმებლად ცესკოს 10 დღე მისცა და არჩევნების შედეგების ოქმის მოქმედების ვადა გააგრძელა. როგორც კობა დავითაშვილი აცხადებს, მეორე დღესვე იმავე სასამართლო კოლეგიამ სახლხოელებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების სარჩელის განხილვისას კვლავ შეაჩერა შედეგების ოქმის მოქმედება. ნაციონალები სწორედ ამ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ და ამბობენ, რომ სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილება უნდა აღასრულოს და თბილისის საკრებულოს უნდა მისცეს მუშაობის უფლება.**

ამ დროს კი სტრასბურგში მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა ცალსახად განაცხადა, რომ, თუ თბილისის საკრებულო არ დაიწყებდა ფუნქციონირებას, მისი პარტია უკვე საყოველთაო დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებდა მოსახლეობას.

არჩევნების მეორე გამარჯვებული, ლეიბორისტული პარტია, პირიქით – თავად "ნაციონალებს" ადანაშაულებს მოვლენების ამგვარ განვითარებაში და აცხადებს, რომ სააკაშვილი ისეთივე ოლიგარქია, როგორც მთელი ხელისუფლება.

მოკლედ, სააკაშვილისა და ნათელაშვილის დაახლოება კვლავ გაუცხოებით მთავრდება. ოფიციალურად "ნაციონალები" "ლეიბორისტებთან" დისკუსიის გამართვას არ ცდილობენ. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, მათ ნათელაშვილთან დაკავშირება და გულახდილი საუბარი უშედეგოდ სცადეს.. **"საუბარი არ შედგა. იგი აშკარად დაგვემალა,"** – გვითხრა კობა დავითაშვილმა, თუმცა იქვე დასძინა: **"ამ შემთხვევაში მათი სამიზნე არა ნათელაშვილი, არამედ პრეზიდენტი და სახელმწიფო მინისტრია, როგორც არჩევნების მთავარი გამყალბებლები."**

ეროვნული დაუმორჩილებლობის იდეა კი კვლავ დღის წესრიგშია. მართალია, მიხეილ სააკაშვილის განცხადება თბილისში მყოფი პარტიული კოლეგებისთვის, პრინციპში, მოულოდნელი აღმოჩნდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, მას პარტიის ყველა წევრი დაეთანხმა.

**- როცა ხელისუფლება კანონს არ ცნობს, პარტიებს, მოსახლეობას დაუმორჩილებლობის გარდა არაფერი რჩებათ. დასკვნაც ერთია - ჯერ უნდა წავიდეს ეს ხელისუფლება და მერე ჩატარდეს სამართლიანი არჩევნები. თუ არ დაისაჯა მთავარი გამყალბებლები, მაშინ იგი ყველა შემდგომ არჩევნებს გააყალბებს და ხალხის ნებას არად ჩააგდებს. მთავარი გამყალბებლები, რა თქმა უნდა, პრეზიდენტი და სახელმწიფო მინისტრია. ჩვენი სამიზნე ხელისუფლებაა. ჯორბენაძის სცენარით არჩევნები შემოდგომამდე უნდა გადაიდოს და მასში მის მიერ მომძლავრებულმა ძალამ გაიმარჯვოს",** - ამბობს კობა დავითაშვილი.

**- დაუმორჩილებლობა პროტესტის პასიური ფორმაა. ამის უფლება ყველა პოლიტიკურ პარტიას აქვს. როცა ჩვენი ლიდერი ამას აცხადებდა, ეს ერთგვარი გაფრთხილება იყო. ფლორიდაში ერთ თვეში გადაამოწმეს არჩევნების შედეგები. რატომ არ უნდა ეყოთ ერთი თვე თბილისში? იმიტომ, რომ ამის გაკეთება არავის სურს. "ცესკო" მიიღებს არჩევნების გაყალბების გადაწყვეტილებას. ჩვენი პროტესტი პასიური იქნება. ვაპირებთ გავაგებინოთ მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომ საქართველოში დემოკრატიას პრობლემები აქვს,** - აცხადებს სააკაშვილის მეორე თანაგუნდელი **კოტე კემულარია.**

24 საათი შეეცადა, გამოთქმულ ბრალდებებთან დაკავშირებით, გასაუბრებოდა სახელმწიფო მინისტრს **ავთანდილ ჯორბენაძეს,** მაგრამ მან მხოლოდ ის განაცხადა, რომ **სახელმწიფო კანცელარია არ ერეოდა და არც ჩაერევა ამ საკითხში და რომ მათი მთავარი ამოცანა კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის დაცვაა.**

ამასთან დაკავშირებით საინტერესო ისტორიას ჰყვება "გაერთიანებული დემოკრატი" ვასილ მაღლაფერიძე:

**- თუ ნაციონალების მოთხოვნა ხელისუფლებამ გამოიყენა, რათა სასამრათლოს გზით არჩევნები ჩაშალოს, ეს იქნება განუკითხაობა. თბილისის თვითმმართველობაში სრული ვაკუუმია, თბილისის სკოლებში მაისის ხელფასები ჯერ არ დარიგებულა. მიდის ყველაფრის "გადაჭმა", ეს არის ანარქია. ამის მიღწევა კი არჩევნების ჩაშლით სურდათ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ დაძაბულობა უკვე შექმნილია, მოსახლეობამ კი ხმა აღარ ამოიღო, ძალიან ცდება. ხელისუფლებამ ორჯერ ჩააფურთხა მოსახლეობას სულში - 2 ივნისს და ახლა, როცა შედეგებს უყალბებს. იცით, რაზე საუბრობენ? ბიულეტენებზე ჯუმბერ ლომინაძის ხელმოწერები არ არის და უნდა გაუქმდესო.**

**ახლა საჯაროდ პირველად ვიტყვი: პირადად ვესწრებოდი ჯუმბერ ლომინაძის საუბარს პრეზიდენტთან. ცესკოს თავმჯდომარე პრეზიდენტს არჩევნების გადადებას სთხოვდა, რადგან ხელისუფლების აფიორა მე და ჩემმა მეგობრებმა გავშიფრეთ. ჯუმბერ ლომინაძე პრეზიდენტს ეუბნებოდა: "მათ ისეთი დოკუმენტები მომცეს, რომ ამ სიებს ხელს არ მოვაწერ". პრეზიდენტმა კი ჯუმბერ ლომინაძეს უპასუხა – "არავითარ შემთხვევაში, არჩევნენები უნდა ჩატარდეს." ამის შემდეგ ლომინაძემ შევარდნაძეს სთხოვა – "რამდენიმე ადამიანი მოვალთ თქვენთან და განახებთ ამ დოკუმენტაციას", რაზეც კვლავ კატეგორიული უარი მიიღო. ერთი სიტყვით, ჯუმბერ ლომინაძე ბოლომდე ამტკიცებდა, რომ ამ პირობებში არჩევნების ჩატარება შეუძლებელი იყო. მან საბუთებს ხელი არ მოაწერა.**

**როცა ნახეს, რომ არაფერი გამოუვიდათ და კარუსელები ვერ აამუშავეს, შეშინდნენ. ახლა მოუნდათ არჩევნების ჩაშლა. აქვს თუ არა მოსახლეობას უფლება, რომ თავისი არჩევანი დაიცვას? და კიდევ: ვინ ქმნის დაძაბულობას - ხელისუფლება, რომელმაც ყველაფერი გააკეთა არჩევნების გასაყალბებლად, თუ მოსახლეობა, რომელიც თავის ხმებს დაიცავს?**

თავად ცესკოში კი პოლიტიკური ბატალიები ნაკლებად იგრძნობა. კომისიის წევრები კვლავ წესს უკირკიტებენ და ეს პროცესი როდის დასრულდება, არავინ იცის.

*ამბები*

## საზღვრებს ჩინური მეთოდით დავიცავთ

საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის დელეგაცია უწყების ხელმძღვანელის, ვალერი ჩხეიძის ხელმძღვანელობით ჩინეთში გაემგზავრა. დელეგაციის შემადგენლობაში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის აჭარის რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელი პირებიც შედიან.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებასთან ერთად, კადრების მომზადების საკითხში თანამშრომლობასაც ითვალისწინებს.

გასულ წელს საქართველოს სასაზღვრო უწყებამ ჩინეთიდან 200 000 აშშ დოლარის დახმარება მიიღო. და, რადგან ჩინეთს საქართველოსთან საერთო საზღვარი არ გააჩნია, უნდა ვივარაუდოთ, რომ წლეულს ჩინეთიდან ჩამოტანილი თანხები, საქართველოს ცხელი სასაზღვრო წერტილების მოწესრიგებას მოხმარდება.

## პანკისში მხოლოდ სპეცსამსახურებმა უნდა იმუშაონ

პანკისის ხეობაში ტერორისტების მოღვაწეობის აღსაკვეთად რუსეთის მიერ შემოთავაზებული დახმარების თაობაზე საუბრისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა **ირაკლი მენაღარიშვილმა** განაცხადა, რომ **"ნებისმიერი უცხო ქვეყნის სამხედრო ჩარევა პანკისის ხეობის პრობლემების გადასაწყვეტად მხოლოდ სიტუაციის გამწვავებას და საკმაოდ სავალალო შედეგებს გამოიწვევს".** მინისტრს მიაჩნია, რომ პანკისის ხეობის პრობლემის მოსაგვარებლად ეფექტური გზაა საქართველოსა და რუსეთის სპეცსამსახურების კონტაქტები. მისი თქმით, საქართველომ უკვე გადასცა რუსეთს ძებნილი პირები, რაც იმას ადასტურებს, რომ "ასეთ თანამშრომლობას თავის შედეგები მოაქვს".

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა, თავის მხრივ, საქართველოს პანკისის ხეობაში სიტუაციის კონტროლისა და რუსეთთან თანამშრომლობისკენ მოუწოდა. როგორც აშშ-ს საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა – რიჩარდ ბაუჩერმა აღნიშნა, საქართველოს მხრიდან ამ რეგიონში აუცილებელია პოტენციალისა და პასუხისმგებლობის შექმნა, რომელსაც ამერიკული მხარე თავის ამოცანად მიიჩნევს.

## განსხივე ტოტები მავნე...

გელა კვარაცხელიას თქმით, მოქალაქეთა კავშირი პარტიულ ყრილობაზე წესდებაში ცვლილების შეტანას, პარტიის თავმჯდომარისა და ხელმძღვანელი ორგანოების ხელახლა არჩევას აპირებს...

ყრილობა, კომისიას შექმნის და პარტიის წევრთა ქმედებებს შეაფასებს, ხოლო კომისიის მიერ შესწავლილი მასალების საფუძველზე მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავენ.

მოქალაქეთა კავშირის ყრილობას წარსულში თავმჯდომარე, აწ კი პარტიის რიგითი წევრი - პრეზიდენტი შევარდნაძე აუცილებლად დაესწრება. განიხილავს თუ არა ახალი კომისია ძველი, როგორც სუსტი თავმჯდომარის საკითხს, ჯერ-ჯერობით, უცნობია. სამაგიეროდ ცნობილია, რომ ყრილობაზე შევარდნაძეს საპატიო, ხოლო – ჯორბენაძეს – ნამდვილ თავმჯდომარედ აირჩევენ.

## გზების შესაკეთებლად ფული მოემგზავრება

მსოფლიო ბანკის პროექტით საქართველოს საავტომობილო გზების რეაბილიტაცია დაიწყო; წლის ბოლომდე შეკეთდება გზების მონაკვეთების 90 კილომეტრი. 25 კილომეტრზე გაკეთდება ასფალტ-ბეტონის ფენილი,

ამჟამად, სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს საქართველოს სამხედრო გზის ყაზბეგ-ფასანაურის მონაკვეთსა და ხაშურ-ქუთაისის გზაზე.

საავტომობილო გზების რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება 55 მილიონ დოლარადაა შეფასებული. აქედან, 40 მილიონ დოლარს კრედიტის სახით მსოფლიო ბანკი გამოყოფს. 15 მილიონ დოლარს კი საკუთარი გზების შეკეთებაში საქართველო გაიღებს.

## არც წყალი, არც მეტრო, აღარც განათება

ხუთშაბათს დილის 7 საათიდან თბილისის ენერგოგამანაწილებელი კომპანია "ეი-ი-ეს თელასი" დავალიანების გამო ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტს სახელმწიფო ორგანიზაციებს - "თბილწყალკანალი", "მეტროპოლიტენი", "თბილტრანსი" და "გარე განათება".

მართალია, "თბილწყალკანალს" მოხმარებულ ელექტროენერგიაზე სრული დავალიანება 4 მილიონი ლარი აქვს, მაგრამ ამჟამად იგი მიმდინარე წლის ბოლო ორი თვის გადაუხდელობის - 300 ათასი ლარის გამო გაითიშება.

"თბილტრანსის" ორი თვის დავალიანება 75 ათას ლარს შეადგენს, ხოლო "გარე განათებისა" - 80 ათასი ლარს. თბილისელები მეტროთი საღამოს 10 საათამდე ვერ ისარგებლებენ. ამ ორგანიზაციას "აეს"-ის 350 000 ლარი ვალი აქვს.

"ეს-ი-ეს თელასში" აცხადებენ, რომ ვიდრე ეს დავალიანებები არ დაიფარება, არც ერთ აღნიშნულ ორგანიზაციას ელექტროენერგიის მიწოდება არ აღუდგება.

ზემოაღნიშნული ორგანიზაციების საერთო ვალი 800 ათასი ლარია.

## აბა, შენ იცი, გიორგი!

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე ბუნებრივი აირის მიწოდების შეწყვეტასთან დაკავშირებით "იტერას" ხელმძღვანელობასთან შესახვედრად მოსკოვში გაფრინდა. ამ მივლინების შესახებ გადაწყვეტილება სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ თათბირზე მიიღეს.

გაზის მიწოდების შეწყვეტა მოულოდნელი იყო, რადგან "თბილგაზს" მიმდინარე დავალიანების 40 პროცენტი გადახდილი აქვს.

თუკი ისაკაძე "იტერასთან" რაიმე შეთანხმებას მიაღწევს, მის სამსახურეობრივ წინსვლაში ეს, ალბათ, დიდ როლს ითამაშებს, რადგან, ასეთი სერიოზული მისიით ისაკაძე პირველად მიდის.

## სასარგებლო შენაერთი

სასარგებლო ოპერაციად მოიხსენია საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, გელა ბეჟუაშვილმა, ავღანეთში ქართველი სამხედროების მშვიდობისმყოფელთა რიგებში გაგზავნის საკითხი.

**- მსგავს ოპერაციებში მონაწილეობა რომ ძალიან სასარგებლოა, კოსოვოს გამოცდილებამაც აჩვენა, -** თქვა ბეჟუაშვილმა.

კოსოვოში ქართული სამშვიდობო ოცეული 1999 წლიდან იმყოფება თურქული ბატალიონის შემადგენლობაში. თუმცა, თურქეთს ჯერჯერობით არ გამოუთქვამს დაინტერესება ავღანეთში სამშვიდობო ოპერაციაში ქართველი სამხედროების ჩართვასთან დაკავშირებით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მზად არიან, "სერიოზულად განიხილონ" ავღანეთში მშვიდობისმყოფელების გაგზავნის საკითხი ასეთი წინადადებით მიმართვის შემთხვევაში.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, საშა შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# ცესკო გადათვლის წესზე მსჯელობას გახსნილად აცხადებს

თამარ მჭედლიშვილი

*ხვალ ცენტრალური საარჩევნო კომისია ბიულეტენების გადათვლის წესზე პირველად იწყებს საჯარო მსჯელობას. რამდენიმე დღის განმავლობაში კომისიაში მხოლოდ თათბირები იმართებოდა. საუბრები, ძირითადად, ერთი თემის ირგვლივ ტრიალებდა – ვის უნდა გადაეთვალა საარჩევნო ბიულეტენები. თავად გადათვლის წესზე კი ნაკლებად საუბრობდნენ. როგორც ცესკოში აცხადებენ, ამის მიზეზი წინადადებების და იდეების ნაკლებობა იყო. თანაც ცესკოში ჯერ არ იყო შესული საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კომისიას ამ პროცედურის გამართვას ავალდებულებდა.*



ცესკოს სხდომა

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

გუშინ ცესკომ, როგორც იქნა, მიიღო სასამართლო გადაწყვეტილება და. კომისიაში სოციალისტების მიერ შემუშავებული გადათვლის წესის პროექტი გუშინვე შევიდა (სოციალისტური პარტია, ამ მხრივ, პიონერი აღმოჩნდა). დღეს კი კომისიას თავის მოსაზრებებსა და წინადადებებს უკვე ლეიბორისტული პარტია წარუდგენს. კომისიის წევრის ლაშა ჟიბლაძის თქმით, **„პარტია უკანასკნელ დეტალებს აზუსტდებს და მალე პროექტი დასრულებულ სახეს მიიღებს.“**

ერთი სიტყვით, ცესკოს, ჯერჯერობით, მხოლოდ სოციალისტების პროექტზე უწევს მსჯელობა. მათი აზრით, უბნებზე შედეგების ბათილად ცნობისთვის შემდეგი კრიტერიუმებია სავალდებულო:

**ურნაში ჩაყრილია ზედმეტი ბიულეტენი, ასევე ზედმეტი სპეციალური კონვერტი;**

**საარჩევნო ბიულეტენებზე არ არის დასმული ბეჭედი და არ აქვს კომისიის მინიმუმ ორი წევრის ხელმოწერა; ასევე ეს წესი ეხება სპეციალურ კონვერტებსაც;**

**შემაჯამებელ ოქმში არ არის მინიშნებული თარიღი და დრო; შემაჯამებელ ოქმზე ხელს არ აწერს კომისიის ყველა წევრი;**

**საარჩევნო სუბიექტებს მიწერილი აქვთ ზედმეტი ხმები და მათი რაოდენობა მეტია ყუთში ჩაყრილ ბიულეტენებზე;**

**საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ძირითად სიაში დაფიქსირებულია 2000-ზე მეტი ამომრჩეველი;**

**საარჩევნო უბანზე არ აღმოჩნდა ამომრჩეველთა ძირითადი სიები;**

**ძირითად ამომრჩეველთა სიას არა აქვს ხელმოწერა;**

**შემაჯამებელ ოქმში შეუვსებელია ძირითადი პუნქტები;**

**შემაჯამებელ ოქმს არ აზის საარჩევნო უბნის ბეჭედი;**

**საარჩევნო სუბიექტებს დაკლებული აქვთ საარჩევნო ყუთში ბათილი ბიულეტენების გამოკლებით მიღებული ხმები;**

**გადაკეთებულია შემაჯამებელი ოქმის სხვადასხვა პუნქტი.**

სოციალისტების აზრით, მათი წინადადებები მისაღები უნდა იყოს ყველა პარტიისათვის. თუმცა, არ არის გამორიცხული, ლეიბორისტებმა რამდენიმე პუნქტი მაინც გააპროტესტონ. ეს ყველაფერი უკვე დღეს გამოჩნდება, როცა ცესკო მათ წინადადებებს მიიღებს.

რაც შეეხება ბიულეტენების გადამთვლელთა ჯგუფებს, ცესკოში აზრი ორად არის გაყოფილი. პარტიების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ პროცედურის შესრულება ცესკომ თავის თავზე უნდა აიღოს. მეორე ნაწილი კი კომისიას სთავაზობს პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტებულ პარტიულ ჯგუფებს. ყველა ერთად კი აღიარებს, რომ პროცესი გამჭვირვალედ (სასურველია, მედიის თანდასწრებით) უნდა ჩატარდეს.

თითქოს ყველაფერი ნორმალურადაა, მაგრამ...

სწორედ ამ "მაგრამს" წარმოშობს კულუარული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "იმელის" შენობის საქვაბეში დაყრილი ბიულეტენების გადათვლას არანაირი აზრი არა აქვს და, აქედან გამომდინარე, ცესკო წესის მიღებაზე სრულიად არ ღელავს, თათბირებსაც ფორმალურად ატარებს და მორჩილად ელოდება ხელისუფლების განკარგულებას – ჩაიშალოს თუ არა დედაქალაქის საკრებულოს არჩევნები. კულუარები კულუარებად, მაგრამ ფაქტია, რომ, "ე-იეს თელასის" და "საქგაზის" ვალების გამო,

თბილისი, თავის სასიცოცხლო ობიექტებიანად, დღეს შესაძლოა, პარალიზებული აღმოჩნდეს. თბილისს კი საკრებულო არ ჰყავს და განმკითხავი, სრულიად ოფიციალურად, არავინაა.

# მთავრობა „მოქალაქეთა კავშირში" შედის

პირველი გვერდიდან

ჯერჯერობით ორიენტაციადაუფიქსირებელი სხვა კადრების ახალ პარტიულ არჩევანს **"მთავრობის მიერ ერთიანი, მწყობრად ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების აუცილებლობით"** ხსნის და დასძენს, რომ **"ხელისუფლება ვერ შესძლებს რეფორმების გატარებას, ფართო კოალიციის გარეშე"**. ამ თვალსაზრისით არჩევნებში ერთი პროცენტის მიმღებ პარტიაზე აქცენტის გაკეთება აკაკი ზოიძეს უცნაურად სულაც არ ეჩვენება. მეტიც, მას ამ პარტიის მიერ მიღებული ერთი პროცენტისაც უკვირს და იმედებს მის "განახლებაზე" ამყარებს. ხოლო "24 საათის" კომენტარს იმის თაობაზე, რომ ამ პრინციპით დაკომპლექტებულ პარტიას თამამად შეიძლება კანცელარიის ან მინისტრთა პარტიის სახელიც მოერგოს, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე აუღელვებლად იღებს და ამბობს, რომ სახელს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

ახალი პარტიის რიგებში სახელმწიფო მინისტრის კიდევ ერთ კარგადცნობილ მოადგილეს გიორგი ისაკაძესაც მოიძიებთ. იგი ამჟამად მოსკოვში იმყოფება და ამიტომ პარტიაში შესვლის მისეულ ახსნას დღეს ვერ შემოგთავაზებთ.

საერთოდ, ახალი პარტიული აქცენტი, როგორც ჩანს, ძირითადად ეკონომიკური პროფილის მინისტრებზე კეთდება. მაგალითად, ეკონომიკის მინისტრი გია გაჩეჩილაძე "განახლებულმა მოქალაქეებმა" საკუთარ რიგებში უკვე მყარად დაიგულეს.

ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის, ძირძველი "მოქალაქის" ვაჟიშვილის, პარტიულობის ბედი, ჯერჯერობით, ბოლომდე გარკვეული არ არის. ყოველ შემთხვევაში, იგი პარტიაში შესვლის შესაძლებლობას არ უარყოფს.

განსაკუთრებით საინტერესო გახლავთ თავის დროზე რეფორმატორული გუნდის მხარდამჭერით აღჭურვილი მინისტრების ახალი ორიენტაციის გარკვევა.

სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი, "ძველპარტიელი" დავით კირვალიძე, რომელიც პარტიაში და მთავრობაში ჟვანიას გუნდის წარმომადგენლად ითვლებოდა, ამჟამად ვიზიტად იმყოფება აშშ-ში. სამაგიეროდ ცნობილია, რომ მას გასაახლებლად გამზადებული "მოქალაქეთა კავშირის" რიგები დატოვებული, ჯერჯერობით, ნამდვილად არ აქვს.

ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა საქმიანი ვიზიტით თურქეთს სტუმრობს. . "24 საათმა" მასთან რამდენიმე წამით დაკავშირება და პარტიაში შესვლის შესახებ კითხვით მინისტრის გაოგნება შესძლო. **"რომელ პარტიაშიო?"** - აშკარად დაიბნა მინისტრი და პასუხის მიღებამდე კავშირიც გაწყდა.

ავთანდილ ჯორბენაძის თავმჯდომარეობის ფაქტი, ჯერ "მონელებულიც" არ ჰქონდათ, პრეზიდენტის ჩრდილში ადგილის პოვნაზე მეოცნებე პარტიებს, რომ ახლა ასეთი "თავზარი" დაეცათ. გონს მოსასვლელად და პოზიციების გადასახედად მათ გარკვეული დრო, ალბათ, დასჭირდებათ.

ოპოზიციური პარტიები კი მინისტრების პარტიაში გაწევრიანების ფაქტს გუშინ ნახევრად ირონიულ კომენტარებს უკეთებდნენ. მაგალითად, "ნაციონალებს" მინისტრების მხრიდან ასეთ მდგომარეობაში მყოფი პარტიის წევრობაზე თანხმობის თქმა, სრულ უგუნურებად და სკამების შენარჩუნების მცდელობად მიაჩნიათ. ჯემალ გოგიტიძე "აღორძინებიდან" მიიჩნევს, რომ, უბრალოდ, გაფორმდება ის, რაც უკვე ისედაც არსებობდა და რომ **"შევარდნაძემ გახეული "კალოში" ახლით შეცვალა... "**

ექსპერტები კი საუბრობენ საარჩევნო ხმების იმ 15 პროცენტზე, რომელიც ხელისუფლებაში მყოფ პარტიას, დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, საქართველოში სტაბილურად აქვს ხოლმე, მიუხედავად მისი დადებითი თუ უარყოფითი საქმიანობისა.

# რაში ფლანგავენ დროს პარლამენტარები

პირველი გვერდიდან

მიერ ძირითადი მოვალეობის, რბილად რომ ვთქვათ, არასაკმარისად შესრულებას მოწმობს.

ახალი, უფრო სწორად, დღევანდელი მოწვევის პარლამენტი, ალბათ, გახსოვთ, საქართველოს მოსახლეობამ 1999 წელს აირჩია. იმ დროისთვის საპარლამენტო ტრადიცია უკვე დამკვიდრებული გახლდათ და კანონშემოქმედებითი პროდუქტიულობა საკმაოდ შთამბეჭდავ ციფრებს აღწევდა. 1995 წელს არჩეულ პარლამენტს საქართველოსთვის იმ ძირითადი საბაზისო კანონონების შექმნა მოუხდა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, ჩვენი კანონების ევროკანონმდებლობასთან ჰარმონიზება უზრუნველყო და საქართველოს ევროსაბჭოს კარი გაუხსნა.

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა 52 კანონი მიიღო, 1997 წელს – 60, რომელთა შორისაც იყო საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო, საგადასახადო და საბაჟო კოდექსები. 1998 წელს პარლამენტმა 57 ახალი კანონი დაამტკიცა, 1999 წელს – 51. თავისთავად, ციფრები ხარისხზე, რა თქმა უნდა, არ მსჯელობს, მაგრამ ის, რომ კანონთა დიდი ნაწილი (ეკონომიკის სფეროს მარეგულირებელი ზოგიერთი გადაწყვეტილების გამოკლებით) საერთაშორისო სტანდარტებში კარგად ჯდებოდა, საერთაშორისო ექსპერტიზამაც არაერთხელ დაადასტურა.

კანონშემოქმედებითი პროცესის შეფერხების პერიოდი დღევანდელი მოწვევის პარლამენტის მუშაობის მეორე წელს ემთხვევა, ანუ იმ დროს, როცა საპარლამენტო უმრავლესობაში განხეთქილებამ იჩინა თავი და პარლამენტი პოსტშევარდნაძისეული ეპოქისათვის ბრძოლის ძირითად ასპარეზად გადაიქცა. ამ დროისათვის, ანუ 2000 წელს საქართველოს პარლამენტს სულ 20 კანონი აქვს მიღებული (არ არის საუბარი გაუთავებელ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელთა უმრავლესობას, როგორც წესი, ცალკეულ ძალთა მხრიდან საკუთარი ინტერესების ლობირების აშკარა სუნი უდიოდა). 2001 წელს საქართველოს პარლამენტმა სულ 17 კანონი მიიღო. 2002 წლის 10 ივნისის მონაცემებით კი, ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს მხოლოდ 5 კანონი აქვს დამტკიცებული. ის არგუმენტი, რომ ახალი კანონების მიღების აუცილებლობა შემცირებულია, დღევანდელი საკანონმდებლო "ვაკუუმების" პირობებში, იმდენად აბსურდულია, რომ კომენტარადაც არ ღირს. მით უმეტეს, რომ არსებული მონაცემებით, საქართველოს დღევანდელი მოწვევის პარლამენტმა ვერ თუ არ მოასწრო მთავრობის მიერ შემოტანილი 80-მდე კანონპროექტის განხილვა. ამასთან დაკავშირებით საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ როსტომ დოლიძემ "24 საათთან" საუბარში განაცხადა:

**"ძირითადად, კანონპროექტები შემოაქვს აღმასრულებელ ხელისუფლებას. წელიწადში საშუალოდ 70 კანონპროექტი, თუ მეტი არა... ჩვენ შევისწავლეთ, თუ რა პერიოდის განმავლობაში არ იყო განხილული შემოსული კანონპროექტები. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი კანონპროექტი არ იყო განხილული ერთი, ორი, ზოგ შემთხვევაში სამი წლის განმავლობაშიც. ზოგჯერ გაჭიანურების მიზეზი გახლდათ კომიტეტის უპასუხისმგებლობა ან კომიტეტის თავმჯდომარის ზეპირი განცხადება - მე არ მიმაჩნია საჭიროდ კანონპროექტის განხილვაო... რას ჰქვია, არ მიგაჩნია საჭიროდ? უნდა განიხილო კომიტეტზე, მოამზადო კომიტეტის დასკვნა და მერე პლენარულ სხდომაზე გადაწყდება, მიიღებს თუ არ მიიღებს პარლამენტი კანონპროექტს. ხშირად საქმე გვაქვს კანონპროექტის მიზანმიმართულ დაბლოკვასთან. მაგალითად, გაიხსენეთ კაზინოების შესახებ კანონპროექტი. ასეთი "თაროზე შემოდებული" ინიციატივები იყო, დაახლოებით, 80-მდე. რამდენიმეს განხილვა ბოლო პერიოდში მოესწრო. ზოგი მოძველებული იყო და მთავრობამ უკან გაიწვია. მათი რიცხვი შემცირდა, თუმცა მაინც საკმაოდ დიდია... რაც შეეხება კანონპროექტის განხილვის ვადების დარღვევაზე პასუხისმგებლობას, უკიდურეს შემთხვევაში, ამისთვის შეიძლება გადააყენო კომიტეტის თავმჯდომარე...**

**საკანონმდებლო ინიციატივით შემოსვლის ფუნქცია, მთავრობის გარდა, კომიტეტებსაც აქვთ, ფრაქციებსაც. სამწუხაროდ, ისინი საკმაოდ იშვიათად იყენებენ ამ ფუნქციას, პარლამენტის ცალკეული წევრები - კიდევ უფრო იშვიათად, აღარაფერს ვამბობ მოქალაქეებზე... განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ იმ კომიტეტების ხელმძღვანელებს, რომელთა ძირითადი ფუნქცია არის საკანონმდებლო საქმიანობა და აღმასრულებელი ხელისუფლების საკანონმდებლო საქმიანობაზე კონტროლის განხორციელება, ხშირად, როცა ამა თუ იმ კანონპროექტის განხილვის ვადა ირღვევა, არგუმენტად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ მთავრობამ დააგვიანა მისი შემოტანა. არადა, თუ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ არ შემოიტანა, მაშინ საპარლამენტო კომიტეტმა ან უნდა მოახდინოს მთავრობაზე ზეწოლა, ან თავად უნდა შემოიტანოს კანონპროექტი. ეს მას, უბრალოდ, ევალება."**

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი ამ საკითხების წამოწევას უახლოეს პერიოდში აპირებს. თუმცა ამ მოწვევის პარლამენტს ცოტა დრო აქვს დატოვებული საიმისოდ, რომ ბოლო წლების "ჩავარდნა" შეავსოს და კანონშემოქმედის სახელი დაიბრუნოს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯერ ადგილობრივი არჩევნების შედეგებიც არ არის დამტკიცებული და უკვე ახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებაა დაწყებული, აღარაფერს ვამბობთ საპრეზიდენტო არჩევნებზე. არჩევნები კი, როგორც ჩანს, ჩვენს პარლამენტართა საკანონმდებლო პროდუქტიულობას მეტისმეტად ამცირებს.

# მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად არაფერი გაკეთებულა

პირველი გვერდიდან

**დაგვეხმარება. ასევე გვქონდა ევროსაბჭოს იმედიც, მაგრამ უცხოელების ბოლოდროინდელმა გატაცებებმა იძულებული გაგვხადა, ყოველდღე ბოდიში ვიხადოთ და ვამტკიცოთ, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრება შეიძლება,"** – თქვა სახელმწიფო მინისტრმა, რომელიც თავად აღიარებს, რომ **"მოსახლეობაში უნდობლობის ხარისხი კულმინაციას აღწევს**."

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ცნობილი არ არის დაზიანებული და დანგრეული სახლების ზუსტი რიცხვი, ფაქტია: მოსახლეობის დიდი ნაწილი ღია ცის ქვეშ არის დარჩენილი. სახელმწიფო კი აცხადებს, რომ ფონდში არსებული თანხით მხოლოდ 200 ბინის ყიდვა შეიძლება. რა კრიტერიუმებით შეარჩევენ ამ 200 ოჯახს, ღმერთმა იცის. არასამთავრობო ორგანიზაციის "ვაკის გონებრივი განვითარების" წარმომადგენლის ნანული ქაჩიბაიას თქმით, **"დღეიდან რაიონულ გამგეობებში გაიმართება შეხვედრები. იქ ერთობლივად შეირჩევა ის ოჯახები, რომლებიც ამ სანატრელი 200 ბინის მფლობელები გახდებიან."**

სახელმწიფო კანცელარია აცხადებს, რომ დანგრეული და დაზიანებული სახლების აღდგენას 120 მილიონი ლარი სჭირდება. აქედან 90 მილიონი - საცხოვრებელი სახლების, ხოლო 30 მილიონი - საზოგადოებრივი შენობებისთვის. **"დღეს თბილისის 6 სკოლა მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია. შევეცდებით, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ სექტემბერში ამ სკოლებშიც დაიწყოს სწავლა. 2 მილიონი ლარი გამოიყოფა სასკოლო და საბავშვო ბაღების შენობების რეანიმაციისთვის,"** – თქვა ვანო ზოდელავამ.

ერთი სიტყვით, მიწისძვრიდან ორი თვის შემდეგ ირკვევა, რომ დაზარალებულებს რიგითობის მიხედვით უნდა დავეხმაროთ და მიწისძვრის შედეგებით სპეკულირება არ შეიძლება. **"შეიქმნება საკოორდინაციო საბჭო, რომელიც არა ფინანსურ, არამედ ტექნიკურ საკითხებს გააკონტროლებს. რაც შეეხება რესურსებს, მათი სიმცირე დაღს აჩენს პროცესების გახანგრძლივებას",** - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი და მიაჩნია, რომ საქართველოში 120 მილიონი დოლარის შეგროვება, თუნდაც, ერთ წელიწადში, ადვილი საქმე არ არის. ქველმოქმედებასაც უფრო მასშტაბურს ელოდნენ, მაგრამ...

კანცელარიაში აპირებენ, სექტემბრამდე თანხა შეაგროვონ, მუშაობას კი მერე დაიწყებენ. საქმის გამკეთებელი არ ჩანს, ზამთარი კი თანდათან ახლოვდება. ქუჩაში დარჩენილი ხალხი არ აპირებს, რომ ზამთარი კარვებში ან მეზობლებთან გაატაროს. ასე რომ, სექტემბრიდან ახალ არეულობებს უნდა ველოდოთ.

# ვარიაციები თემაზე - რამდენი ჩეჩენი ლტოლვილი ცხოვრობს საქართველოში

ვერიკო თევზაძე

*ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი ფირცხალავას მონაცემებით, პანკისის ხეობაში ჩატარებული აღწერის შედეგები ასეთია: **"დღეისათვის აქ დარეგისტრირებულია 3800-მდე კაცი. ეს მონაცემები კიდევ გაიზრდება. რამდენიმე ასეული კაცი აცხადებს, რომ აღწერაში მონაწილეობა ვერ მოასწრო. მათთვის დამატებით რეგისტრაციას ჩავატარებთ. გვაქვს ასეთი ინფორმაციაც: ჩვენს ტერიტორიაზე შემოსულია ლტლვილების ახალი ნაკადი (ზუსტ რიცხვს ვერ დაგისახელებთ), ეს ის ჩეჩნები არიან, რომელთაც დღემდე, ამ სამი წლის განმავლობაში, საქართველოში არ უცხოვრიათ".***

ფირცხალავას განცხადებით, პანკისში ხელახალი რეგისტრაცია, დაახლოებით, ათ დღეში დაიწყება. მისი დასრულების შემდეგ აღწერენ ჩეჩენ ლტოლვილებს თბილისში და საქართველოს დანარჩენ რეგიონებში (სადაც მათი რიცხვი, ფირცხალავას თქმით, ძალზე მცირეა).

როცა ქვეყნის მასშტაბით დასრულდება ჩეჩენი ლტოლვილების აღწერა, შესაბამისად, მათ ლტოლვილის სტატუსი მიენიჭებათ. რა პერიოდში იქნება ეს შესაძლებელი, ბატონი ფირცხალავა მიახლოებით თარიღსაც ვერ გვისახელებს. არადა, ამ სტატუსის გარეშე ლტოლვილებს პრობლემები ექმნებათ.

ირაკლი ფირცხალავას ინფორმაციით, 1999 წლის ოქტომბრიდან დღემდე საქართველოში სამჯერ აღწერეს ჩეჩენი ლტოლვილები. **"ყოველ წელიწადს 7000-7500 კაცი აღვწერეთ. აუცილებლად გასათვალისწინებელია ლტოლვილთა მიგრაცია, ისინი დროდადრო გადიან და შემოდიან. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამ სამი წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ 10-11 ათასმა ჩეჩენმა ლტოლვილმა გაიარა რეგისტრაცია. ვინ როდის გადის და შემოდის, რა პერიოდის განმავლობაში, დროებით თუ მუდმივად? – ამის გაკონტროლება ჩვენს სამინისტროს არ შეუძლია. არანაირი კონტროლის მექანიზმი არ გაგვაჩნია."**

ბუნებრივია, ისმის კითხვა – როგორ ხდება ჰუმანიტარული ტვირთის განაწილება იმ პირობებში, როცა არსებობს ყოველწლიური აღწერის ოფიციალური მონაცემები, მაგრამ რეალური, ზუსტი მონაცემები ამა თუ იმ კონკრეტული დროისათვის ლტოლვილთა სამინისტროსათვის უცნობია? **"საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ჰუმანიტარულ დახმარებას გასცემენ, ჩვენ ოფიციალურ სიებს ვაწვდით, აბა, სხვა რა უნდა ვიღონოთ, ყოველ ჩეჩენ ლტოლვილს სახლში ვერ შევუვარდებით და ვერ გავაკონტროლებთ, ლოგინზე წევს თუ არა..."** – ასეთი სხარტულა გამონათქვამიც მოიშველია ჩვენთან საუბრისას ირაკლი ფირცხალავამ.

ბატონი ფირცხალავას განმარტებით, საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის სიების მიწოდების გარდა, ლტოლვილთა სამინისტროს ჰუმანიტარული ტვირთის გაცემასთან არანაირი შეხება არა აქვს. "24 საათის" კითხვაზე – მოეპოვება თუ არა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რაიმე სტატისტიკური მონაცემები, რომელიც დაახლოებით სურათს მაინც წარმოგვიდგენს, ჰუმანიტარული ტვირთების გაცემისას რამდენად ემთხვევა ოფიციალური სიების მონაცემები რეალობას, ანუ ტვირთის ასაღებად მისულ ლტოლვილთა რაოდენობას, ბატონმა ფირცხალავამ გვიპასუხა, რომ ამის შესახებ მათ არანაირი ინფორმაცია არ გააჩნიათ.

ჩვენთან საუბრისას თბილისში მცხოვრებმა ჩეჩენმა ლტოლვილებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმის თაობაზე, რომ მათ ჰუმანიტარული ტვირთის მიღება შეუძლიათ მხოლოდ პანკისში, სადაც ძალზე უჭირთ ჩასვლა. ირაკლი ფირცხალავას განმარტებით, ამ მხრივ მდგომარეობა ვერ გამოსწორდება, ვინაიდან ჰუმანიტარული ორგანიზაციები ჩეჩნებით დასახლებულ ყოველ პუნქტზე ვერ მოახერხებენ დახმარების გაცემას. აქედან გამომდინარე, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ ჰუმანიტარული ტვირთი გაიცეს პანკისის ხეობაში, სადაც ჩეჩენი ლტოლვილები ყველაზე კომპაქტურად არიან დასახლებულნი.

ინფორმაცია

## ჟორჟოლიანი ახალ კანცელარიას აყალიბებს

სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის თქმით, სახელმწიფო კანცელარიის ოპტიმიზაციის პროგრამის მთავარი დანიშნულებაა პრეზიდენტის ადმინისტრაციის გაძლიერება და პრემიერ-მინისტრის თანამდებობის გაუქმებისთვის მზადება.

ჯორბენაძის აზრით, არსებული პრობლემების დასაძლევად ქვეყანას პრემიერ-მინისტრზე მეტად ეფექტური მთავრობა სჭირდება.

მისივე თქმით, სახელმწიფო მინისტრს მაკოორდინებელი ფუნქცია უკვე აქვს და ახლა მის მთავარ დანიშნულებას ამ კოორდინაციის გაუმჯობესება წარმოადგენს, რომლის განხორციელებაც დღევანდელ პირობებში საკმაოდ რთულია.

როგორც სახელმწიფო მინისტრი ამბობს, საამისოდ მას სახეცვლილი კანცელარია სჭირდება, რომელიც მოვლენების პროგნოზირებას შეძლებს.

ამავე დროს, როდესაც ქვეყანაში დაიწყება აღმასრულებელი ხელისუფლების სერიოზული ცვლილება, პრეზიდენტის კანცელარიას მართვის ზოგიერთი მექანიზმის ხელში აღება მოუწევს.

ავთანდილ ჯორბენაძის ინფორმაციით, სექტემბერში პრეზიდენტი შევარდნაძე, ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლასთან დაკავშირებით, პარლამენტს თავის შეხედულებებს წარუდგენს, რომლებიც, ძირითადად, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების რეორგანიზაციას ეხება. (მედია-ნიუსი)

## ExxonMobil-ი სასამართლოში

ნავთობგიგანტი ExxonMobil-ი ეკოლოგიური ორგანიზაცია Greenpeace-ის წინააღმდეგ გამოდის. კომპანიის დანაყოფი Esso France-ი Greenpeace-ს სასამართლოში უჩივის და ამტკიცებს, რომ მწვანეები მათ წინააღმდეგ კომპანიას უსაფუძვლოდ აწარმოებენ და უკანონოდ იყენებენ ფირმის ლოგოტიპსაც. ეს კი მათ კოოპერატიულ იმიჯზე უარყოფითად მოქმედებს. საუბარია აქციის სახელწოდებაზე – Stop E$$O, რომელიც, Esso France-ის მტკიცებით, მათ ლოგოტიპს წააგავს და საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს.

აქცია Stop E$$O-ს ორგანიზატორები კი ირწმუნებიან, რომ ნავთობკომპანია აბსოლუტურად უპრინციპოა, როცა საქმე ეკოლოგიური კანონების დაცვას ეხება.

ExxonMobil-ის სასამართლო საქმე იმის დამადასტურებელია, რომ დიდმა კორპორაციებმა მწვანეებთან ურთიერთობის ტაქტიკა შეცვალეს – წინათ ისინი ეკოლოგიის დამცველთა მოთხოვნებს, უბრალოდ, იგნორირებას უკეთებენ, დღეს კი უკვე სასამართლოთი რეაგირებენ.

## ჩიპსებს სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია ჟენევაში მედიკოსთა შეკრებას მასპინძლობს. შეხვედრის თემაა კარტოფილის ჩიპსებსა და შემწვარ კარტოფილში კანცეროგენული ნივთიერებების შემცველობის საკითხი. ეჭვი, რომ კანცეროგენული ნივთიერებები კიბოს იწვევდა, პირველად შარშან, აპრილში, შვედი მეცნიერების მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ გაჩნდა. შვედები ამტკიცებდნენ, რომ სახამებლის შემცველი პროდუქტების მაღალ ტემპერატურაზე დამუშავების შემდეგ გამომუშავდება აკრილამიდი – ნივთიერება, რომელსაც მეცნიერთა ნაწილი კიბოს წარმოშობას უკავშირებს. იმავე მოხსენებაში ნათქვამია, რომ აკრილამიდს დიდი რაოდენობით შეიცავს პური, ჩიპსი და კარტოფილი. თუმცა, ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის, რომ ეს პროდუქტები კიბოს ადამიანებშიც იწვევენ. სწორედ ამ საკითხზე იმუშავებს სამდღიანი კონფერენცია.

## რუსული ტელერეკლამა 25-ე კადრის პრინციპით მზადდება?

რუსული ანტიმონოპოლიური სამსახურები ეჭვს გამოთქვამენ, რომ ზოგიერთი ტელეარხი რეკლამით მაყურებლის ფარულ ზომბირებას ახერხებს. ამიტომ ისინი რეკლამის შესახებ კანონის ხელახალ გადახედვას ითხოვენ. ამის საფუძველიც არსებობს: 1999-2001 წლებში მათ რეკლამის კანონის დარღვევის 30 ათასი ფაქტი განიხილეს. ახლა, დარღვევებთან ერთად, ანტიმონოპოლისტები ზომბირების ფაქტებზეც საუბრობენ. ბეჭდვის მინისტრის მოადგილის ვალერი სირაჟენკოს ცნობით, სამინისტრომ უკვე დაზუსტებით იცის, რომ ზოგიერთი რუსული ტელეარხი მაყურებლის ფსიქიკაზე ზემოქმედებისთვის არასანქცირებულ მეთოდებს იყენებენ (როგორც ცნობილია, ამას ე.წ. 25-ე კადრის საშუალებით აღწევენ). ახლო მომავალში სამინისტრო კონკრეტული ფაქტების დასახელებას გეგმავს. თუმცა, ტელერეკლამის სპეციალისტები ზომბირების ბრალდებას სასტიკად უარყოფენ.

## ქართულ-აფხაზური ენერგოთანამშრომლობა შედგა

ქართული და აფხაზური მხარეების ერთობლივი ძალისხმევით აღდგა 220-კილოვატსაათიანი გადამცემი ხაზი „ივერია 220". აღდგენილი ხაზი ხელს შეუწყობს რუსეთის ენერგოსისტემასთან ქართული ენერგოსისტემის პარალელურ მუშაობას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფაში.

500-კილოვატსაათიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის „კავკასიონის" გამორთვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება „ივერია 220"-ის ავტომატური ჩართვა და მისი მეშვეობით რუსეთიდან 200 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის იმპორტი.

გადამცემი ხაზის აღდგენაში აფხაზური „ჩერნომორენერგო" და ქართული „საქრუსენერგო" მონაწილეობდნენ. „ივერია 220"-ის ჩართვა (აუცილებლობის შემთხვევაში) ივნისის ბოლოდან იქნება შესაძლებელი. (მედია-ნიუსი)

## ყველაზე დიდი აფიორა მსოფლიოში

მსხვილი ამერიკული სატელეკომუნიკაციო კომპანია Worldcom-ი გაკოტრების წინაშე დგას. კომპანიის ხელმძღვანელებმა აღიარეს, რომ ფირმის მოგება რამდენიმე მილიარდი დოლარით "გაბერეს". ანალიტიკოსთა აზრით, ეს თაღლითობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემთხვევაა, რომელსაც საბუღალტრო საქმის მთელი ისტორიის მანძილზე ჰქონია ადგილი.

Worldcom-ის ხელმძღვანელობამ უკვე გაათავისუფლა კომპანიის ფინანსური დირექტორი. ვითარებას ამძიმებს ის გარემოება, რომ მაისამდე Worldcom-ის აუდიტორი კომპანია Andersen იყო, რომლის რეპუტაციაც მნიშვნელოვნად შეიბღალა ამერიკული ენერგეტიკული გიგანტის Enron-ის საქმის გახმაურების შემდეგ. ჯერჯერობით უცნობია, ვინ გააყალბა Worldcom-ის საბუღალტრო წიგნებში მონაცემები. როგორც გაირკვა, ბოლო 15 თვის მანძილზე Worldcom-ის მოგება ხელოვნურად ოთხი მილიარდი დოლარით იყო გაზრდილი. ამჟამად კომპანიაში 80 ათასი ადამიანი მუშაობს. თუმცა კომპანია 17 ათასი თანამშრომლის დათხოვნას აპირებს.

1990-იან წლებში Worldcom-ი ერთ-ერთ ყველაზე ზრდად კომპანიად მიიჩნეოდა. მას ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე მსხვილ კომპანიებს შორის მოიხსენიებდნენ. ბოლო ხანს Worldcom-ის საქმეები ცუდად წავიდა. 75 პროცენტით შემცირდა აქციის ფასი, რის გამოც კომპანიის დამფუძნებელი და კომპანიის ხელმძღვანელი ბერნი ებერსი იძულებული გახდა, პოსტი დაეტოვებინა.

ცოტა რამ ბერნი ებერსის შესახებ, რომელიც სამართლიანად მიიჩნეოდა უოლ-სტრიტის ერთ-ერთ ყველაზე ქარიზმატულ, კორპორატიულ ლიდერად. ებერსი დღემდე ტრაქტორს დაატარებს საკუთარი ძმის რანჩოში და, პერიოდულად, თავს ხარების კასტრირებით ირთობს. თუმცა უოლ-სტრიტის რისხვა ებერსმა მაშინ გამოიწვია, როდესაც საკუთარ თავს Worldcom-ის საბანკო ანგარიშიდან სესხი გამოუყო და ამით პირადი ვალები დაფარა.

# რამდენად თავისუფალია საქართველოში ეკონომიკა

## ბიზნესმენთა გატაცებების გაუთვალისწინებლად, საქართველოს ინდექსში 108-ე ადგილი უკავია

გვანცა კვინიკაძე

*საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰერითეიჯ ფაუნდეიშენის" მიერ ახლახან გამოქვეყნებულ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველოს 3.40 ქულით 161 ქვეყნიდან 108 ადგილი უკავია. ინდექსში ქვეყნების ეკონომიკა 10 კრიტერიუმის: სავაჭრო პოლიტიკის, საგადასახადო ტვირთის, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დონის, მონეტარული პოლიტიკის, კაპიტალისა და უცხოური ინვესტიციების ნაკადების, საბანკო სფეროს, ხელფასებისა და ფასების, საკუთრების უფლების დაცვის, რეგულირებისა და "შავი ბაზრის" მდგომარეობის მიხედვით შეფასდა. შარშანდელთან შედარებით, საქართველოს მაჩვენებელი უმნიშვნელოდ, 0.15 პუნქტით გაუმჯობესდა, მაგრამ ქვეყანა მაინც "ძირითადად არათავისუფალი" ეკონომიკის მქონე ქვეყნების კატეგორიაში დარჩა.*

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში პირველ ადგილზე ჰონგკონგი, მეორეზე სინგაპური, ხოლო მესამეზე – ახალი ზელანდია არიან, შესაბამისად, 1.35, 1.55 და 1.70 ქულით. მეოთხე ადგილის შესაბამისი ქულა (1.8) რამდენიმე ქვეყანამ: ესტონეთმა, ირლანდიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა და აშშ-მ დააგროვეს. ყველაზე უარესი შედეგები ბირმას (4.10), უზბეკეთს (4.35), თურქმენეთს (4.40), ლაოსსა (4.55) და ჩრდილოეთ კორეას (5.0) აქვთ.

ინდექსის თანახმად, საქართველოს სავაჭრო სისტემა მეტ-ნაკლებად დადებით შეფასებას იმსახურებს. საქართველოს საშუალო საიმპორტო სატარიფო განაკვეთი 2.85 პროცენტს შეადგენს, ადრე ეს მაჩვენებელი 4.7 იყო. შედეგად, ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკამ 1 პუნქტით უკეთესი შეფასება დაიმსახურა. საქართველოში არასატარიფო ბარიერები საბაჟოზე კორუფციით გამოიხატება.

საგადასახადო ტვირთის კრიტერიუმით საქართველომ სტაბილური ქვეყნის შეფასება დაიმსახურა, თუმცა წელს მისი ქულა ამ კატეგორიაში 0.5 პროცენტით გაუარესდა. საერთო გადასახადების ზღვრული ოდენობა, რასაც საშუალო გადამხდელი აწყდება, 20 პროცენტია. 1999 წელს მთავრობის ხარჯები მშპ-ს 15.17 პროცენტს შეადგენდა, 1998 წელს კი - 11.24 პროცენტს.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის დონეს ორგანიზაცია საშუალოდ მიიჩნევს. მთავრობა მოიხმარს ქვეყნის მშპ-ს 12 პროცენტს, 1999 წელს საქართველოს მთელი შემოსავლების 11.33 პროცენტს სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოებიდან და ქონებიდან მიიღებული შემოსავლები შეადგენდა.

უკეთესი შეფასება დაიმსახურა ქვეყნის მონეტარულმა პოლიტიკამ. 1993 წლიდან 2000 წლამდე, საქართველოში ინფლაციის საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი 10.51 პროცენტის ტოლი იყო, რაც 1993-დან 1999 წლამდე პერიოდის მაჩვენებელთან (21.57 პროცენტი) შედარებით, საგრძნობლად შემცირებულია. შედეგად, საქართველოს მონეტარულმა პოლიტიკამ წელს ორი პუნქტით უკეთესი შეფასება დაიმსახურა.

ეკონომიკური თავისუფლება ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში




საკმაოდ მკაცრი მოსაზრებებია გამოთქმული საქართველოს საინვესტიციო გარემოს შეფასებისას. "ჰერითეიჯ ფაუნდეიშენი" აღნიშნავს, რომ კანონმდებლობის თანახმად, საქართველოში ცოტა შეზღუდვებია ინვესტიციებთან დაკავშირებით და უცხოელებიც მოქმედების თანაბარ პირობებს იღებენ. წარმოების დარგების უმრავლესობა ღიაა უცხოური ინვესტიციებისთვის, მაგრამ კორუფცია, პოლიტიკური არასტაბილურობა, საკანონმდებლო დაცვის სისუსტე და ბიუროკრატია მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის. "ჰერითეიჯ ფაუნდეიშენი" იყენებს ევრობანკის მონაცემებს, რომელთა თანახმადაც, საქართველოს მთავრობა უცხოელი ინვესტორების წახალისებისთვის პრივატიზაციის პროცესის გაგრძელებას გეგმავდა, მაგრამ 2000 წლის ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია ჩაშალა გამჭვირვალობისა და რეგულირების დეფიციტმა, აგრეთვე, გადასახადებთან დაკავშირებული საკითხების გაურკვევლობამ. ამ ფაქტორებმა კი ინვესტორთა ნდობაზე ნეგატიურად იმოქმედა. ევრობანკის შეფასებით, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება საფუძველი გახდება უცხოური ინვესტიციების გაზრდისა და ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების სექტორებში მოსალოდნელი პრივატიზაციის პროცესში ინვესტორების მოზიდვისთვის.

ინდექსის მიხედვით, საქართველოს საბანკო სექტორი გარდამავალ ეტაპზეა. ორგანიზაცია "ეკონომიკური დაზვერვის განყოფილების" შეფასების თანახმად, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის წყალობით, ქვეყანაში ბანკების რაოდენობა შემცირდა 247-დან (1995 წელს) 36-მდე (2000 წლისთვის), აქედან 21-ში რაიმე სახით უცხოური კაპიტალი მონაწილეობს. საბანკო და სადაზღვევო სფეროში უცხოური ინვესტიციის განხორციელებას მთავრობის ნებართვა სჭირდება. სექტორში შემდგომი კონსოლიდაცია მოსალოდნელია.

ფასების კრიტერიუმის მიხედვით, საქართველოში შეზღუდვების დონე საკმაოდ მაღალია. სახელმწიფო კვლავაც აკონტროლებს კომუნალური მომსახურებისა და კვების პროდუქტების ფასებს. იგი ასევე ზემოქმედებს ფასებზე მის კუთვნილებაში მყოფი საწარმოების ფართო სპექტრის მეშვეობით, რომელშიც ენერგეტიკის, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კომუნიკაციების, ჯანდაცვისა და განათლების სექტორები შედიან.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ სერიოზული ძალისხმევა გაილო სასამართლოების ეფექტურობისა და სამართლიანობის ასამაღლებლად, კორუფცია მაინც პრობლემად რჩება. ამის გათვალისწინებით, საქართველო საკუთრების უფლების დაცვის საკითხშიც "მოიკოჭლებს". აქ მომუშავე უცხოური კომპანიების შეფასებით, საქართველოში კანონის აღსრულების და კონტრაქტის შესრულების დონეები დაბალია, კორუფცია კი ფართოდ არის გავრცელებული. იურიდიულ სფეროში კორუფციის ახალი გამოვლინებების გამო საქართველოს შეფასება წელს ერთი პუნქტით დაეცა.

მიუხედავად მთავრობის ძალისხმევისა, ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკა დაამკვიდროს, საქართველოში ბიზნესის დაწყება სირთულეებთან არის დაკავშირებული. "ჰერითეიჯ ფაუნდეიშენი" იყენებს "ფაინენშალ თაიმსის" ციტატას იმის თაობაზე, რომ მთავრობამ მხოლოდ ახლა დაიწყო ახლახანს ამბოხებული ჯარის, კორუმპირებული პოლიციისა და რუდიმენტული სამოქალაქო ადმინისტრაციის რეფორმირება. სახელმწიფო ძალაუფლების სისუსტის, ძლიერი ოჯახური და კლანური მმართველობისადმი ერთგულებისა და კომუნიზმის მემკვიდრეობის ფონზე ჩავლილმა ათწლეულმა საქართველოში შექმნა გავრცელებადი კორუფცია და სიღარიბის დონე, რაც უცხოელი და ადგილობრივი ინვესტიციებისთვის მასტიმულირებელ გარემოს არ ქმნის.

ასევე "ფაინენშალ თაიმსს" დაესესხა ინდექსის მწარმოებელი ორგანიზაცია საქართველოში "შავი ბაზრის" მასშტაბების შეფასებისას. ამ გავლენიანი გაზეთის თანახმად, "საქართველო ღია კარია კონტრაბანდისთვის". ქვეყნის შავ ბაზარზე აქტიური ვაჭრობის საგანია არა მხოლოდ სამომხმარებლო საქონელი (ფქვილი, შაქარი, სიგარეტები), არამედ მეკობრული კომპიუტერული პროგამული უზრუნველყოფა, კომპაქტ-დისკები, ვიდეო-აუდიო კასეტები და ა.შ. ამ სფეროში საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გამოსასწორებელი.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მთავარი ექსპერტის ვლადიმერ პაპავას შეფასებით, როგორც წესი, "ჰერითეიჯ ფაუნდეიშენის" მიერ ჩატარებული მსგავსი გამოკვლევები საკმაოდ პირობითია და ისინი ობიექტურ სურათს ვერ ქმნიან. ამის ერთ-ერთ მთავარ დამადასტურებელ არგუმენტად პაპავა ამ გამოკვლევისას ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გაუთვალისწინებლობას ასახელებს, როგორიცაა საქართველოში ბოლო წლებში გახშირებული ბიზნესმენთა გატაცების ფაქტები. **"გაუგებარია, რომელ ეკონომიკურ თავისუფლებაზეა საუბარი, როცა ბიზნესმენებსა და ცნობილ ადამიანებს ასე ხშირად იტაცებენ?!"** - აცხადებს ექსპერტი. გარდა ამისა, იგი არასანდოდ მიიჩნევს ზოგიერთ მონაცემს დსთ-ს ქვეყნებთან დაკავშირებით. კერძოდ, პაპავას აზრით, ნაკლებ სარწმუნოა, რომ ჩვენს მეზობელ სომხეთში ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი ასე თვალშისაცემად მაღალი იყოს (მისი ქულა, ისევე, როგორც საფრანგეთის, პოლონეთისა და მალტის 2.70-ის ტოლია) საქართველოს, რუსეთისა და დსთ-ს სხვა ქვეყნებთან შედარებით. მიუხედავად გარკვეული სკეპტიციზმისა, პაპავას მიაჩნია, რომ "ჰერითეიჯ ფაუნდეიშენის" ინდექსში საქართველო არც თუ ურიგოდ არის წარმოდგენილი.

# თბილისს გაზი, მინიმუმ, თვენახევრით შეუწყდა

სოფიკო ოხანაშვილი

*თბილისში გაზი კვლავ გაითიშა. ამის მიზეზად "საქგაზში" "თბილგაზის" დავალიანებას ასახელებენ. ეს პრობლემა გაზის გათიშვამდე რამდენიმე საათით ადრე თითქოს მოგვარებული იყო. "საქგაზისაგან" თამაშის წესების დარღვევა კანცელარიისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლეიშვილმა გაზის შეწყვეტა ზაფხულში მოსულ თოვლს შეადარა. გუშინ "საქგაზი"-"თბილგაზის" მოლაპარაკების პროცესში ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიაც ჩაერთო, თუმცა უშედეგოდ. ასევე ამაო გამოდგა სახელმწიფო მინისტრის კიდევ ერთი მოადგილის გიორგი ისაკაძის მოსკოვში ელვა-ვიზიტი. რუსულ გაზს თბილისელ მომხმარებლამდე სამი მილიონი ლარი აშორებს.*

საქართველოში რუსული გაზის მთავარი მიმწოდებელი "იტერა" და მისი "ქართველი" შვილობილი კომპანია "საქგაზი" თბილისს 16 მილიონი ლარის დავალიანებიდან სამი მილიონი ლარის დაუყოვნებლივ დაფარვას სთხოვენ. "თბილგაზსა" და "იტერას" შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ქართულმა მხარემ, მიმდინარე გადასახადების გარდა, ყოველთვიურად წინა წლებში დაგროვილი დავალიანების 30-30 პროცენტი უნდა დაფაროს. "საქგაზისა" და "იტერას" გუშინდელი მოულოდნელი გადაწყვეტილება თბილისისთვის გაზის შეწყვეტის თაობაზე ძველი დავალიანების გადაუხდელობას უკავშირდება.

**"თბილგაზს" "საქგაზისა" 7,3 მილიონი ლარი მართებს. ჩვენი კომპანია თანახმა იყო, 3 მილიონი ლარის მიღების შემთხვევაში გაზი არ გამოერთო. საქართველოს მთავრობა ამ თანხის დაფარვას 25 ივნისისთვის დაგვპირდა, თუმცა ამ დროისათვის "საქგაზის" ანგარიშზე არც ერთი თეთრი არ გადმორიცხულა, ამიტომ იძულებულები ვიყავით, "თბილგაზისათვის" ბუნებრივი აირის მიწოდება შეგვეწყვიტა",** - აცხადებენ "საქგაზში."

ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ ჯერჯერობით უცნობია, სახელმწიფოს რომელი ჯიბიდან უნდა დაიფაროს დავალიანება. "საქგაზში" მიიჩნევენ, რომ ვალი თბილისის მერიამ უნდა გაისტუმროს, რასაც თბილისის მერი არ ეთანხმება.

ვალის საკითხმა მოსკოვში ჩაიყვანა გიორგი ისაკაძე. სახელმწიფო კანცელარიის კიდევ ერთი მაღალჩინოსნის, მამუკა ნიკოლეიშვილის განცხადებით, "იტერასთან" ისაკაძის მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. რუსული კომპანია სამი მილიონი ლარის გადახდას კვლავ ითხოვს.

გუშინ სალამოს მოლაპარაკების პროცესში სემეკიც ჩაერთო. "**კომისიამ დაადგინა, რომ "თბილგაზს" წინსწრებით აქვს 700 ათასი ლარი გადახდილი. ამდენად, ვალი სამი მილიონი ლარი აღარ არის. თუმცა, "საქგაზი" კვლავ სრულ თანხას ითხოვს**", - აღნიშნა მამუკა ნიკოლეიშვილმა. მისი თქმით, "საქგაზს" კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოს მეშვეობით შეუძლია.

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც კითხვებს ბადებს. "თბილგაზის" გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავას განცხადებით, იმ შემთვევაში, თუ გაზის მიწოდება განახლდა, მომხმარებელი ბუნებრივ აირს თვენახევარზე ადრე ვერ მიიღებს. გამოდის, რომ თბილისი ზაფხულს გაზის გარეშე გაატარებს. "თბილგაზში" აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილის თბილისში არ ყოფნის გამო, აირის გაშვება შეიძლება სერიოზული ავარიების მიზეზი გახდეს.

თბილისში გაზის გათიშვა საეჭვოდ დაემთხვა "თბილგაზის" შესაძლო ინვესტორთან, ისრაელის კომპანია "ტაჰალთან" მოლაპარაკების დაწყებას. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე "იტერასა" და "საქგაზს" "თბილგაზში" შესვლის რამდენიმე უშედეგო მცდელობა ჰქონდათ.

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის სოლომონ პავლიაშვილის თქმით, **"მოლაპარაკება ყოველდღე მიმდინარეობს. ხელშეკრულებას, დაახლოებით, ხუთი ივლისისთვის მოეწერება ხელი".**

ჯერჯერობით, გაზის გათიშვასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს "თბილგაზის" გენერალური დირექტორი, რომლის უწყებასაც "საქგაზთან" საეჭვო გარიგებაში სდებენ ბრალს. გუშინ ვახტანგ ცაავა გამოეხმაურა 26 ივნისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ კონტროლის პალატის სკანდალურ განცხადებას "თბილგაზსა" და "საქგაზს" შორის არსებული საეჭვო გარიგების შესახებ, რის გამოც მოსახლეობა გაზის საფასურს ორჯერ იხდის. რას ნიშნავს ეს? კონტროლის პალატისა და ანტიკორუფციული ბიუროს ვერსიის მიხედვით, "საქგაზი" "თბილგაზს" სინამდვილეში უფრო ნაკლებ გაზს აწვდის, ვიდრე ოფიციალურად აფორმებს. "ნამატი" გაზის საფასური, რომელიც მხოლოდ ქაღალდზე აისახება და "თბილგაზის" მომხმარებელს არ მიეწოდება, ბიუჯეტიდან იფარება. სწორედ ამის გამო, თბილისელებს "იტერას" შვილობილი კომპანია "საქგაზისთვის" ორჯერ უწევთ გაზის საფასურის გადახდა.

"24 საათთან" საუბარში ცაავამ უარყო მოსახლეობის მიერ გაზის ორჯერ გადახდის ფაქტი და ამ ინფორმაციას არასწორი უწოდა, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევებს მისი მუშაობის პერიოდში არ ჰქონია ადგილი. **"მე არ მინდა შევეხო ძველ ხელმძღვანელებს - რა, როგორ და რანაირად იყო. ეს შსს-სა და კონტროლის პალატის მასალებშია ასახული. მე ვიცნობ ამ მასალებს. მე არ ვიცი, რა იყო ადრე, მაგრამ ჩემი მუშაობის პერიოდში, არც ორჯერ გადაუხდია გადასახადი ვინმეს და არც არარსებული გაზის მოსახლეზე მიწერა არ ყოფილა,"** – განაცხადა "თბილგაზის" გენერალურმა დირქტორმა. ვახტანგ ცაავას თქმით, იგი მზად არის, ითანამშრომლოს ანტიკორუფციულ ბიუროსთან, პროკურატურასთან და შსს-თან.

**"მე მზად ვარ, რომ მივმართო ანტიკორუფციულ ბიუროსაც, პროკურატურასაც და შსს-აც, რათა მათ ლიად შეამოწმონ ამ ხუთი თვის განმავლობაში "თბილგაზის" საქმიანობის ნებისმიერი სფერო. ასე რომ, მე არანაირი პრობლემა არა მაქვს, პირიქით, ყველას ხელს შევუწყობ დარღვევების გამომჟღავნებაში,** - აღნიშნა ცაავამ, - **ჩემი მუშაობის პერიოდში ზედმეტად დაწერილი გაზი კონკრეტულ მოსახლეზე არ ყოფილა".**

# პრობლემა ისლამში კი არა, მის არასწორ გაგებაშია

შოთა უტიაშვილი

გთავაზობთ ინტერვიუს იმამ იაჰია ჰენდისთან. იმამი ჰენდი არის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის კაპელანი, ჩრდილოეთ ამერიკის ისლამის იურიდიული საბჭოს ოფიციალური წარმომადგენელი, ეროვნული და საერთაშორისო რწმენათშორისი საბჭოების წევრი.

მისი მოღვაწეობა მიზნად ისახავს სხვადასხვა რწენებისა და რელიგიების (როგორც ამერიკაში, ისე დანარჩენ ქვეყნებში) დაახლოებას, ანუ, როგორც თვითონ ამბობს, მათ შორის "ხიდის გადებას".

**- თქვენი აზრით, ნაპრალი ისლამსა და სხვა რელიგიებს შორის ღრმავდება?**

- არა, უბრალოდ, მასმედია უფრო მეტად არის ფოკუსირებული მათ შორის არსებულ განსხვავებაზე, ვიდრე საერთო თვისებებზე.






როგორ აშუქებდა პრესა 11 სექტემბრისა და მის შემდგომ მოვლენებს? ყველა ტელეარხზე იმ 13-14 პალესტინელს ვხედავდით, რომლებიც 11 სექტემბრის შემდეგ ქუჩაში ცეკვავდნენ და არ გვინახავს ის უამრავი მემორიალური ცერემონიალი, ის უამრავი პარაკლისი, რომელიც ისლამური სამყაროს ბევრ ქალაქში გადაუხადეს ტერაქტის მსხვერპლთ.

**- როგორ შეიძლება ამ ნაპრალის ამოვსება?**

- განათლების საშუალებით. ადამიანებს არ ესმით ერთმანეთის, იმიტომ, რომ არ იცნობენ ერთმანეთს. ურთიერთობების მოწესრიგების მეორე საშუალებაა დიალოგი, როგორც პოლიტიკოსებს, ისე სამღვდელოებას, აკადემიურ წრეებს, ახალგაზრდობასა და ქალებს შორის.

**- თუ ამ ლოგიკას გავყვებით, 11 სექტემბერი იყო საუკეთესო შანსი იმისათვის, რომ მხარეები უფრო მეტად დაინტერესებულიყვნენ და გაეგოთ ერთმანეთისთვის.**

- დიახ, რასაკვირველია. 11 სეტქემბრის შემდეგ საოცრად გაიზარდა ამერიკელთა დაინტერესება ისლამით. თითქმის ყველა დიდმა ამერიკულმა ეკლესიამ ფართოდ გაუღო კარი მუსულმანებს და სთხოვა მათ, საკუთარ რელიგიაზე მოეთხროთ. მუსულმანებს საკვირაო ღვთისმსახურებაზეც იწვევენ და მათ ყურანის წაკითხვას სთხოვენ. 11 სექტემბრის შემდეგ არა მარტო ქრისტიანებმა, არამედ სხვა რელიგიის წარმომადგენლებმა ფართოდ გაუღეს კარი და გული მუსულმანებს.

**- თქვენი აზრით, რამდენად კარგად იცნობენ ისლამს სხვა რელიგიების წარმომადგენლები? ხომ არ ხდება ისლამის ასოცირება მხოლოდ ტერორიზმთან?**

- დღეს შევხვდი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. მან თქვა და მეც სრულიად ვეთანხმები, რომ რელიგიურ მცნებებს მხოლოდ მუსლიმები არ არღვევენ. ამას აკეთებენ ქრისტიანებიც, იუდეველებიც, ბუდისტებიცა და სხვებიც. მნიშვნელოვანია, რომ რელიგია აღიქვან, როგორც რელიგია - განცალკევებით იმ ხალხისაგან, ვინც მას მისდევს. როგორც უკვე ვთქვი, ამერიკა ძალიან დაინტერესდა ისლამით. ამერიკელი გამომცემლები ამბობენ, რომ ვისაც ფულის გაკეთება უნდა, ისლამზე უნდა დაბეჭდოს წიგნი. რა თქმა უნდა, აქ ისეთი პუბლიკაციებიც ურევია, რომლებიც ლანძღავენ ისლამს, მაგრამ, ძირითადად, ეს პუბლიკაციები იცავენ ისლამს და აღიარებენ ამ რელიგიის მშვიდობიან ბუნებას.

**- თქვენ აქცენტს აკეთებთ 11 სექტემბრის პოზიტიურ შედეგებზე. თუმცა, არის სხვა მხარეც. ბევრი გამოთქვამს შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ თუ გამეორდა ამ ტერაქტის მსგავსი თავდასხმები, შეიძლება რეალობად იქცეს ის, რასაც ჰანტინგტონი ცივილიზაციათა შეჯახებას უწოდებს.**

- ჯერ ერთი, ჰანტინგტონმა რამდენიმე ხნის წინ გამოაქვეყნა წიგნი, სადაც უარყო ცივილიზაციათა შეჯახების თეორია. ასე რომ, ჩვენ რატომ უნდა დავიჯეროთ ის, რისიც თვითონ ჰანტიგტონს აღარ სჯერა. მეორე, ეს თეორია მართალიც რომ იყოს, ჩვენი, პოლიტიკოსებისა და სულიერი ლიდერების მოვალეობაა, ეს საფრთხე ავირიდოთ. მესამეც, ამერიკაში ახლახან გამოვიდა წიგნი, რომლის ავტორია ჯორჯ გრეგორი, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ საუბარი უნდა იყოს არა ცივილიზაციათა შეჯახებაზე, არამედ ინტერესთა შეჯახებაზე. რელიგია და კულტურა აქ არაფერ შუაშია. რელიგია არ უნდა იქნას გამოყენებული იმისთვის, რომ გააღრმაოს დაპირისპირება, პირიქით, მან შემრიგებლის როლი უნდა ითამაშოს. სულიერმა ლიდერებმა არავის უნდა მისცენ უფლება, რელიგია, განსაკუთრებით კი, რელიგიური ექსტრემიზმი პირადი ინტერესებისათვის გამოიყენოს. სწორედ ეს თქვა დღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

**- მაგრამ მაინც ბევრი გამოთქვამს შიშს, რომ ხდება ისლამის სწრაფი პოლიტიზირება.**

- ჯერ ერთი, არა მხოლოდ ისლამს იყენებენ პოლიტიკური მიზნებით, ქრისტიანობა და იუდაიზმიც არაერთხელ ყოფილა ამ მიზნით გამოყენებული. მე, როგორც მუსულმანი, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ისლამის პოლიტიზირება ავიცილოთ თავიდან. მეორეც, არანაირი ისლამის კრიზისი არ შეიმჩნევა და მას ვინმეს მხრიდან დაცვა არ სჭირდება. მისი სათავე და საფუძველი ყველასათვის აშკარაა. პრობლემა არის არა თავად ისლამში, არამედ იმაში, თუ როგორ ესმის და როგორ მისდევს მას ზოგიერთი. მაგალითად, ბინ ლადენი ამტკიცებს, რომ ამერიკელების გაჟლეტა ღვთისნიერი საქმეა. სად წაიკითხა მან ეს, ყურანის რომელ სურაში? პირიქით, ყურანის მეორე თავი, 256-ე სურა ამბობს, რომ ძალადობას რელიგიაში ადგილი არა აქვს, ადამიანის ძალით გამაჰმადიანება არ შეიძლება. სხვაგან ალაჰი ამბობს: "ჰოი, ადამიანებო, მე თქვენ შეგქმენით ერთი ქალისა და ერთი კაცისაგან და შეგქმენით თანასწორნი, ერებად და ტომებად, რათა თქვენ იცნობდეთ ერთმანეთს". წინასწარმეტყველი მუჰამედი ამბობს, რომ ის, ვინც მოკლავს ებრაელს ან ქრისტიანს, მომკლავს მე თვითონ. ტრადიციული ისლამური სამართალი თვით ბრძოლის ველზეც კი არ იძლევა მშვიდობიანი ადამიანის მკვლელობის უფლებას. ამიტომ ვამბობ, რომ ისლამს ბოროტად იყენებს ის ხალხი, ვისაც აქვს პოლიტიკური და არა რელიგიური მოთხოვნები. თუმცა, ხდება ისეც, რომ ჩვენ თვითონ ვუტეხთ სახელს ჩვენს რელიგიას. მაგალითად, ყველას გვახსოვს, როგორ ეპყრობოდა თალიბანი ქალებს. თან ეს ისლამის სახელით კეთდებოდა, ისევე, როგორც ავღანეთში ბუდისტური მონუმენტების განადგურება. მუსულმანებმა უნდა გადახედონ თავიანთი მოქმედების მანერას და გარკვეული რეფორმაც გაატარონ. მაგრამ, ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ფუნდამენტური და ჭეშმარიტი ღირებულებების უგულებელყოფას. მაგრამ არის ხალხი, ვისაც ისლამი არ მოსწონს და არც უნდა, რომ მოსწონდეს, როგორიც არ უნდა იყოს იგი.

**- მაგრამ ქალებს, როგორც არათანასწორებს, არა მხოლოდ თალიბანი ეპყრობოდა.**

- იცით, მე რვა წლის ვიყავი, როდესაც დავინტერესდი ისლამური თეოლოგიით სწორედ ამ პრობლემის გამო. მე დავინახე, როგორ ეპყრობოდა მამაჩემი დედაჩემს, როგორ აიძულებდა მას უსიტყვო მორჩილებას და როგორი სასტიკი წინააღმდეგი იყო, რომ ჩემს 7 დას განათლება მიეღო. არადა, ყურანი გვასწავლის, რომ განათლების მიღება ყველა ადამიანის რელიგიური მოვალეობაა. მე უკვე მაშინ მივხვდი, რომ ადამანებს არ ესმით ან არ სურთ გაიგონ, რა არის ისლამი. როცა მე სკოლა დავამთავრე, მამაჩენს უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავი. მე კი თეოლოგია ავირჩიე, რადგანაც ვფიქრობდი, რომ ისლამის არასწორი ინტერპრეტაცია უნდა შეწყდეს. ასევე დაუშვებელია, რომ რელიგია გადაიქცეს კულტურად და კულტურა - რელიგიად.

**- მაშინ რამ გამოიწვია ისლამის არასწორი ინტერპრეტაცია?**

- ეს ბოლო 150 წლის მანძილზე მოხდა. ვფიქრობ, ეს ტენდენცია ოსმალთა ხალიფატის დაცემის შემდეგ შეიცვალა. ხალიფატის დაცემამ მოსპო მთელი სისტემა - განათლების, სოციალური. ამას მოჰყვა კოლონიალიზმი. როდესაც ბრიტანელებმა, ფრანგებმა და სხვებმა მუსლიმური ქვეყნები დაიპყრეს, მათ დაანგრიეს სკოლები და მეჩეთები. არათუ ქალებმა, მამაკაცებმაც დაკარგეს განათლების მიღების შესაძლებლობა. ამან შეუწყო ხელი უმეცრების გავრცელებას. უსამართლობამ და სიღარიბემ კი ხელი შეუწყო რადიკალიზმს. ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში კაცებს წვერის ტარების ეშინიათ, ქალებს კი - ჩადრის ტარების. ამ ქვეყნებში აკრძალულია მეჩეთში შესვლა. პოლიტიკური რეპრესია კი იმავე ძალის უკურეაქციას იწვევს. როცა ადამიანები ღვთისგან მინიჭებულ უპირველეს უფლებას, თავისუფლებას კარგავენ, მათი საქციელის წინასწარმეტყველება შეუძლებელი ხდება. მთელ მსოფლიოში არის ოკუპირებული მიწები და ლტოლვილები. ეს უნდა დასრულდეს, რათა დასრულდეს ისლამური რადიკალიზმიც. განთლება, თავისუფლება და სამართლიანობა ერთადერთი შესაძლო გამოსავალია. როცა რელიგიურ ჯგუფს ღვთისმსახურების უფლებას ართმევ, იგი მაშინვე იატაკქვეშა, საიდუმლო ორგანიზაციად იქცევა. ამგვარი ორგანიზაციები რადიკალიზმის წყაროა. ამიტომ სინდისის თავისუფლება ყველას უნდა ჰქონდეს. რესურსების განაწილება ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგი ნავთობის ფულით მილიარდებს შოულობს, ბევრს კი საჭმლის ფული არა აქვს. აუცილებელია დიალოგის დაწყება. ქალებმა და ბავშვებმა ამ დიალოგში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ. ასე ფიქრობს მუსლიმთა უმრავლესობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ჩუმად არიან, მაშინ, როდესაც უმცირესობა, უმრავლესობის სახელით, საზოგადოებას თავის შეხედულებებს ახვევს თავს.

## საერთაშორისო ამბები

## არაფატი მომავალ არჩევნებში კენჭს იყრის

ოთხშაბათს პალესტინის კაბინეტის წევრმა ნაბილ შაათმა გააკეთა განცხადება, რომ პალესტინის ლიდერი იასირ არაფატი მომავალი წლის იანვარში დაგეგმილ არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურისა და საკანონმდებლო საბჭოს არჩევნები პალესტინაში, სავარაუდოდ, 2003 წლის იანვარის შუა რიცხვებში შედგება. შაათის აზრით, არსებული პოლიტიკური კლიმატის პირობებში პალესტინური ტერორისტული ორგანიზაცია ჰამასის წევრები საკანონმდებლო ორგანოში, შესაძლოა, უმრავლესობაშიც კი აღმოჩნდნენ. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, აქ მათი პოზიციები უფრო სუსტია და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ არაფატს სერიოზული კონკურენცია გაუწიონ. ბოლო პერიოდის გამოკითხვებით, არაფატის რეიტინგი პალესტინელებს შორის საკმაოდ მაღალია.

შაათი აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ახლო აღმოსავლეთის ახალ სამშვიდობო ინიციატივას მიესალმა, მაგრამ შეშფოთება გამოთქვა პრეზიდენტის პროისრაელურ ტონთან დაკავშირებით, რომელიც პალესტინელი ექსტრემისტების პოზიციების შემდეგომ რადიკალიზაციას გამოიწვევს.

*Reuters*

## დიდი რვიანის სამიტი

ოთხშაბათს კანადის საკურორტო ქალაქ კანანასკისში დიდი რვიანის (აშშ, კანადა, რუსეთი, იაპონია, ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია) ყოველწლიური სამიტი გაიხსნება. ეკონომიკური სამიტის დღის წესრიგის მთავარი საკითხი ახალი ანტიტერორისტული გეგმის განხილვაა. აშშ-ს პერზიდეტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ სამიტის მსვლელობისას გეგმავს დიდი რვიანის ლიდერების დარწმუნებას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების აუცილებლობაში. გარდა ამისა, დიდი რვიანის ქვეყნების ლიდერები განიხილავენ ერთობლივ "სამოქმედო გეგმას", რომელიც საჰარეო და საზღვაო ტრანსპორტით ადამიანებისა და ტვირთის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად სათანადო ღონისძიებების გატარებას გულისხმობს. დღის წესრიგის კიდევ ერთი საკვანძო საკითხი შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაა. გაერო-ს ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, შიდსის ვირუსის სწრაფი გავრცელების შედეგად, 10-15 წლის შემდეგ აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის ზოგიერთი სახელმწიფო შეიძლება განადგურების პირას აღმოჩნდეს.

კანანასკისში უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები მიიღეს, რათა შარშან გენუაში დიდი რვიანის სამიტის დროს მომხდარი მოვლენების გამეორება აიცილონ თავიდან. გენუაში ანტიგლობალისტების ხალხმრავალი დემონსტრაციები გაიმართა. დემონსტრანტების პოლიციასთან შეტაკების შედეგად ერთი დემონსტრანტი დაიღუპა. კანადელი ანტიგლობალისტების გამოსვლები კალგარისა და ოტავაშიც არის დაგეგმილი.

*CNN*

## ნატო-ს თვითმფრინავებმა ერაყი დაბომბეს

ოთხშაბათს აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა ერაყის ჩრდილოეთში ფრენისთვის დახურული ზონა დაარღვიეს, რის შემდეგაც ერაყის სამხედრო ძალებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. საპასუხოდ მოკავშირეების თვითმფრინავებმა ერაყის ძალებზე სარაკეტო იერიში მიიტანეს. მოკავშირეთა ყველა თვითმფრინავი ბაზაზე უვნებლად დაბრუნდა. ინციდენტის დეტალები ჯერ დაზუსტებული არ არის.

*Reuters*

## კავკასიის ამბები

## უზბეკური პინგ-პონგი

"უზბეკეთი არ აპირებს სუუამ-ის დატოვებას," – განაცხადა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანატოლი ზლენკომ სტამბოლში შავი ზღვის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტზე. ზლენკომ ეს განცხადება საქართველოს, მოლდოვისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ გააკეთა. ზლენკო შეხვედრის განმავლობაში ტელეფონით ესაუბრა თავის უზბეკ კოლეგას აბდულაზიზ ქამილოვს. აღმოჩნდა, რომ ორი კვირის წინ უზბეკეთის მიერ პარტნიორებისათვის გაგზავნილი ოფიციალური ნოტა სუუამ-ის დატოვების შესახებ, "არასწორად იქნა ინტერპრეტირებული".

ძნელია დაეთანხმო ანატოლი ზლენკოს ვერსიას, ვინაიდან 13 ივნისს უზბეკეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ცხადად იყო გამოხატული არა მარტო სუუამის დატოვების სურვილი, არამედ ამ სურვილის მოტივაციაც.

ახლა კი ტაშკენტი აცხადებს, რომ უზბეკეთი სუუამ-იდან კი არ გავიდა, არამედ დროებით შეაჩერა თავისი წევრობა და ეს გადაწყვეტილება შეიძლება კვლავაც შეცვალოს.

როგორც სუუამ-იდან უზბეკეთის მოულოდნელი წასვლა, ასევე დაბრუნებაც კვლავ ვარაუდების დონეზე შეიძლება აიხსნას. რუსეთის საინფორმაციო საშუალებები უზბეკეთის გადაწყვეტილების შეცვლას ამერიკელების მხრიდან დიპლომატიურ და ფინანსურ ზეწოლას უკავშირებენ. უზბეკეთის სუუამ-იდან გამოსვლის მეორე დღესვე თეთრმა სახლმა იმედი გამოთქვა, რომ უზბეკეთი "გადახედავდა თავის გადაწყვეტილებას". რამდენიმე დღეში ტაშკენტში ჩავიდა ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, რომელმაც, როგორც ჩანს, პრეზიდენტ ქარიმოვს ამერიკული ფინანსური დახმარების შემცირებაზე ჩამოუგდო სიტყვა, რაც საკმარისი აღმოჩნდა უზბეკეთის სუუამ-ში სასწრაფოდ დასაბრუნებლად.

## ირანი ამერიკულ დახმარებას მიიღებს

"დახმარება დახმარებაა," – ამ სიტყვებით ირანის პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ თანხმობა განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შეთავაზებული ჰუმანიტარული დახმარების მიღებაზე. გუშინ ხათამი დანგრეულ პროვინციებს ეწვია, რომელთაგან ყველაზე მეტად დაზარალდა ყაზვინი და მისი შემოგარენი.

ამერიკული დახმარება შაბათის დამანგრეველი მიწისძვრის დროს დაზარალებულთათვისაა განკუთვნილი. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა თეირანს შესთავაზა დანგრეული სოფლებისა და ქალაქების საკვებით, ასაწყობი სახლებითა და წყლის საწმენდი მოწყობილობებით მომარაგება.

შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს, ამიტომაც დახმარება დაზარალებულ რეგიონებს შვეიცარიის საელჩოს გავლით მიეწოდება, რომელიც ირანში შეერთებული შტატების ინტერესებს წარმოადგენს.

შაბათს ირანის მიწისძვრის შედეგად 230 ადამიანი დაიღუპა და 80 ათასი უსახლკაროდ დარჩა.

## „სამი ზღვის„ პროგრამა აუცილებლად განვითარდება

კასპიის ზღვის ნავთობის ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში ტრანსპორტირების გეგმა პრაქტიკულ კონტურებს იძენს. რუმინეთის პრეზიდენტმა იონ ილიესკუმ სტამბოლიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ საქართველოს, აზერბაიჯანის, ბულგარეთისა და თურქეთის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ლიდერებმა განიხილეს "სამი ზღვის" სატრანსპორტო პროექტი, რომელიც კასპიის, შავი და ხმელთაშუა ზღვის შემაერთებელი "ენერგეტიკული ხიდის" აგებას ითვალისწინებს. ილიესკუს თქმით, ხუთი სახელმწიფოს ლიდერებმა განიხილეს პროექტი, რომლის მიხედვითაც კასპიის ზღვის სამხრეთში მოპოვებული ნავთობი და გაზი ბალკანეთის გავლით დასავლეთ ევროპაში გადაიტვირთება. ამ პროექტის ხორცშესხმის გეგმების განხილვას ილიესკუ მომავალ კვირას საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს განაგრძობს.

# მთავარია(?) დამღა - „საერთაშორისო"

## საბაჟო-ენისა და კულტურის უნივერსიტეტში

ნატა ანდრიაძე

*ალბათ, დადგება დრო, როდესაც სკოლის დამამთავრებელი სახელმწიფო გამოცდებისა თუ გარკვეული ტესტირების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები ღია კარის დღეებზე მშობლების გარეშე მივლენ. უფრო სწორად, თავიანთი ფაკულტეტების სასწავლო გარემოს გასაცნობ პრეზენტაციებზე, სადაც ლექტორები სცენაზე არ სხედან და შეშინებულ სტუდენტებს ოლიმპიური სიმაღლიდან არ გადმოყურებენ, სადაც რომელიმე აუდიტორიაში ლექტორები და სტუდენტები წრეში ჩადგმულ სკამებზე ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან და მომავალი სასწავლო წლის პრაქტიკულ მხარეებზე თავისუფლად და ურთიერთპატივისცემით საუბრობენ. თუმცა, ასეთ სიტუაციას განათლების სისტემის რეფორმა სჭირდება, ის კი ჯერ არ დასრულებულა, ჩვენ ისევ ე.წ. პროცესში ვიმყოფებით.*

23 ივნისს ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში ღია კარის დღე გაიმართა. სიტუაცია აქ ძველი და კარგად ნაცნობი იყო: მშობლებითა და მდედრობითი სქესის აბიტურიენტებით გადაჭედილი დარბაზი, სცენაზე შეკრებილი რექტორი, პრორექტორები, კათედრის გამგეები, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეები, შესავალი სიტყვები და ქაღალდის ნაგლეჯებზე გაგზავნილი შეკითხვები.

აბიტურიენტები სიხარულს ვერ ფარავდნენ იმის გამო, რომ ბილეთებში არ იქნება შეტანილი "ჯაყოს ხიზნები". უხაროდათ ისიც, რომ მათ წინადადების სინტაქსურ და მორფოლოგიურ გარჩევას არ მოსთხოვენ; სამაგიეროდ, აუცილებელია ბიოგრაფიების დეტალური ცოდნა. მოკლედ, როგორც **ამირან ლომთაძემ** განაცხადა, აბიტურიენტებს მოეთხოვებათ ქართულ ენასა და ლიტერატურაში ერისა და ტრადიციების შესაბამისი ცოდნა. მომავალმა სტუდენტებმა უნდა ჩააბარონ სკოლაში 6 წლის განმავლობაში ნასწავლი მსოფლიოსა და საქართველოს ისტორის საკითხები. თუმცა, **ნოდარ ასათიანმა** ისინი მალე „დაამშვიდა", - აქვე, პირველ სართულზე ჩემი ავტორობით გამოსული მოკლედ მოთხრობილი მსოფლიო ისტორიის საკითხები იყიდება და ის შეიძინეთო.

მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კარგად ნაცნობ ძველში სიახლე ნამდვილად შეიმჩნეოდა. ენისა და კულტურის უნივერსიტეტის რექტორმა, **იური მოსიძემ** ნამდვილად კარგად იცის, ქარი საიდან უბერავს. მისი სიტყვა გლობალიზაციისა და ლიბერალიზაციის ნიშნით წარმოებულ, ბიზნესსა და წარმატებაზე ორიენტირებულ განათლებას შეეხებოდა. ამ ორიენტაციას ადასტურებს უნივერსიტეტში ბოლო ორი წლის მანძილზე შემოღებული სპეციალობებიც. ტრადიციულ "უცხო ენების პედაგოგისა და მთარგმნელ-თარჯიმნის" სპეციალობას რამდენიმე, ყველასთვის უკვე კარგად ცნობილი სპეციალობა დაემატა: საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო და ინტერნეტული ჟურნალისტიკა. რა თქმა უნდა, გაიხსნა საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტიც, სადაც აბიტურიენტებს მოამზადებენ საბანკო, საბაჟო და საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერთა სპეციალობებზე. უკვე მეორე წელია, არსებობს ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიც.

დამეთანხმებით, ჩამონათვალი საკმაოდ შთამბეჭდავია; ამ შთაბეჭდილებას კი მრავალჯერ ნათქვამი სიტყვა "საერთაშორისო" მატებს განსაკუთრებულ წონასა და "გლობალიზაციისკენ ორიენტირებული წარმატებული ბიზნესის" ხიბლს.

რამდენად წარმატებულნი იქნებიან ამ უნივერსიტეტის კუსდამთავრებულნი შრომით ბაზარზე? სულ მალე ვნახავთ. თავად უნივერსიტეტისთვის კი, ეს სპეციალობები ნამდვილად უნდა იყოს სარფიანი ბიზნესის საწინდარი. მით უმეტეს, რომ აქ ფასიან განყოფილებებზე სწავლა 600-800 დოლარამდე მერყეობს.

საერთაშორისო სპეციალობებიდან განსაკუთრებით ინტერნეტული ჟურნალისტიკით დავინტერესდით. როგორც ამ ფაკულტეტის ხელმძღვანელის, **რევაზ სურგულაძის** გამოსვლიდან შევიტყვეთ: **"ინტერნეტული ჟურნალისტიკა სტუდენტებს ელექტრონული ჟურნალ-გაზეთების გამოშვებას შეასწავლის."** ახალი წამოწყების წარმატებისთვის ბატონ სურგულაძეს ინტერნეტ-ქსელში უკვე დამკვიდრებულ გამომცემლობებთან მჭიდრო ურთიერთობა მიაჩნია. ასეთ ჟურნალად კი მან ამერიკაში მცხოვრები ქართული დიასპორის მიერ გამოცემული ჟურნალი "კვალი" დაასახელა!

"საერთაშორისო" დამღას გადარჩენილებიდან ყურადღება ფილოსოფიისა და სოციოლოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა მიიქცია. სწავლების წესი ამ განყოფილებაზე ნამდვილად საერთაშორისო უნდა იყოს: ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლება ლიბერალურია. პირველი 4 წლის განმავლობაში სტუდენტი ვალდებული არ არის, რომელიმე ვიწრო სპეციალობა ამოირჩიოს. მაგისტრატურა კი მას შემდეგ სპეციალობებს სთავაზობს: ფილოსოფია, სოციალური თეორია, ესთეტიკისა და ხელოვნების თეორია, პოლიტიკური მეცნიერებები და სხვა. თანაც, როგორც წესი, მათთან წელიწადში ორჯერ სხვადასხვა კურსს ევროპელი სპეციალისტები წაიყვანენ ხოლმე.

მოკლედ, ყოფილ უცხო ენათა ინსტიტუტში ასარჩევი ბევრია და ისღა დაგვრჩენია, აბიტურიენტებს ფრთხილი და წარმატებული არჩევანი ვუსურვოთ.

***P.S.*** *თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის ინსტიტუტში საბუთების მიღება 1 ივლისიდან დაიწყება. ასევე 1 ივლისიდან დაიწყება და 20 ივლისამდე გასტანს კონსულტაციები ყველა საგანში. მისაღები გამოცდები ჩატარდება 23 ივლისიდან 10 აგვისტომდე. უნივერსიტეტის პირველ სართულზე ყოველდღე იმუშავებს ცნობათა ბიურო, გარდა ამისა, უნივერსიტეტის ჯიხურში მსურველებს შეეძლებათ საგამოცდო ცნობარის შეძენაც.*



*ღია კარის დღე*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# აქცია სახელმწიფო ტელევიზიაში

მაკა ჭაიანი

**"არავინ იფიქროს, ყველაფერი ამით დამთავრდება, აქციები გაგრძელდება მანამ, სანამ ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ,"** - ამ სიტყვებით დაიშალა გუშინ, სახელმწიფო ტელევიზიის კიბეებზე, ტელევიზიის ოცამდე თანამშრომლის მიერ მოწყობილი აქცია.

**"აქ არიან ტელევიზიის ჟურნალისტები, რეჟისორები, მუსიკათმცოდნეები, მხატვრები. შესაძლოა, ამ შემთხვევაში ცოტანი ვართ, მაგრამ თანამოაზრე ბევრი გვყავს. უბრალოდ, ხალხი დაშინებულია, მათხოვრული 35-ლარიანი ხელფასის დაკარგვა არ უნდა,"** - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თამარ ბოლქვაძემ, - **"დიდხანს ვიყავით ჩუმად, ბევრი ვითმინეთ, მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი. სახელმწიფო ტელევიზიაში განუკითხაობა სუფევს, აქ მონათმფლობელური წყობილებაა, ჩვენ კი არ გვინდა ვიყოთ მანთურქები."**

ასეთ ემოციურ განცხადებებს, აქციის მონაწილეთა განმარტებით, ფონი კონტროლის პალატის მიერ ტელევიზიაში ჩატარებული შემოწმების დასკვნამ შეუქმნა. ლუიზა შაკიაშვილი: **"კორუფციის ჭაობში ვყოფილვარ და არ ვიცოდი, თამრიკო ბოლქვაძის სტატიიდან გავიგე! მთელი ღამე არ მიძინია. ვფიქრობდი, ალბათ, დავწერ განხადებას და წავალ იმ სამსახურიდან, სადაც ასეთი რამეები ხდება-მეთქი. მერე გადავწყვიტე, რომ ეს არასწორი ნაბიჯი იქნებოდა, ბრძოლის ველის ასე დატოვება არ შეიძლებოდა. ბოლომდე ვიდგები ჩემი კოლეგების გვერდით, რომ სახელმწიფო ტელევიზიას ასეთი მმართველობა მოვაშორო."**

წერილი, რომელიც თამარ ბოლქვაძემ "მართალ გაზეთში" გამოაქვეყნა, ავტორისვე განმარტებით, კონტროლის პალატის დასკვნასა და ტელევიზიის თანამშრომლების, დოდო დარჩიასა და ემზარ ლაბუჩიძის მიერ ჩატარებულ ჟურნალისტურ კვლევას ემყარება. **"კონტროლის პალატის 95-გვერდიან დასკვნაში უამრავი სერიოზული ფინანსური დარღვევაა დაფიქსირებული. ჩვენ პუნქტობრივად შევისწავლეთ ისინი, მნიშვნელოვანი მასალები მოვიძიეთ, და დასკვნა ყველა მაკონტროლებელ ორგანოს გადავუგზავნეთ. მივმართეთ პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს. ეჭვი გვაქვს, რომ ჩვენმა წერილმა პრეზიდენტამდე ვერ მიაღწია, ზაზა შენგელიას იქ ბევრი მსტოვარი ჰყავს. პასუხი არსაიდან მოგვსვლია. მივიღეთ მხოლოდ ოთხფურცლიანი პასუხი კონტროლის პალატიდან, ისიც - ხუთი თვის დაგვიანებით,"** - ამბობს თამარ ბოლქვაძე.

მისი აზრით, ტელევიზიის თანამშრომლებს აქციების მოწყობა არ დასჭირდებოდათ, ხელმძღვანელობა მათ მოსასმენად რომ იცლიდეს: **"რატომ გავხდით იძულებულნი გარეთ გამოვსულიყავით? ჩვენს თავმჯდომარეს არც ერთი დღე, არც ერთი საათი არა აქვს თანამშრომლებთან შეხვედრისთვის. თვეობით უნდა ელოდო, წუთით რომ მიგიღოს. აქ ყველაფერი საიდუმლოებითაა მოცული. ახლა ვიგებთ, რომ რამდენიმე თვეა მე-2 არხი გაიყიდა. როგორც შიგნით ამბობენ, იგი პატარკაციშვილმა და ლეკიშვილმა იყიდეს, თუმცა, ოფიციალურად არსად ფიგურირებენ. გაიყიდა ძალიან ჩუმად, ყოველგვარი ტენდერის გარეშე. რატომ? ეს ხომ სახელმწიფო ტელევიზიაა?"**

კომენტარს თანამშრომელთა პრეტენზიებზე საქტელერადიომაუწყებლობის ხელმძღვანელი ზაზა შენგელია დღეს დაგეგმილ პრესკონფერენციაზე გააკეთებს.

# აფრიკის პაპმა და პატრიარქმა საქართველო დატოვა

ეთერ მამულაშვილი

დღეს, დილით, 6:00 საათზე, სრულიად ალექსანდრიისა და აფრიკის კათოლიკოს-პატრიარქმა პეტრე VII, ხუთდღიანი ვიზიტის შემდეგ თბილისი დატოვა. სამშობლოში დაბრუნებამდე პატრიარქი რამდენიმე დღით ეწვევა კონსტანტინოპოლს, სადაც მისი არაოფიციალური შეხვედრაა დაგეგმილი კონსტანტინოპოლის პატრიარქთან.

გუშინ, თბილისში ვიზიტის ბოლო დღეს, პეტრე VII სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან ერთად ელიას მთაზე მშენებარე წმიდა სამების საკათედრო ტაძარი მოინახულა. ალექსანდრიის პატრიარქმა საქართველოს ტაძრის მშენებლობის მალე დამთავრება უსურვა და აღნიშნა: **"წმიდა სამების ტაძარი ხაზს უსვამს და კარგად წარმოაჩენს თქვენს რწმენას, რომელიც სოციალიზმის პირობებში დათრგუნული იყო. ამ ტაძრის მშენებლობა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თქვენ განსაკუთრებულად გიყვართ თქვენი რელიგია."**

ელიას მთიდან პეტრე VII მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტს ეწვია. პატრიარქი აქ დაცულ ძველ ხელნაწერებს რამდენიმე საათის განმავლობაში ათვალიერებდა. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ, შესაძლოა, ძველი ქართული ხელნაწერები მათი ქვეყნის არქივებშიც იყოს შემონახული. **"კარგი იქნებოდა, თუკი ჩვენი ქვეყნები ამ კუთხითაც დაიწყებენ თანამშრომლობას. ამ ტიპის ურთიერთობები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი ეკლესიების დაახლოებას,"** - თქვა პეტრე VII.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ალექსანდრიის პატრიარქის პეტრე VII ხელშეწყობით და საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით შარშან სინას მთაზე დაცული ძველი ქართული ხელნაწერების შესასწავლად ქართველების ექსპედიცია მოეწყო.

გუშინვე, დღის მეორე ნახევარში, ალექსანდრიის პატრიარქმა და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებმა, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართეს. პეტრე VII ძალიან ისუბრა რელიგიური სექტებისადმი მათი ეკლესიის დამოკიდებულების შესახებ. პატრიარქმა აღნიშნა, რომ მოძალადე სექტები მათი ეკლესიისთვისაც არ არის უცხო. **"ჩვენთანაც არსებობენ ფინანსურად ძლიერი სექტები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რომ ჩვენს ეკლესიას წაართვან მრევლი, თუმცა, ღრმად ვარ დარწმუნებული და, მინდა, ამაში თქვენც დარწმუნდეთ, თუკი ადამიანში რწმენა ძლიერია, მას ვერანაირი სექტა ვერ გადაიბირებს. რწმენამ გადაარჩინა თქვენი წინაპრები და რწმენა გადაგარჩენთ თქვენც,"** - განაცხადა ალექსანდრიის პატრიარქმა.

დღის ბოლოს პეტრე VII შავნაბადას წმიდა გიორგის სახელობის მონასტერს ესტუმრა.

სრულიად ალექსანდრიისა და აფრიკის პაპი და კათოლიკოს-პატრიარქი პეტრე VII თბილისს ოფიციალური ვიზიტით შაბათს, 22 ივნისს ეწვია. იმავე საღამოს სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სთან ერთად საყოველთაო წირვა აღავლინა. ორშაბათს, 24 ივნისს, პატრიარქი კახეთს ეწვია. ალავერდის საკათედრო ტაძრის მონახულების შემდეგ მას რეგიონის და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვდნენ. სამშაბათს, 25 ივნისს, პეტრე VII საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა. იმავე დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტში მას ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადასცეს.

საქართველოში ჩამოსვლამდე ალექსანდრიის პატრიარქი ბულგარეთში, რუმინეთში, რუსეთში, საბერძნეთში, თურქეთსა და კვიპროსში იმყოფებოდა.

რეგიონი

# მხნელ-მთესველსაც გაუჭირდა

თამაზ ხარაიშვილი

ოზურგეთის რაიონში საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოების ტემპი ძალზე დაბალია, - აცხადებს რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსი ნოდარ ტაკიძე.

მისი აზრით, თუ შარშან 500 ჰექტრამდე სავარგული დაუთესავი დარჩა, წლეულს ეს მაჩვენებელი უფრო გაიზრდება. აგროვადები კარგა ხანია ამოიწურა, ოზურგეთის რაიონში კი 5700 ჰექტარი სავარგულიდან მოხნულია 5200 ჰექტარი, ხოლო დათესილია მხოლოდ 4000 ჰექტრამდე. მიზეზი მრავალია: უსახსრობა, საწვავ-საცხები მასალების სიძვირე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნაკლებობა.

იმის გათვალისწინებით, რომ ხვნა-თესვის სამუშაოები აგროვადების დარღვევით ჩატარდა, სავარაუდოა, წლეულს შემოდგომაზე ჭირნახულის რეკორდულად დაბალი მოსავალი დაფიქსირდეს, მით უფრო, რომ უმოწყალოდ გაძვირებული მინერალური სასუქის შეძენას ბევრი მეურნე ხელმოკლეობის გამო ვერ შეძლებს.



ილო ქრელაშვილის ნახატი

# სოფელს ფოცხვერიღა აკლდა...

ოზურგეთის რაიონის მაღალმთიან სოფელ მთისპირს რომელიღაც ნადირი გადაემტერა, რომელმაც რამდენიმე დღეში 15-ზე მეტი მსხვილფეხა პირუტყვი იმსხვერპლა. ნადირი ღამით გარეთ დარჩენილ პირუტყვს შუაგულ სოფელში ავლებს მუსრს. მთისპირში დათვი ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა იგი სოფლის ცენტრში ჯერ არავის უხილავს, უფრო ტყესა და სოფლის განაპირა სიმინდის ყანებს არჩევს, თანაც ადრე შემოდგომაზე. დათვის ხელწერას კარგად იცნობენ მთისპირელები, ახალი ტიპის მტაცებელი კი სულ სხვა მეთოდებით ირჯება. ნაცვლად დათვისმიერი დაბუზნისა, საქონელს თავის არეში აზიანებს, შემდეგ ნადავლს გაათრევს და ბუჩქებში შეექცევა. რამდენიმე ადგილობრივმა მკვიდრმა ახალმოვლენილი ნადირი ცნობილ ასკანიტის კარიერის მიდამოებში, მდინარის პირას იხილა, როცა ის წყურვილს იკლავდა. ჯერჯერობით მტაცებელს ფოცხვერს ამსგავსებენ, თუმცა ეს ცხოველი ამ მიდამოში არასდროს დაფიქსირებულა. ეს ჭირიღა აკლდა პრობლემებით ავსებულ სოფელს. მთისპირისა და მეზობელი სოფლების მონადირეები ერთობლივი ოპერაციის ჩატარებას აპირებენ სოფლის მაოხარი ნადირის ასალაგმავად.

# ბაზრობების დროებით დახურვამ შედეგი ვერ გამოიღო

ქეთი ქადაგიშვილი

გარე ვაჭრობის ადგილებში მალფუჭებადი პროდუქტების რეალიზაციის აკრძალვამ დიდი შედეგი ვერ გამოიღო. ქალაქის სანიტარულმა სამსახურებმა ბაზრობები რამდენიმე დღით დახურეს, დაასუფთავეს და მოვაჭრეები ქუჩაში მალფუჭებადი პროდუქტებით ვაჭრობის მავნებლობის შესახებ კიდევ ერთხელ "დამოძღვრეს", მაგრამ ღია ცის ქვეშ მოწყობილ დახლებზე კუსტარულად დამზადებული თევზი, ძეხვეული, რძის ნაწარმი და სხვა პროდუქტი დასუფთავებიდან მეორე დღესვე გაჩნდა.

სანიტარები მსგავს ღონისძიებებს უკვე მერამდენე წელია ატარებენ. ბოლო დღეებში გარე ვაჭრობის ადგილებიდან ინსპექციამ 25 კილოგრამი სხვადასხავა სახის მალფუჭებადი პროდუქტი ამოიღო, მაგრამ, ამის მიუხედავად, ქუჩაში გამოტანილი მალფუჭებადი პროდუქტის რაოდენობა არ იკლებს. მალფუჭებადი პროდუქტი, რომელიც მხოლოდ დაბალ ტემპერატურაზე უნდა ინახებოდეს, მოვაჭრეებს +30 გრადუსს სიცხეზე მთელი დღის განმავლობაში უდევთ და მაინც ასაღებენ.

ინსპექციის ხელმძღვანელის ჯულული ახვლედიანის თქმით, მალფუჭებადი პროდუქტით მოვაჭრეთათვის ბაზრობებზე - "თერგსა" და "კოლხაზე" მაცივრებით აღჭურვილი პავილიონები მოეწყო, **"პავილიონები დიდუბის ტერიტორიაზე მდებარე ბაზრობებზეც გაკეთდება, მაგრამ ამით დიდი შეღავათი მაინც არ გვექნება, რადგან პავილიონში გადანაცვლებული მოვაჭრეების ადგილები უკვე სხვებმა დაიკავეს",** - ამბობს ახვლედიანი.

# ცრუ მანევრი თუ, უბრალოდ, მოძრაობის დემონსტრირება

## ხმაურით დაწყებული და უშედეგოდ დასრულებული სპეცოპერაცია

პირველი გვერდიდან

**"პიტერ შოუ რომ გამეტაცებინა, რა, სახლში მოვიყვანდი? რა გააკეთეს, ამდენი პოლიციელი მოცდა. მთელი თბილისის პოლიცია აქ იყო, ბინებში ორ-ორად შედიოდნენ, ავტომატებით შეიარაღებულნი. ოთახებს ათვალიერებდნენ, თუმცა, ვერ გეტყვით, რომ გულდასმით. გამოვიდა, რომ ბავშვები შეაშინეს და წავიდნენ",** – ასე გვიამბობდა სპეცოპერაციის შესახებ დიდი დიღმის მოსახლეობა.

ჩვენი გაზეთი გუშინაც წერდა იმის თაობაზე, რომ პოლიციისთვის პიტერ შოუს ადგილსამყოფელი ცნობილია, ცნობილია ეჭვმიტანილთა ვინაობაც. მეტიც, უშიშროებისა და შს საქმეთა მინისტრებმა გაამხილეს, რომ ეჭვმიტანილები ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლები უნდა იყვნენ.

**"ამის თქმის საფუძველს თვით გატაცების ოპერაციის დაგეგმვის სპეციფიკა მაძლევს,**–თქვა "24 საათისთვის" მიცემულ კომენტარში ვალერი ხაბურძანიამ, – **გარდა ამისა, გამტაცებლები შეიარაღებულნი იყვნენ სპეციფიკური იარაღით – კონდახიანი ავტომატებით. ამ იარაღიდან მოხდენილი გასროლაც კი მეტად დამახასიათებელი იყო. დამახასიათებელი და ნიშანდობლივი იყო გამტაცებელთა მანერებიც და ქცევის თავისებურებაც. ყოველივედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ დამნაშავეები სწორედ ძალოვან კადრებში, მეტიც, სპეცმომზადება გავლილ კადრებში უნდა ვეძიოთ".**

უშიშროების მინისტრის ასეთი თავდაჯერებულობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ პიტერ შოუს ადგილსამყოფელი და ეჭვმიტანილთა ვინაობა მართლაც ცნობილია. ოღონდ, სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ მათი დაპატიმრების შემთხვევაში, აღმოჩნდება, რომ არც ერთი მათგანი გამოქვეყნებულ ფოტორობოტს არ ჰგავს, ხოლო პიტერ შოუს დიდ დიღომში კი არა, საწინააღმდეგო მიმართულებით – თბილისის აღმოსავლეთით მდებარე რომელიმე გარეუბანში ამყოფებდნენ მთელი ამ ხნის მანძილზე.

მაშინ, რა საჭირო იყო დიდი დიღმის მრავალსართულიან კორპუსებში შემოვლითი ღონისძიების განხორციელება, მით უმეტეს, ყველა ქართული საინფორმაციო საშუალების მიპატიჟებით? ამის თაობაზე მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება:

ხომ არ სცადეს სამართალდამცველებმა გამტაცებლების ყურადღების მოდუნება? ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გახმაურებული ოპერაციის ყოველგვარი შედეგის გარეშე დასრულება იძლევა, რაც ქართველი სამართალდამცველების მუშაობის სტილს არ ჰგავს. როგორც წესი, ჩვენში პოლიციური ოპერაციის ასეთ გახმაურებას მსხვილი



*პოლიციელები რეიდზე თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში*

ბესო ბულაშვილი

ნადავლით თავმოწონება მოსდევს ხოლმე. წარმატებაში დარწმუნების გარეშე კი პოლიცია, ჩვეულებისამებრ, ყველაფერს საიდუმლოდ ინახავს.

ქართველების მუშაობის სტილის შეცვლაში ბრიტანელი კრიმინალისტების როლი ჯერ კიდევ დაუდგენელია. იქნებ შოუს საქმის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში მაინც გაგვიზიაროს სკოტლენდიარდელმა წყვილმა თავიანთი მუშაობის სპეციფიკა. ჯერჯერობით კი, ისინი, როგორც ცნობილია, ჟურნალისტებისთვის კომენტარს კი არა, გამარჯობასაც ვერ იმეტებენ და იმავეს ურჩევენ თურმე ქართველ კოლეგებსაც.

გამორიცხული არ არის, რომ სწორედ მათ ურჩიეს აქაურებს ცრუ ოპერაციის ჩატარება, თანაც ყველაზე სარწმუნოდ მისაჩნევ ადგილას – იქ, სადაც გატაცებულისა და გამტაცებლების მანქანები აღმოაჩინეს. არც ერთი საღად მოაზროვნე ბოროტმოქმედი, მით უმეტეს, ისეთი დანაშაულის ჩამდენის, რომლის კარგად ორგანიზებულობასაც თვით უშიშროების მინისტრი აღიარებს, მანქანას, ცხადია, თავისი და გატაცებულის ადგილმდებარეობის მახლობლად არ დატოვებს. მაგრამ, თუ ჩვენი სამართალდამცველები, ბრიტანელ "მაშველებთან" ერთად, ამ ანკესს მართლაც წამოეგნენ და პროფილაქტიკურად მონათლული სპეცოპერაციის ფარგლებში ათასობით ბინა მართლაც პიტერ შოუს მიგნების იმედით დაიარეს, შეგვიძლია სინდისის ქენჯნის გარეშე დავიწუნოთ მათი პროფესიული მომზადება. ერთადერთი, რამაც ამ დასკვნის გამოტანას შეიძლება ხელი შეუშალოს, პიტერ შოუს გათავისუფლება იქნება.

და ბოლოს, არ არის გამორიცხული, კომიკური ოპერაციის უშედეგობა პრესას დაბრალდეს, ფოტორობოტებისა და ზოგიერთი ინფორმაციის გამოქვეყნების საბაბით. ამგვარი შინაარსის შეტყობინებები უკვე გაისმა. ჯერჯერობით საუბარი მხოლოდ იმაზე მიდის, რომ, თითქოს, საინფორმაციო საშუალებების მხრიდან მასალების გამოქვეყნებამ, მნიშვნელოვნად შეცვალა გამოძიების მსვლელობა.

ზემოთ გამოთქმული ვარაუდებიდან რომელი შეესაბამება სინამდვილეს, ეს დღეს-ხვალ გაირკვევა. მანამდე კი, ანუ გუშინ, დილის ცხრა საათიდან ათასობით ბინის დათვალიერების შემდეგ, პოლიციის მთელმა შემადგენლობამ დიდი დიღომი დატოვა. დარჩა მხოლოდ რეიდი დიდი დიღმის მისადგომებთან. რეიდზე პოლიციელები შოუს გატაცების დღიდან დგანან და დიდ დიღომში თავს უკვე ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში. უბნელთა მანქანებს ნომერზე ცნობენ და აღარც აჩერებენ. მათი თქმით, იმ ათი დღის მანძილზე, რაც რეიდს ატარებენ, არც ერთი მნიშვნელოვანი დამნაშავე არ ჩავარდნიათ ხელში, თუმცა, ექსცესებისთვის მაინც მზად არიან.

# წამების იარაღები თბილისის ქუჩებში

ინგა ალავიძე

*ვერის ბაღში გუშინ ორიგინალური გამოფენა მოეწყო. არასამთავრობო ორგანიზაციებმა საგამოფენო დარბაზად ქცეულ ვერის ბაღში ადამიანთა წამების იარაღად აღიარებული სიმბოლოები - ხელბორკილი, ხელკეტი, აირწინაღი, ელექტროშოკის მოწყობილობა და მარილი გამოფინეს.*

აქციის ორგანიზატორები ტრანსპარანტებითა და ლოზუნგით - "ერთად წამების წინააღმდეგ" შეიარაღებულნი, მოსახლეობას საკუთარ უფლებებს ახსენებდნენ.

მედიკოსთა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილი აქცია წამების მსხვერპლთა მხარდასაჭერად გაეროს მიერ დაწესებული საერთაშორისო დღის გამოძახილი გახლდათ.

**"გამოფენა სიმბოლურ ხასიათს ატარებს. აქ გამოფენილი იარაღები ნაწილია იმისა, რითაც შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა სამართალდამცველ სტრუქტურებში ადამიანებს აწამებენ. რატომღაც ყველას გაუკვირდა ამ ნივთებს შორის მარილის დანახვა. ეს წამების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, იაფფასიანი და ადვილი მეთოდია. ადამიანს აჭმევენ დიდი რაოდენობით მარილს და შემდეგ წყალს არ ასმევენ.**

**დღევანდელი აქცია ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული, რადგან საქართველოში წამების მსხვერპლთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა.**

**აქციის დანიშნულება მსხვერპლთა მხარდაჭერაცაა. ადამიანი, რომელიც წამების მსხვერპლი გახდა, სერიოზულ ფსიქოლოგიურ ტრავმას იღებს. მისთვის მორალურ მხარდაჭერას ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს,"** - განაცხადა წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის დირექტორმა ნინო მახაშვილმა.

აქციას ადვოკატებიც შეუერთდნენ. მათი განცხადებით, ადამიანთა უფლებები განსაკუთრებით წინასწარი დაკავების საკნებში ირღვევა.

**"საქართველო პოლიციური ქვეყანაა. 12-საათიანი დაკავების ვადა, პერიოდი, სანამ დაკავებულის ეჭვმიტანილად გამოცხადება მოხდებოდეს, სპეციალურად პოლიციელთათვის მიცემული დროა. კანონში ეს მუხლი პოლიციის ლობირებით ჩაიწერა. სწორედ ამ დროს ხდება დაკავებულთა დამუშავება, ცემა-წამება, რასაც მასიური ხასიათი აქვს. თითქმის ყველა ჩვენი კლიენტი აცხადებს, რომ წინასწარი დაკავების საკანში სცემეს,"** – აცხადებენ ადვოკატები.

აქცია მოძრავი ხასიათისა იყო, მონაწილეებმა რუსთაველისა და თავისუფლების მოედანი ფეხით მოიარეს და გზადაგზა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოფენა მოაწყვეს.

**"ასეთი გამოსვლა წესით ჩვენ უნდა მოგვეწყო. აქცია მოძალადე ხელისუფლების წინააღმდეგაა მიმართული. ჩვენ კი საკუთარ უფლებებსა და ღირსებას გვახსენებს,"** – ასეთი გახლდათ საგამოფენო ექსპონატებთან – წამების იარაღებთან თავმოყრილი ხალხის აზრი.



*აქციის მონაწილე გაეროს წამების საწინააღმდეგო სიმბოლოთი*

ბესო ბულაშვილი

## უცხოეთი

### ექვსწლიანი პროცესი სიკვდილის განაჩენით დასრულდა

*იაპონიაში დასრულდა სასამართლო პროცესი. ტომომიცუ ნიიმის, იაპონური სექტის "აუმ შინრიკიოს" ერთ-ერთ ხელმძღვანელს, მიესაჯა სიკვდილით დასჯა. იქნება თუ არა განაჩენი სისრულეში მოყვანილი, ჯერჯერობით, უცნობია. სასჯელის ეს უმაღლესი ზომა მისჯილი აქვს სექტის კიდევ რვა წარმომადგენელს, თუმცა ისინი ცოცხლები არიან.*

გუშინ იაპონიის საოლქო სასამართლომ ტომომიცუ ნიიმის განაჩენი გამოიტანა. საქმე ის გახლავთ, რომ 38 წლის ნიიმი სექტის იერარქიაში იყო არა რიგითი, არამედ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს იკავებდა. საბრალდებო დასკვნა გამოიტანეს მთელ რიგ დანაშაულებზე დაყრდნობით. ნიიმიმ აღიარა ტოკიოს მეტროში მომწამლავი გაზის გამოყენება. შეგახსენებთ, რომ 1995 წელს მომხდარ დანაშაულს 12 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ათასობით ადამიანი კი ძლიერი მოწამვლით საავადმყოფოში მოათავსეს. ნიიმის, აგრეთვე, ბრალად ედება შვიდ შეიარაღებულ თავდასხმაში მონაწილეობის მიღება და 26 ადამიანის მკვლელობა. მოკლულთა შორისაა იაპონელი ადვოკატი ტცუტცუმი საკამოტო, ცოლშვილთან ერთად.

ნიიმის საქმის მოსმენა ექვს წელზე მეტია იწელება. 1996 წელს ნიიმის შესახებ ყველა წამყვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალება წერდა. სექტანტმა ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე არ ცნო თავი არც დამნაშავედ, არც უდანაშაულოდ და **"აუმ შინრიკიოს"** სექტის ლიდერს, სეკო ასახარს, სამუდამო ერთგულება აღუთქვა.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული კანონებისადმი ამგვარი დაუმორჩილებლობა გამოავლინა "ალ ქაიდას" ერთ-ერთმა ლიდერმა მასსაუმიმ, ეგრეთ წოდებულმა მე-20-ე ტერორისტ-კამიკაძემ. ნიიმის მსგავსად მანაც არ სცნო თავი არც დამნაშავედ, არც უდანაშაულოდ.

სასამართლო პროცესის მსვლელობისას ნიიმიმ არა ერთხელ განაცხადა, რომ მოქმედებდა სექტის ლიდერის დავალებით და ამიტომ თავს დამნაშავედ არ სცნობს. თვითონ ასახარა, სექტის ლიდერი, ათ სექტანტთან ერთად დააპატიმრეს და იგი რამდენიმე წელია სასამართლო განაჩენს ელის. ექვს წლის შემდეგ **"აუმ შინრიკიოს"** ექვს წევრს სასამართლომ სიკვდილი დასჯა მიუსაჯა. სექტის ლიდერის სასამართლო პროცესი ჯერ არ დასრულებულა.

### "სატელეფონო ტერორისტი" ალა პუგაჩოვას აფეთქებით დაემუქრა

სანკტ – პეტერბურგში, 24,26,27 და 28 ივნისს, ალა პუგაჩოვას კონცერტები იმართება. "სატელეფონო ტერორისტმა" სამშაბათ დილას დარეკა სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს პრესცენტრში და დაიბარა, ალა პუგაჩოვასთვის გადაეცათ, რომ მას კონცერტის დროს ააფეთქებდნენ.

აღმოჩნდა, რომ "სატელეფონო ტერორისტი" ვერ იყო კარგად ინფორმირებული პუგაჩოვას კონცერტის განრიგის შესახებ.

25 ივლისს, დაგეგმილი აფეთქების დროს, ოლეგ პოგუდინის კონცერტი მიმდინარეობდა.

ანონიმურ ზარს კონცერტის მსვლელობისთვის ხელი არ შეუშლია. მაყურებლების და ორგანიზატორების ევაკუაცია კონცერტის დასრულებისას მოხდა.

სამართალდამცავებმა ტერიტორიის დათვალიერებისას ასაფეთქებელი ვერ აღმოაჩინეს.

მილიციის თანამშრომლებმა დაადგინეს ტელეფონის ნომერი, საიდანაც ანონიმური ზარი შემოვიდა. გამოძიება მიმდინარეობს.

# ერთობლივად წამების წინააღმდეგ

ეკატერინე ბახუტაშვილი

26 ივნისი - წამების საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ "ემპათიის" ინიციატივით, სახალხო დამცველის ოფისში კონფერენციით აღინიშნა.

როგორც კონფერენციაზე ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, გაეროს წევრ 128 ქვეყნის მსგავსად, უკვე რვა წელია, შეერთებულია საერთაშორისო კონვენციას - "წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური, ადამიანის ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ", სისხლის სამართლის კოდექსში დღემდე არ არის შესული წამების დეფინიცია. სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივნის ადამიანის უფლებების საკითხებში - რუსუდან ბერიძის თქმით, ქვეყნის კანონმდებლობით წამებად ითვლება, მაგალითად, ქმრის მიერ ცოლის წამება და პირიქით. კონვენციაში კი წამებად ითვლება თანამდებობის პირის ზეწოლა მსხვერპლზე. საქართველოში წამების ფაქტზე არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. არასამთავრობო ორგანიზაციის - "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" წარმომადგენელმა გელა ნიკოლაიშვილმა განაცხადა, რომ პოლიციელთა მიერ დაკავებულთა წამება დიდ შემოსავალს იძლევა და ისეთივე უკანონო ბიზნესია, როგორიც პროსტიტუცია, ნარკომანია და სხვა. მისივე თქმით, ადრე ნასამართლევ პირებს პოლიცია ხშირად ფულს "აწერს", საქმეს "კიდებს", რომლის დროსაც მიმართავს ზემოქმედების სხვადასხვა მიუღებელ ფორმას. გელა ნიკოლაიშვილის განცხდებით, ხშირად პოლიციაში ფულის მიტანის შემდეგ ეჭვმიტანილი თავისუფლდება, ხოლო დანაშაულს უდანაშაულო ადამიანს აწერენ.

კონფერენციის ყველაზე შთამბეჭდავი ნაწილი "ემპათიის" მიერ წამების მსხვერპლებზე ჩატარებული კვლევის შედეგები იყო. ორგანიზაციის პრეზიდენტის მაკა ჯიშკარიანის თქმით, "ემპათიამ" წამების მსხვერპლთა კვლევისა და რეაბილიტაციის შესახებ პროგრამის ფარგლებში 130 პატიმარი ქალი გამოიკვლია. კვლევამ აჩვენა, რომ ამ კონტიგენტიდან თითქმის ნახევარი ფსიქიკური და ფიზიკური წამების მსხვერპლია. მათ შორის, 86 პროცენტს სცემდნენ, 18 პროცენტს ელექტროშოკი აქვს ნაგემი, 12 პროცენტი ჩამოკიდებული ჰყოლიათ, 14 პროცენტი სქესობრივი და სტომატოლოგიური წამების მსხვერპლი გამხდარა, 5 პროცენტი ფარმაკოლოგიურად უწამებიათ, 4-მა პროცენტმა კი სიგარეტით დამწვრობის სიმწარე გამოცადა. პატიმარ ქალებს, თურმე, ე.წ. ტელეფონით (ყურის აპკის გახევა) და ფალანგით წამებაც განუცდიათ. მიუხედავად ამგვარი საშინელებებისა, ბევრი მათგანი აღიარებს, რომ ყველაზე დიდი ზიანი ფსიქოლოგიური მეთოდებით წამებას მოაქვს. როგორც კვლევისას გარკვეულა, გამოკითხულთა 34 პროცენტი ჰყოლიათ იზოლირებაში მოქცეული, 63-მა პროცენტმა სიბნელეში და სიცივეში იძულებით ყოფნა გაიხსენა. 51-მა პროცენტმა აღიარა, რომ მოუსმენია, როგორ აწამებენ სხვას, 18 პროცენტი კი დასწრებია კიდეც. ასეთი ინფორმაციის მიღების შემდეგ არავის გაკვირვებია, რომ გამოკითხული 130 ქალიდან 31-მა თვითმკვლელობა სცადა. გასაკვირი ის უფრო იყო, რომ მეტად შთამბეჭდავი მოხსენების მოსმენის შემდეგ რუსუდან ბერიძემ მხოლოდ ის იკითხა, რამდენად პროფესიონალურად ჩატარდა კვლევა. ეჭვის შეტანის საფუძველი, ბერიძის თქმით, ის არის, რომ იგი არაერთხელ შეხვედრია პატიმარ ქალებს და მათი ფანტაზიის გაქანების ამბავი კარგად მოეხსენება. საპასუხოდ ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ კვლევა პროფესიონალი ფსიქოლოგებისა და ექიმების მიერ ჩატარდა და მას საფუძვლად უდევს კლინიკური კვლევები და არა პატიმართა მონათხრობი. წამების მსხვერპლთა გამოსავლენად გამოყენებული იყო სპეციალური ტესტები. გარდა ამისა, გადატანილი წამების კვალი 20 წლის შემდეგაც რჩება. მეტიც, რამდენიმე პატიმარს რესპუბლიკურ საავადმყოფოში ოპერაციის გაკეთებაც დასჭირდა.

კონფერენციის ორგანიზატორებმა საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს დეკლარაციით მიმართეს. ისინი ითხოვენ, რომ წამების ფაქტების აღკვეთისათვის დაჩქარდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალური მუხლის შეტანა, რომელშიც ასახული იქნება "წამების" განსაზღვრება და პასუხისმგებლობის საკითხი.

### ბულგარეთის პოლიციამ ქართველი პატიმარი დააკავა

ორშაბათს ბულგარეთის პოლიციამ სოფიის საგამომძიებლო იზოლატორიდან გაქცეული პატიმარი დააკავა - საქართველოს მოქალაქე დავით გუმბარიძე.

ბულგარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, 32 წლის დავით გუმბარიძე, მეტსახელად "ბატო", სოფიაში მცხოვრები ნაცნობის ბინაში დააპატიმრეს.

დავით გუმბარიძე სამართალდამცველებმა ჯერ კიდევ მაისის თვეში სოფიაში ჩადენილი ქურდობისთვის დააკავეს. მან დაკავების დროს პოლიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია და მოპარული იარაღიდან ესროლა პოლიციელებს.

დაკავებულ ქართველ პატიმარზე სოფიის პოლიციაში ახალი საქმე შეიქმნა. ამჯერად, ბულგარელი კანონდამცველები დავით გუმბარიძის ორ დანაშაულს – ქურდობისა და გაქცევის საქმეს გამოიძიებენ.

### გოიას ძებნაში FBI ჩაერია

გასული წლის აგვისტოში მოპარული 19 უნიკალური მხატვრული ტილოდან 10 ნაპოვნია. ესპანეთის ნაციონალური პოლიციის გენერალური დირექტორის თქმით, ესპანელმა პოლიციელებმა ძებნა FBI- ის დახმარებით განახორციელა.

მსოფლიო შედევრები ესპანელმა ქურდებმა სამშენებლო ბიზნესის მაგნატის, ესტერ კოტლოვიცის, სახლიდან მოიპარეს. ესპანეთის პოლიციის უფროსმა ეს ქურდობა მიიჩნია ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე მსხვილ ქურდობად.

პოლიციის მიერ ნაპოვნი შედევრები ფრანსისკო გოიას, პიტერ ბრეიგელის, კამილა პისაროს, ხოაკინ სოროლის ნამუშევრებია. მოპარულ დანარჩენ 9 შედევრს პოლიცია ეძებს. მათ შორისაა ფრანსისკო გოიას და ხუან გრისას ტილოები.

ბრალდებულთა განცხადებით, მათ არაფერი იციან დანარჩენი 9 ნამუშევრის შესახებ. პოლიცია ვარაუდობს, რომ მათ ნახატები ამერიკელ მაგნატს მიჰყიდეს

# იგორ გიორგაძე: „ჩვენ შევარდნაძის მთელი კლანი უნდა გავასამართლოთ. ქართველი ხალხისათვის ეს აუცილებელია“

პირველი გვერდიდან

მაგრამ დღევანდელი ნომერი მოსახლეობამ დახლებიდან უკვე დილითვე გააქრო - მისი შოვნა დღის მეორე ნახევარში, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდა. გიორგაძესთან ინტერვიუს წყალობით ეს ნომერი ბიბილიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. რუსეთის პარლამენტში “როსიისკაია გაზეტას” მთელი პარტია დეპუტატებმა დაიტაცეს და წაკითხვის შემდეგ აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, პარლამენტის ზედა პალატაში თითქმის ყველას გიორგაძის ინტერვიუ ეკერა პირზე. ქართველ ჟურნალისტებთან კი ჩვენი მოსკოველი კოლეგები გიორგაძის ისტორიაზე დეტალებს აზუსტებდნენ... ასე იქცა “ნომერ პირველი ტერორისტი” ერთ მშვენიერ დღეს, რუსეთის ხელისუფლების წყალობით, დღის მთავარ გმირად. სკანდალური ნომრის შოვნა მხოლოდ მოსკოვის გარეუბანში მოვახერხე. გამყიდველმა გაზეთის ბოლო ნომერი სტენდიდან ჩამოხსნა და გაკვირვებით მკითხა, რა დოკუმენტი ქვეყნდება დღეს ისეთი, რომ უკვე მთელი ტირაჟი გამეყიდაო...

მოსკოველი დამკვირვებლების აზრით, გიორგაძესთან ინტერვიუს დაბეჭდვა სრულიადაც არ არის შემთხვევითი მოვლენა და არ აღიქმება, როგორც საქართველოს ხელისუფლების დღევანდელი კურსის საწინააღმდეგო მორიგი პუბლიკაცია. ეს უფრო სერიოზული, უფრო დამაფიქრებელი მოვლენაა. მოვლენა, რომელიც ბოლო დროს რუსეთის დედაქალაქში განვითარებული მოვლენების საერთო ჯაჭვის შემადგენელი ერთ-ერთი რგოლია.

იმავე დამკვირვებლების აზრით, მრავლისმეტყველი იყო რამდენიმე დღის წინ მოსკოვში ჯუმბერ პატიაშვილის ვიზიტი და მისი ხაზგასმულად მაღალ დონეებზე მიღება, ამ ვიზიტის მასმედიაში გაშუქება, ხელისუფლების მაღალ ჩინებთან მისი შეხვედრების შთამბეჭდავი სია. ანალიტიკოსების თქმით, ჯუმბერ პატიაშვილი დღეს არ წარმოადგენს იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ასეთ მაღალ დონეზე მიღებას იმსახურებს. არც ასლან აბაშიძე და მისი საოპერო თეატრია კრემლის დიდი საკონცერტო დარბაზის შესაფერი კოლექტივი. არც გიორგაძეა იმ რანგის პოლიტიკოსი, ვისაც ხელისუფლების მთავარი ორგანო პირველ გვერდს უნდა უთმობდეს. ეს შევარდნაძის რეჟიმის წინააღმდეგ დაგეგმილი პიარია, რომლის ეფექტურ გაგრძელებაში უმთავრესი და გადამწყვეტი როლი ითამაშა ვლადიმირ პუტინის მიერ კრემლში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოსა და მისი პრეზიდენტის გასაგონად გაკეთებულმა უპრეცედენტოდ სერიოზულმა განცხადებამ.

“კავკასიის გასაღები თბილისში ინახება” - ასე ჰქვია ინტერვიუს, რომლის ჩამწერი ჟურნალისტი ვლადიმირ ბოგდანოვი ამტკიცებს, რომ შვიდი წლის იძულებითი ემიგრაციის განმავლობაში იგორ გიორგაძემ საცხოვრებელი ადგილი ექვს ქვეყანაში გამოიცვალა. ბოგდანოვი წერს, რომ გიორგაძეს ორი ევროპული სახელმწიფოს საზღვარზე მდებარე ერთ პატარა ქალაქში შეხვდა და ექსკლუზიური ინტერვიუც იქ ჩაიწერა. ხოლო თავის მხრივ, გაზეთის რედაქცია ინტერვიუს წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ გიორგაძემ რედაქციაში დარეკა და მიმდინარე მოვლენებზე სასაუბროდ, როგორც ოპოზიციის წარმომადგენლისათვის, სიტყვის მიცემა ითხოვა. რედაქცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავის გვერდებს უთმობს სხვადასხვა თვალსაზრისს ამა თუ იმ მოვლენის ობიექტურად ასახვის მიზნით და შესაძლებლად მიიჩნევს გიორგაძესთან ინტერვიუს გამოქვეყნებასაც.

ერთი რამეც აღსანიშნავია, რომ “როსიისკაია გაზეტას” ხსენებული ნომრის მეორე გვერდზე ქვეყნდება კრემლის გეორგიევსკის დარბაზში, სამხედრო სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის გამართული საზეიმო მიღების ფურშეტზე გადაღებული პუტინის, ივანოვისა და კვაშნინის კოლექტიური, ასევე უზარმაზარი პორტრეტიც.

“როგორც წესი, პოლიტიკაში ბრწყინვალე მომავლით მოდიან, ხოლო მას საშინელი წარსულით ტოვებენ,” - ამბობს გიორგაძე. დამკვირვებლების აზრით, მისი ინტერვიუ თამამად შეიძლება შეფასდეს, როგორც “წინასაარჩევნო პროგრამა”, რადგანაც საქართველოს უშიშროების ექსშეფი აყალიბებს საქართველოში მოსვლისთანავე გასატარებელი რეფორმების მოდელს.

გიორგაძე ამბობს. რომ “საუკუნის სასამართლო პროცესმა” უკვე დაადასტურა, რომ მას არაფერი საერთო არ აქვს შევარდნაძისა და შსს-ს მიერ ორგანიზებულ ტერაქტთან. იგი საინტერესოდ თვლის, რომ ამ “თავდასხმამდე” თვენახევრით ადრე თურქეთში მივლინებით გაემგზავრა, სადაც, შევარდნაძის თანხმობით, ადგილობრივ სპეცსამსახურებთან შეხვედრების საწარმოებლად დარჩა. “არც ერთი გამოცდილი პოლიტიკოსი, რომელსაც თავისი პრეზიდენტის ჩამოგდება სამხედრო გადატრიალების გზით აქვს განზრახული, არავითარ შემთხვევაში არ ტოვებს ქვეყანას თავდასხმის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში,” - ამბობს გიორგაძე.

“როსიისკაია გაზეტასთვის” მიცემულ ინტერვიუში გიორგაძე ამბობს, რომ “აშშ-ს კონგრესში უკვე წამოწეულია საქართველოსათვის დახმარების - შევარდნაძის ოჯახის დაფინანსების გაგრძელების საკითხი... დასავლეთი ანგარიშს უწევს, რომ შევარდნაძემ თავისი თავი ამოწურა და მის შემცვლელს ეძებს, მაგრამ ჯერჯერობით მათთვის ხელსაყრელი პოლიტიკური ფიგურა ვერ მოიძებნა და ამიტომ იძულებულნი არიან, მხარი დაუჭირონ, რადგან მისი მოშორების შემთხვევაში საქართველოში წარმოუდგენელი სიტუაცია შეიქმნება”. გიორგაძე ამტკიცებს, რომ აფხაზეთის არც ერთი ლიდერი არ დაჯდება საქართველოს ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად. უშიშროების ექს-შეფი ამტკიცებს, რომ “შევარდნაძეს რეგიონიდან რუსეთის გაძევების იმედი აქვს და იქ ბოსნიური ვარიანტის გათამაშება სურს”. “ხალხნო, გაიგეთ, რომ ბოსნიაში სამშვიდობო ძალები კი შევიდნენ, მაგრამ იქ ვერ დაბრუნდა მილიონობით ლტოლვილი”.

ჟურნალისტის შეკითხვას, აქვს თუ არა მას საქართველოში არსებული პრობლემების გადაჭრის რეცეპტი, გიორგაძე დადებითად პასუხობს და ამბობს, რომ ემიგრაციაში ყოფნისას გულხელდაკრეფილი არ მჯდარა, რომ რვა წლის განმავლობაში, თანამოაზრეებთან ერთად, ბეჯითად მუშაობდა, მათ შორის, აფხაზეთის ხელისუფლებასთანაც. “არც ერთი ნორმალურად მოაზროვნე ქართველი არ დათანხმდება საკუთარი ქვეყნის დაქუცმაცებას... აფხაზეთის რუსეთის შემდაგენლობაში შესვლას ვერ დავეთანხმები, რადგანაც საუბარი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზეა. უნდა შეიცვალოს თუ არა დღევანდელი ვითარება საქართველოში? დიახ, უნდა შეიცვალოს. გვაქვს თუ არა რეცეპტები? დიახ, გვაქვს, მათ შორის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის დარეგულირების რეცეპტებიც, ოღონდ შევარდნაძის გარეშე.” გიორგაძე არ ამხელს საკუთარი თანამოაზრეების ვინაობას. “ჩვენ წყნარად ვაკეთებთ ჩვენს საქმეს. უმოკლეს ვადაში შევძლებთ იმ ბირთვად ჩამოყალიბებას, ვის ირგვლივაც საქართველოს ოპოზიციის გარკვეული ნაწილი დადგება და მოითხოვს შევარდნაძის გადადგომას,” - ამბობს გიორგაძე.


იგორ გიორგაძე.

მისი აზრით, ახალმა ლიდერმა და ახალმა ხელისუფლებამ უმაღლეს ეშელონებში კორუფციას ბრძოლა უნდა გამოუცხადოს, ხოლო ხელისუფლებაში მისი მოსვლის შემთხვევაში, უკვე ექვსი თვის შემდეგ საქართველოში აღარ დარჩება არც ერთი კორუმპირებული ჩინოვნიკი. ამ ხალხის გასამართლებას გიორგაძე ღია წესით აპირებს. “ჩვენ უკვე მზად გვაქვს კანონპროექტები, სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მუხლები. ამ ყველაფერს მალე გავახმოვანებთ, რათა ქართულმა საზოგადოებრიობამ მისი გახორციელების ნება დაგვრთოს,” - ამბობს იგი.

გიორგაძე ამტკიცებს, რომ მას აქვს სერიოზული, გადამოწმებული ინფორმაცია კანონიერ ქურდებთან შევარდნაძის ალიანსზე.

“მე დანამდვილებით ვიცი, რომ შევარდნაძემ ერთ ავტორიტეტს ჩემი მოკვლა დაავალა. მან არ დაიჯერა, რომ ეს “თხოვნა” პრეზიდენტისაგან მოდიოდა და პირადად მასთან შეხვედრა ითხოვა. ეს შეხვედრა მართლაც შედგა”. გიორგაძე ჟურნალისტის თხოვნით ასახელებს კანონიერი ქურდის გვარს – “ეს არის ვინმე კალაშოვი, რომელმაც შევარდნაძისაგან მიიღო საკუთარი სახლი, შსს-ს პერსონალური დაცვა და ჩემი განადგურების დაპირებაც მისცა. ვნახოთ...ჯერ ჩემს მოკვლას ბერეზოვსკი აპირებდა, შემდეგ რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ ძებნილი ბადრი პატარკაციშვილი პირდებოდა შევარდნაძეს ჩემი თავის ლანგრით მირთმევას”...

გიორგაძე ინტერვიუში აცხადებს, რომ კავკასიის რეგიონში საქართველოს გადამწყვეტი როლი ენიჭება და ამიტომაც დაუშვებელია მომავალ ხელისუფლებაში “შევარდნაძისტების” მოსვლა, რადგანაც ამ შემთხვევაში საქართველო პოლიტიკური რუკიდან წაიშლება.

ინტერვიუს ბოლოს ჟურნალისტი ინტერესდება, თუ რა ბედი ელის შევარდნაძეს, როცა პოსტს დატოვებს, რაზედაც გიორგაძე პასუხობს: “იმისათვის, რომ საქართველომ თავისი არსებობა სუფთა ფურცლიდან დაიწყოს, გამოვიდეს იმ ფეოდალურ-მონათმფლობელური წყობილებიდან, რომელშიც იგი დღეს ცხოვრობს და გახდეს დემოკრატიული, თავისუფალი სახელმწიფო, ჩვენ შევარდნაძის მთელი კლანი უნდა გავასამართლოთ. ქართველი ერისათვის ეს, უბრალოდ, აუცილებელია.”

გიორგაძე ქართველ ხალხს საზღვარგარეთ გატანილი მოპარული ფულის დაბრუნებასაც პირდება.

“ჩვენ ვიცით, სად ინახება ეს თანხები - საუბარია რამდენიმე მილიარდ დოლარზე. ჩვენ მას აბსოლუტურად ცივილიზებული გზით დავიბრუნებთ,” - ამბობს გიორგაძე. მისი თქმით, შევარდნაძის კლანის მთელი ანგარიშები მათთვის ნაცნობია. ამ ანგარიშებთან ერთად, უშიშროების ექს-შეფი ქართველ ხალხს შევარდნაძის მმართველობის დროს დაკარგული ღირსების, თვითშეგნებისა და სიამაყის დაბრუნებასაც პირდება.

# ნოსტალგიის ბლოკი - „ერთობა“, „ედინსტვო“ და „ედინნაია როსია“

ლიკა კობალაძე

ფრაქცია “ედინსტვოსა” და პოლიტიკური პარტია “*ედინაია როსიას*” მიწვევით, ბლოკ “ერთობის” ლიდერები, ჯუმბერ პატიაშვილი და ალექსანდრე ჭაჭია მოსკოვში ორკვირიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ. გუშინ ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელსაც, მასმედიის წარმომადგენლებთან ერთად, პოლიტიკური გაერთიანების აქტივიც ესწრებოდა, ალექსანდრე ჭაჭიამ განაცხადა: **“ყველანი იმის მოწმე ვართ, რომ ჩვენს ხელისუფლებას არ ძალუძს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში დაგროვილი სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების მოგვარება, რაც ხელს უწყობს ქვეყნის დაშლას და ქართველი ერის ფიზიკურ განადგურებას. თუ ჩვენს მეზობლებთან (მათ შორის, ამ დიდ მეზობელთან) ასეთი პოლიტიკა და ურთიერთობები გაგრძელდა, უახლოეს მომავალში საქართველოზე, როგორც ერთიან ორგანიზმზე, ლაპარაკი ზედმეტი იქნება. ამიტომ ჩავთვალეთ - რაც არ შეუძლია ან არ უნდა, რომ გააკეთოს ამ ხელისუფლებამ, უნდა შევეცადოთ, ჩვენ გავაკეთოთ. მით უმეტეს, რომ ახლა უკვე პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოვადგენთ და უფლება გვაქვს, საქართველოს მოსახლეობის ნაწილის სახელით მაინც ვილაპარაკოთ. სწორედ ამით იყო განპირობებული ეს ვიზიტი.”**

ჭაჭიას თქმით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზებას ხელს მხოლოდ სუბიექტური ფაქტორები უშლის. **“სუბიექტურ ფაქტორში”** მან ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი და საგარეო პოლიტიკურ არენაზე **“სრული კრახით დამთავრებული მისი მოღვაწეობა”** იგულისხმა. **“რუსეთის ბევრ ჩინოვნიკში და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელში, საქართველოს მიმართ დამოკიდებულება ასოცირებულია შევარდნაძის პიროვნებასთან და იმ მტრულ, აგრესიულ, მარაზმატულ დამოკიდებულებასთან, რომელსაც ის იჩენდა და იჩენს რუსეთის მიმართ,”** – აღნიშნა ერთობის ლიდერმა.

**“აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა რეალური და საკმაოდ ადვილია,”** – დაგვაიმედა ჭაჭიამ და იქვე დასძინა, რომ ცხრა წლის განმავლობაში ნაოცნებარ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხოლოდ და მხოლოდ **“ჩვენი”** პოლიტიკური ნება და რუსეთის ახალ ხელმძღვანელობასთან **“კეთილი ურთიერთობები”** სჭირდება.


პატიაშვილი ნოსტალგიამ შეიპყრო.
იური ლობოდინის ფოტო

ჯუმბერ პატიაშვილის ინფორმაციით, მოსკოვში შეხვედრებისას, რუსეთის ხელმძღვანელობამ პოლიტიკურ გაერთიანება “ერთობასთან” თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. როგორც მან აღნიშნა, მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის ინიციატივითა და მხარდაჭერით, მოსკოვში გაიხსნება “ერთობის” წარმომადგენლობა. **“რუსეთის დედაქალაქში დღეისათვის 700 ათასამდე ქართველი ცხოვრობს და მათთან ურთიერთობა აუცილებელია ყველა პოლიტიკური ძალისთვის. ჩვენი ვიზიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო ის, რომ გაუმჯობესდეს რუსეთში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობა.”** – განაცხადა მან.

მოსკოვში, თურმე, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ბლოკ “ერთობას”, პარტია “ედინაია როსიას” და ფრაქცია “ედინსტვოს” შორის. **“ეს არის პირველი დოკუმენტი, რომლითაც პოლიტიკურმა პარტიებმა საერთო ენა გამონახეს,”** – აღნიშნა პატიაშვილმა.

პატიაშვილის თქმით, მიუღებელია ის დამოკიდებულება, რომელსაც ზოგიერთი ხელისუფალი და პოლიტიკოსი რუსეთის მიმართ გამოხატავს: **“საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადადგას ნაბიჯი და გამონახოს რუსეთთან საერთო ენა. ის პოლიტიკა, რომელსაც პუტინი ატარებს, არის ერთადერთი სწორი პოლიტიკა, პირველ რიგში, რუსეთისათვის. ეს ქვეყანა ღირსეულ ადგილს მოიპოვებს დღევანდელ მსოფლიოში,”** - აღნიშნა მან.

პატიაშვილმა საყვედური გამოთქვა მასმედიის მიმართ: **“იმ დროს, როდესაც რუსეთის წამყვანი არხების მიერ მოსკოვში ჩვენი ვიზიტი თანამიმდევრულად შუქდებოდა, საქართველოში მასმედიის წარმომადგენლების მიერ იგნორირებული იყო.”**

“ერთობის” ლიდერების თქმით, ამ თანამშრომლობის ფარგლებში მორიგი ვიზიტი შემოდგომაზეა დაგეგმილი. ამჯერად თბილისს რუსეთის მხარე ესტუმრება.

# „ელცინით გადაღლილ ხალხს პუტინი ფსიქოანალიტიკოსად მოევლინა“

## რას ფიქრობს ვლადიმირ პუტინზე პოლიტიკური ელიტა?

რუსიკო ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

რუსეთში პოლიტიკური სეზონი დასრულდა და მალე პოლიტელიტა აგარაკებზე გაეშურება. რა თქმა უნდა, პოლიტიკური კლუბი “სამოქალაქო დებატები” კრემლთან დაახლოებული პოლიტოლოგების პირმშოა და კლუბში რეგულარული შეხვედრები პრესის თანხლებით ტარდება. კრემლის ახალი რეგენაციის პოლიტიკოსებს ახალი იდეოლოგიის ფორმირებაში ეხმარებიან “სამოქალაქო დებატების” ავტორიტეტული პოლიტოლოგები გლებ პავლოვსკი, სერგეი მარკოვი, ვიაჩესლავ ნიკონოვი, ალექსანდრ ციპკო, გიორგი სატაროვი...

მოსკოვში ამბობენ, რომ “დებატების” იდეა კრემლის ყოფილ მთავარ იდეოლოგს - პავლოვსკის ეკუთვნის. იდეა განსაკუთრებით აქტუალური გახდა კრემლში ხელისუფლების შეცვლისთანავე, როცა რუსეთმა დასავლურ ფასეულობებზე გააკეთა აქცენტი და, ამ პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების ხელშეწყობით, საჯაროდ გამოაცხადა რუსეთის პროდასავლური პოზიციის არჩევის შესახებ.

“დებატების” ერთ-ერთი მთავარი დამსახურებაა რუსეთ-ბელორუსის კავშირში შეტანილი სერიოზული განხეთქილება და დსთ-ს ინტეგრაციული პროცესებისადმი გარკვეული სკეპტიციზმი, პოსტსაბჭოთა სივრცის დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან მკაცრად განსაზღვრული ორმხრივი ურთიერთობების ფორმატი, კომუნისტური იდეოლოგიის გაწირვა და რუსეთში მემარჯვენეთა ძლიერი ლობის შექმნა. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ რუსეთში “სამოქალაქო დებატების” გაჩენისთანავე პრეზიდენტმა პუტინმა სახელისუფლებო ვერტიკალის განმტკიცება დაიწყო და საგრძნობლად დამოკიდებული შეიქმნა დასავლეთის კაპიტალზე, ახალგაზრდა ოლიგარქებზე, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება რუსეთში “დასავლური გადასხმები”.

26 ივნისს ”ლექსანდერ-ჰაუსში” (ეს ფეშენებელური შენობა პუტინის გაპრეზიდენტების დროს მოსკოველი ოლიგარქების შემოწირულობებით აშენდა და იქ დაიდო ბინა ახალი პრეზიდენტის საარჩევნო შტაბმა) დასკვნითი “დებატები” შედგა. მას ბევრი ჟურნალისტი დაესწრო, რადგანაც კრემლის იდეოლოგები განვლილი პოლიტიკური სეზონის მთავარი შედეგების შეფასებას ახდენდნენ.

ერთხმად იქნა დაფიქსირებული რუსეთში პრეზიდენტის არჩევნების შემდგომი პერიოდი და ახალი საარჩევნო ბრძოლის დაწყება - პუტინის მიერ, რა თქმა უნდა. ითქვა, რომ ქვეყანაში უკვე ჩამოყალიბდა ძლიერი სახელისუფლებო პარტია, რომ ანტიტერორისტული კოალიციის შექმნისას პუტინმა გამოიყენა ახალი სიტუაცია და უზრუნველყო თავისი უპრეცედენტო გავლენა საერთაშორისო არენაზე - ეს ფაქტი დასახელდა გასული პოლიტიკური სეზონის მთავარ შედეგად. პოლიტოლოგთა შეფასებით, რუსეთის დასავლური ორიენტაციის ჩამოყალიბება, საბაზრო ეკონომიკის რელსებზე შედგომა დაემთხვა რუსეთში ძლიერი ბიუროკრატიული მანქანის ამოქმედებას, რაც პუტინის იმიჯს ქულებს აკლებს. რუსი პოლიტოლოგების ერთი ნაწილი თვლის, რომ რუსეთის პრალამენტის მიერ მიღებული კანონი “ექტრემიზმის შესახებ” და ალტერნატიული სამხედრო სამსახურის იდეის უკუგდება რადიკალური ძალებისა და გენერალიტეტის საამებლად მოხდა. პავლოვსიკს თქმით, “რუსეთი ამ შემოდგომაზე საარჩევნო-ელექტორალურ ავტობუსში ჩაჯდება და კრემლის რომელი გუმბათი გაიმარჯვებს, პუტინზე იქნება დამოკიდებული”.

დებატებზე ალინიშნა, რომ რუსეთში საჯარო პოლიტიკა საკაბინეტომ შეცვალა, მაგრამ ხელისუფლებას არ აქვს მოსახლეობის სოციალური ინტერფეისი, რაც, შესაძლოა, კრემლს ძვირად დაუჯდეს. ალინიშნა, რომ ასევე უსიამოვნო მომენტია “ჟირინოვსკი-2”-ის სინდრომის გაჩენა, ექსტრემისტულ-რადიკალური გაერთიანებების – “სკინჰედების” გამოყენება და ვილაცის მიერ დადგმული მასობრივი უწესრიგობები, რაც რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ, ალბათ ჟირინოვსკიმ, შეიძლება, საკუთარ საარჩევნო კამპანიაშიც ჩართოს. ალინიშნა, რომ გასული პოლიტიკური სეზონი რუსეთში სტაბილურობის აპოთეოზი გახდა, დასრულდა ახალი რუსეთის ფორმირება და ხალხს გაუჩნდა უსაფრთხოების ლოგიკა: დასავლეთით - მოახლოებული ნატო-სა და აღმოსავლეთით - ბენზინგასამართი სადგურების სახით, რაც პოლიტიკოსთა აზრით, უზრუნველყოფს რუსეთის დასავლეთთან ინტეგრაციას.

გასულ სეზონში, პოლიტოლოგთა შეფასებით, მოხდა რუსეთის სტრატეგიული ოლიგარქიული მოდერნიზაცია - ახალი სუპერელიტის ჩამოყალიბება პარლამენტის ზედა პალატაში მოსული ოლიგარქების სახით. ნიკონოვის თქმით, თუ მსოფლიოში არის ლორდთა პალატის მაგალითი, რუსეთში კამერდინერთა პალატა შეიქმნა. მაგრამ “დებატების” მონაწილეთა აზრით, “ამერიკული ოცნების” გახორციელებას პუტინი ვერ შესძლებს, რადგანაც რუსეთი საბაზრო ქვეყანა კი გახდა, მაგრამ კაპიტალისტური ვერასოდეს იქნება - ოლიგარქიული მოდერნიზაცია ამისათვის სოციალურ სფეროს არ ქმნის.

ელცინით დაღლილ ხალხს პუტინი ფსიქოანალიტიკოსად მოევლინა და იგი საპრეზიდენტო მეორე, მესამე ვადასაც გაუძლებს, ოღონდ მძლავრი პიარის თანხლებით - ასე ფიქრობენ პოლიტოლოგები. თუმცა იქვე აცხადებენ, რომ რუსეთში აღარ გავა ირაციონალური პარადიგმა - პატრიოტული რიტორიკა. პუტინმა ხალხის იმედები ვერ გაამართლა. პარადიგმა გაქრა და პუტინმა რაციონალიზმი მოიტანა. “ნეზავისიმაია გაზეტას” ყოფილი რედაქტორის ტრეტიაკოვის აზრით, “დანიის სამეფოში ყველაფერი რიგზე ვერ არის”, რადგანაც პუტინის ბოლოდროინდელი კრიმინალური ჟარგონი მის იმიჯს სერიოზულად ემუქრება (ბუზები და კატლეტები, ფეხსალაგში ტერორისტების ჩახრჩობა და ა.შ.).

პოლიტოლოგთა ერთ ნაწილი ამბობს, რომ რუსეთში წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო “შენარჩუნებული კრემლის “ოჯახის” პირობებში,” რაც პუტინს ხელს არ შეუშლის კომუნისტების საბოლოო დისკრედიტაციასა და მემარჯვენეთა ბაზაზე ახალი პოლიტიკური ლიდერის გამოკვეთაში. მათი პროგნოზით, პუტინის ხელში მოხდება რადიკალური მემარცხენე ძალების გააქტიურება - მსხვილი ოლიგარქიული ბიზნესის უპირატესობის თანხლებით. “დებატებში” აღუნიშნავი არ დარჩენიათ, რომ გრიგოლ იავლინსკის გადასვლა შეურიგებელ ოპოზიციაში პუტინს “სასიამოვნო” სიურპრიზებს უმზადებს.

# თოვლის ბაბუა წარმოშობით თურქია

დერეკ ფოლი
კორეა-იაპონიიდან
სპეციალურად "24 საათისთვის"

გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა, მაგრამ თოვლის ბაბუა წარმოშობით თურქეთიდან იყო. მან თურქეთის ნაკრებს ნახევარფინალური შეხვედრა აჩუქა. თუმცა, როგორც ჩანს, 26 ივნისს სანტა კლაუსმა შინ დარჩენა გადაწყვიტა, რადგან ნაძვის ხის ქვეშ თურქეთისთვის საჩუქარი ვერ იპოვა.

გუშინ საიტამას სტადიონზე ბრაზილიამ ნახევარფინალი მოიგო და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ზედიზედ მესამედ, საერთოდ კი - მეშვიდედ მოხვდა.

ამის მიუხედავად, გუშინ თურქებმა მშვენიერი ფეხბურთი აჩვენეს და, რაც მთავარია, დაგვანახეს, თუ სინამდვილეში რას წარმოადგენენ ბრაზილიელები.

ვიცი, ძნელია, მაგრამ ერთი წუთით დაივიწყეთ რონალდოს გოლი. თქვენს წინაშე იქნებიან ანერვიულებული ბრაზილიელები ოქროს გოლის მოლოდინში.

ამტკიცებენ, რომ ოლივერ კანი ჩემპიონატის საუკეთესო მეკარის ტიტულს მოიპოვებს. თუმცა, გუშინდელი თამაშის შემდეგ, გამორიცხული არ არის, რუშტუს სახით მას მეტოქე გამოუჩნდეს.

თურქები ისე უტევდნენ, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გოლსაც გაიტანდნენ. აქტიურობდნენ ჰასან შაშიცა და ჰაკან შუქურიც. თავისი საქმე გააკეთა მეოთხედფინალურ შეხვედრაში ოქროს გოლის ავტორმა ილჰან მანსიჟმაც.

თუმცა, საბოლოოდ, ნახევარდაცვაში ყოველთვის კომპეტენტურმა თურქებმა ბრაზილიის ამარა დაგვტოვეს. ამ უკანასკნელის ფინალში გასვლა კი მრავალ კითხვის ნიშანს აჩენს.

დიახ, მათ გაიტანეს გოლი – რონალდოს 49-ე წუთზე შესრულებული დარტყმა მართლაც შესანიშნავი იყო. ერთადერთი, მაგრამ გამარჯვებისთვის სრულიად საკმარისი გოლი. მაგრამ გადასახედია ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობა.

დასანანია, რომ ბრაზილიელთა მთავარმა მწვრთნელმა ბანქოს თამაში "ბავშვების პოკერი" არ იცის. ამ თამაშში, როცა კარტი არ გიმართლებს, შეგიძლია დაყარო და თამაში სრულიად ახალი კარტით განაგრძო. ეს წესი რომ "დიდ ფილს" სცოდნოდა, ნაკრებს, ალბათ, უკეთ დააკომპლექტებდა.

კაფუ კარგად გამოიყურება; რივალდოსა და რონალდოს გოლები გააქვთ; საფრთხეს ქმნის რონალდინიოც. დანარჩენი 16 კაცი კი საშუალოდ, მეტიც, ბრაზილიელთათვის ცუდად თამაშობს. გუნდის ამ ფრთაში შედის რობერტო კარლოსიცა და ლუსიოც, რომელთაც ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ითამაშეს "რეალ" მადრიდისა და "ბაიერ" ლევერკუზენის ღირსების დასაცავად.

"ოგლობოს" – ბრაზილიაში ყველაზე სოლიდური სპორტული გაზეთის ჟურნალისტიც აღიარებს: **"არ გვყავს კარგი ნაკრები. მხოლოდ სამი რ-ს - რონალდოს, რივალდოს და რონალდინიოს - იმედი უნდა გვქონდეს. ბრაზილიის წლევანდელი ნაკრები სუსტია 1998 წლის გუნდზე, რომელიც ფინალურ მატჩში დამარცხდა, სუსტია 1994 წლის ბრაზილიურ ნაკრებზეც, რომელმაც ჩემპიონის თასი მოიპოვა, სამაგიეროდ, ძლიერია 1990 წლის შემადგენლობაზე".**

ეს კი ნამდვილად მართალია. 1990 წელს ბრაზილიის ნაკრები ბოლო 16 გუნდში მოხვდა. თუმცა, გუნდს მაღალი კლასის ფეხბურთელები მაინც ჰყავდა. ისეთები, როგორებიც იყვნენ დიდებული კარეკა, რომარიო და ბებეტო. ისინი არგენტინასთან მატჩში დამარცხდნენ ანგარიშით 1:0. მარადონამ მაშინ ფანტასტიკური ტრიუკი შეასრულა. ბურთი ცენტრში მიიღო, მოატყუა სამი ბრაზილიელი და ბრწყინვალე საგოლე პასი მისცა კანიჯას, რომელმაც ნაკრები დააწინაურა კიდეც. რამდენიმე წუთის შემდეგ გააძევეს ბრაზილიელთა კაპიტანი რიკარდო...

ჩემი აზრით, "ოგლობოს" ჟურნალისტს 1990 წლის ბრაზილიური ნაკრების წინააღმდეგ ის აქვს, რომ მაშინ პირველად შეამცირეს თავდამსხმელთა რიცხვი ორამდე. ეს კი ქვეყანაში, სადაც სწორედ აქტიურ თავდასხმას და შარმს აფასებენ, ვერაფრით გაამართლეს.

მთელი ამ ჩემპიონატების ფონზე, 2002 წელს ბრაზილია სათანადო დონეზე ვერ გამოიყურება. გუშინდელმა თამაშმა კი კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ რონალდოს გოლის შემდეგ ბრაზილიელებმა ერთსულოვნად თამაში ვეღარ შეძლეს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ გუშინ ბრაზილია დამარცხებას არ იმსახურებდა. მაგრამ მაინც ძალიან მაინტერესებს, როგორ შეხვდნენ რიოში ეროვნული ნაკრების გამარჯვებას და მართლა თუ სჯერათ რიოელებს, რომ მათი ნაკრები გერმანიასაც დაამარცხებს.



REUTERS

ჟორდანია-პეტრიაშვილი

# კონტინენტალური დაპირისპირება

## ბრაზილია - გერმანია: ვინ დაამყარებს მორიგ რეკორდს?

1950 წლიდან მოყოლებული, დღემდე გრძელდება გერმანიისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების მეტოქეობა მსოფლიო ჩემპიონატებზე უკეთესი, თანაც, სარეკორდო შედეგების მიღწევაში.

გერმანიის ნაკრები მეშვიდედ გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, სადაც სამჯერ გაიმარჯვა. ბრაზილიელებმაც მეშვიდედ მოიპოვეს პლანეტის ყველაზე საპატიო მატჩში მონაწილეობის უფლება, ოღონდ ოთხჯერ გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები.

ალბათ, ისიც რეკორდია, რომ ამ თორმეტ ფინალში, რომლებშიც გერმანიამ და ბრაზილიამ მიიღეს მონაწილეობა, მათი გზები არასდროს გადაკვეთილა. მხოლოდ 21-ე საუკუნის პირველი მუნდიალი გახდა ამ მხრივაც სადებიუტო. ამჯერად ფინალში გასვლით ბრაზილიამ გერმანიის კიდევ ერთი რეკორდი გაიმეორა. ბუნდესნაკრები პირველი გუნდია მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, რომელმაც ზედიზედ სამი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში (1982, 1986, 1990) გასვლა შეძლო. ამჟამად ტეტრაკამპეონებსაც იგივე მაჩვენებელი აქვთ, რადგან მათ უკვე ითამაშეს ბოლო ორი ჩემპიონატის (1994, 1998) ფინალებში, მესამე კი სამი დღის შემდეგ ელით. დაბოლოს: 1950 წლის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალში აუცილებლად თამაშობდა ან ბრაზილიის, ან გერმანიის ნაკრები გუნდი. გამონაკლისი იყო მხოლოდ 1978 წლის მუნდიალი, რომლის ფინალში ჰოლანდიის დამარცხების შემდეგ არგენტინის ნაკრები პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

### პროგნოზები

**მერაბ ჟორდანია (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, სფფ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთი კანდიდატი):** "დიდი საფეხბურთო ქვეყნების ფედერაციებს შორის ყველაზე კარგი, შეიძლება ითქვას, საუკეთესო ურთიერთობა გერმანიის საფეხბურთო ნაკრებთან გვაკავშირებს. ანბანური თვალსაზრისითაც, როგორც უეფა-ს, ისე ფიფა-ს ყველა ყრილობაზე საათობით გვერდიგვერდ გვიწევს ჯდომა. გერმანიის საფეხბურთო კავშირი არაერთხელ დახმარებია ჩვენს ეროვნულ ნაკრებ გუნდებს და კლუბებს - საწვრთნელი შეკრების ორგანიზება იქნებოდა ეს თუ სხვა რამ. ამდენად, არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ გეტყვით, რომ გერმანიის ნაკრებს ვგულშემატკივრობ. ამის მიუხედავად, ვფიქრობ: მართალია, ფინალში გავიდა, მაგრამ გერმანიას ამ ჩემპიონატზე არ ჰყავს იმ დონის გუნდი, როგორიც ამ ქვეყნის საფეხბურთო ტრადიციებს ეკადრება. ოლივერ კანს თუ არ ჩავთვლით, ახლა ამ გუნდში არ თამაშობენ მსოფლიო დონის გამორჩეული ვარსკვლავები. ბუნდესნაკრებმა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, გამორჩეული გერმანული ხასიათის ხარჯზე მიაღწია ფინალამდე.

საერთოდ, პროგნოზის გაკეთება, მით უმეტეს, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის შესახებ, ძალიან ძნელი საქმეა. ეს მტკიცდება ისეთი ავტორიტეტის მაგალითზე, როგორიცაა პელე. ფეხბურთის მეფე არასდროს იკავებს თავს პროგნოზებისგან, მაგრამ მისი პროგნოზი ჯერ არ გამართლებულა. რა შანსი აქვს გერმანიის ნაკრებს ბრაზილიის წინააღმდეგ ფინალურ მატჩში? მიუხედავად იმისა, რომ, როგორც გითხარით, გერმანელები ამ ჩემპიონატზე მაინცადამაინც არ ბრწყინავენ და თვით ბეკენბაუერიც აკრიტიკებს მათ, თუნდაც, მოგებული ნახევარფინალის შემდეგ, ამ გუნდს ერთი კონკრეტული მატჩის უმაღლეს დონეზე ჩატარების პოტენციალი ყოველთვის აქვს. ასე რომ, ბრაზილიის ნაკრების წინასწარ ჩემპიონად გამოცხადება აბსურდი მგონია. მაინცადამაინც ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ შანსები 50/50-ზეა".

**ბრაზილია-გერმანია 2:1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი დავით პეტრიაშვილი:**

"დიდი ხანია, ფეხბურთს ვუყურებ. 1978 წლის შემდეგ არც ერთი მსოფლიო ჩემპიონატი არ გამიცდენია. რაც შეეხება ბრაზილიის ნაკრებს. 1982 წელს საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიელთა შეხვედრას ვუყურე. მაშინ, ისევე როგორც ბევრი სხვა, საბჭოთა კავშირის ფეხბურთელებს ვქომაგობდი. იმ თამაშის შემდეგ კი ბრაზილიელთა ერთგული გულშემატკივარი გავხდი. თუ რატომ, ამას დიდი ახსნა არ სჭირდება - გუნდი შემტევ, სწრაფ, ეფექტურ და სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. ერთხანს ასეთი ფეხბურთით შორს ვერ წავიდოდი, დღეს კი ბრაზილია ფინალშია. სამხრეთამერიკელებმა კარგად შეათავსეს ფიზიკური მომზადება (რაც დღეს აუცილებელია) და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა. ბრაზილიის ნაკრები იმსახურებს იმას, რომ მას მთელ მსოფლიოში ბევრი გულშემატკივარი ჰყავდეს.

გერმანიის ნაკრები კი, უბრალოდ, გერმანიის ნაკრებია. ამით ყველაფერია ნათქვამი. ფიოლერის გუნდი ერთადერთია, რომელსაც ბრაზილიელთა დამარცხების საკმაოდ რეალური შანსი აქვს.

ფინალი საინტერესო, დაძაბული და სანახაობრივიც იქნება. გერმანელებს ბალაკი არ ჰყავთ, ანუ პრობლემა აქვთ შეტევის დასკვნით ფაზაში. ბრაზილიელებს დაემატებათ რონალდინიოც და სკოლარის გუნდი დიდი ძალებით შეუტევს. მოედანზე გავა მსოფლიო ჩემპიონატის სამი საუკეთესო ბომბარდირი - გერმანელი მიროსლავ კლოზე, რონალდო და რივალდო. ამაზე კარგ ფინალს ვერც ვინატრებდით. გუშინდელ შეხვედრაში ბრაზილიელები ზედმეტად მშვიდად თამაშობდნენ და რამდენიმე რეალური მომენტი გააფუჭეს. გავიხსენოთ ის "მაკრატელა", რომელიც ლუიზაომ შეასრულა. გერმანელი ბურთს გააჩერებდა, დაუმიზნებდა და უეჭველად გაიტანდა. ბრაზილიელმა კი სხვაგვარი, წმინდა ბრაზილიური გადაწყვეტილება მიიღო. ალბათ, სწორედ ამიტომ უყვართ ბრაზილიელთა ყურება. გერმანიის უპირატესობა მტკიცე სათამაშო დისციპლინაშია. ჩემი აზრით, ბრაზილია მოიგებს – 2:1."

# მუნდიალი ლოგიკას დაემორჩილა

**გოლები: რონალდო (49)**
**მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)**
**სტადიონი: საიტამა**
**61058 მაყურებელი**

ესეც ასე, როგორც იქნა, ყველაფერი დალაგდა ამ სკანდალურ მუნდიალზე. ფინალში ძაღლიჭამია კორეელებისა და ისლამის ერთგული თურქების ნაცვლად უდიდესი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყანათა ნაკრებები გავიდნენ და მსოფლიო დაძაბული ბრძოლის მოლოდინში გაინაბა.

ბევრს კი იმუქრებოდნენ თურქები, ბრაზილიასთან ჯგუფურ ეტაპზე მსაჯის არაობიექტურობის გამო წავაგეთ და ნახევარფინალში სამხრეთამერიკელებს კუდით ქვას ვასროლინებთო. მათი ქადილი ამაო გამოდგა. ტეტრაკამპეონები, მუნდიალზე სულ მეორედ მოხვედრილ ევრო-აზიელებზე (მაინც ვინ არიან თურქები, ჩვენი არ იყოს, ევროპელები თუ აზიელები?) უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ და მეორე ფინალისტის ვაკანტური ადგილიც დამსახურებულად დაიკავეს.

ვერავინ იტყვის იმას, რომ ბრაზილიელებმა იოლად მოუგეს მეტოქეს, რომ თურქებს მთელი მატჩის განმავლობაში ღირებული არაფერი შეუქმნიათ და სამხრეთამერიკელებს ფინალის საგზური ხონჩით მიართვეს. არაფერი ამდაგვარი ნამდვილად არ მომხდარა. ამ მატჩში ყველაფერი იყო, რაც კი დამაინტრიგებელი ნახევარფინალისთვისაა საჭირო. თურქებმა ბოლო წუთებამდე ისე შეუპოვრად იბრძოლეს, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარის ჰასან შაშის ან მანსიზ ილჰანის საჯარიმოსთან ყოველ მიახლოებაზე შიშისგან გული უსკდებოდა, ემანდ წარმოგიდგენიათ? 1978 წლის გამოკლებით, ყოველი მუნდიალის ფინალში ან ბრაზილია თამაშობდა, ან გერმანია, ერთმანეთთან შეხვედრის ბედნიერება კი ჯერაც არ ჰქონიათ.

ეს ისტორიული მოვლენა 30 ივნისს შედგება იაპონურ იოკოჰამაში, სადაც ფავორიტი ისევ და ისევ რონალდო-რივალდოს ბრაზილიაა და არა ოლივერ კანის ბედკრული გერმანია. ფიოლერის გუნდს წელს ალბათ მანამდე არ დაუჯერებენ, სანამ ბრაზილიელების მსგავსად, ევროპელებიც ტეტრაკამპეონები არ გახდებიან და მეოთხედ არ აღმართავენ მსოფლიო თასს, რისი შანსიც მათ ნამდვილად აქვთ.

მაშ ასე, უკვე ყველაფერი გარკვეულია. ერთთვიანი სკანდალებით აღსავსე მარათონი ფინიშს მიუახლოვდა. წილი უკვე ნაყარია. ახლა ყველაფერი იღბალის საქმეა, სწორედ ფორტუნა გადაწყვეტს ალბათ იმას, თუ ვის გაუმართლებს ოცდამეერთე საუკუნის პირველ ფინალში- ბრაზილია გახდება პენტაკამპეონე თუ გერმანიის სახით მსოფლიოს კიდევ ერთი ოთხგზის ჩემპიონი მოევლინება?

**ლუიშ ფელიპე სკოლარი** *(ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "ბუნებრივია, დღეს უკვე შემიძლია თავისუფლად ამოვისუნთქო და თავი ბედნიერად ვიგრძნო. თურქეთის ნაკრები საკმაოდ რთული მეტოქეა, მათი ძალა ჩვენ ჯერ კიდევ ჯგუფურ ეტაპზე გამოვცადეთ.*

*ფინალი ალბათ საოცრად დაძაბული და საინტერესო იქნება. გერმანიას ძალიან კარგი, აწყობილი ნაკრები ჰყავს, რომელსაც ზურგს დიდი ტრადიციები უმაგრებს.გერმანელები უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ. ჩვენ ერთ ბედქვეშ ვიყავით აქამდე.*




## 1/2 ფინალი. ბრაზილია 1:0 თურქეთი






REUTERS

თურქებს ღმერთი არ გაუწყრეთ და ამ საფინალოდ გამზადებულ ხალხს კიდევ დამატებითი ტაიმი არ გვათამაშონო.

ასეა თუ ისე, ფეხბურთი, ეს ყველაზე ჭირვეული სპორტი, ბოლოს მაინც დაემორჩილა ლოგიკას და ფინალში ბრაზილია გავიდა. ყველაზე საინტერესო მთელს ამ ისტორიაში იცით, რა არის? ის, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გერმანიის ნაკრები და მუნდიალის ოთხგზის გამარჯვებული ბრაზილიელები აქამდე ერთხელაც კი არ შეხვედრიან ერთმანეთს!

*ორივე გუნდი გაჭირვებით მოხვდა მუნდიალზე და არც ერთი არ მიიჩნეოდა ფავორიტად. ამის მიუხედავად, ფინალში სწორედ ჩვენ ორნი გავედით.*

*კენჭისყრისას, როცა გაირკვა, რომ ჩვენ ერთმანეთს ფინალამდე არ ვხვდებოდით, რუდი ფიოლერს ხუმრობით ვუთხარი: "ხომ ხედავთ, რა კარგად აეწყო ყველაფერი? ერთმანეთს მხოლოდ ფინალში შევხვდებით". მოხარული ვარ, რომ ჩემი წინასწარმეტყველება გამართლდა."*

**რონალდო** *(ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი): "დღეს ორმაგად ბედნიერი ვარ. გარდა იმისა, რომ გოლი გავიტანე და ბომბარდირთა სიის ლიდერი გავხდი, ბრაზილიის ნაკრები ფინალში გავიდა, სადაც კიდევ ერთხელ შევეცდებით ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას.*

*დარწმუნებული ვარ, ამჯერად ფინალური მატჩი ჩვენი ტრიუმფით დასრულდება და ოთხი წლის წინადელი მარცხისაგან განსხვავებით. ძალიან მინდოდა, ფინალში ისევ ფრანგებს შევხვედროდი და შური მეძია, მაგრამ არა უშავს, არც გერმანელების დამარცხებაზე ვიტყვი უარს."*

**შენოლ გიუნეში** *(თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):"დამარცხების მიუხედავად, მაინც საოცრად ამაყი ვარ. ჩვენ იმაზე მეტს მივაღწიეთ, ვიდრე წარმოვიდგენდით. ბრაზილიელებმა ძირითადად გამოცდილების ხარჯზე გვაჯობეს. ისინი ფლანგებს ჩვენზე უკეთ იყენებდნენ და მეტად სახიფათოდ უტევდნენ. ჩვენ მეტოქის დაღლა გვსურდა, რათა შემდეგ გოლი თავისუფლად გაგვეტანა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხეთ.გუნდი უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ თამაშობდა. თურქეთის ნაკრები ნახევარფინალში არასდროს ყოფილა და თურქი გულშემატკივრები ჩვენგან სასწაულს ელოდნენ.*

*ახლა ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მსოფლიოს მესამე გუდი გავხდეთ. არც ბრინჯაოს მედლებია ურიგო. ბრაზილიელებს კი გერმანელებთან ფინალში თამაში უფრო გაუადვილდებათ, ვიდრე ჩვენი დამარცხება."*

**ჰაკან შუქური** *(თურქეთის ნაკრების კაპიტანი): " რა გაეწყობა, ბრაზილია ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდა. თურქეთის ნაკრებმა მხოლოდ ორჯერ წააგო და ორივეჯერ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონთან. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ მუნდიალს სწორედ ბრაზილია მოიგებს.*

*არა მგონია, ვინმეს პრეტენზიები ჰქონდეს თურქეთის ნაკრების მიმართ. ჩვენ ნახევარფინალში გავედით, ზოგიერთი ფავორიტი კი ჯგუფურ ეტაპს ვერ გასცდა. სწორედ ამიტომ დამარცხებული თურქეთის ნაკრები სწორედ ისევე იმსახურებს აპლოდისმენტებს და ოვაციებს, როგორც გამარჯვებული ბრაზილიელები."*

*ძიუდო*

# ერთთვიანი პაუზის შემდეგ

სლოვენია. მარიბორი. 2002 წლის 20 მაისი საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. იმ დღეს ფინალში ქართველმა ძიუდოისტებმა ტურნირის ფინალში ბელორუსის ეროვნულ გუნდს მოუგეს 4:3, არადა შეხვედრის მიმდინარეობისას 1:3-ს აგებდნენ. ფინალამდე ქართველებმა თურქებს, მასპინძლებს, ფინელებს და უკრაინელებს სძლიეს. ევროპის ჩემპიონები გახდნენ: ნესტორ ხერგიანი – 60 კგ. წონითი კატეგორია, 66 კგ. - გიორგი რევაზიშვილი, 73 კგ. – დავით ქევხიშვილი, 81 კგ. მორის თადუმაძე, 90 კგ. - ზურაბ ზვიადაური, 100 კგ. ივერი ჯიქურაული და მძიმე წონაში ალექსი დავითაშვილი.

ეს ერთი თვის წინ იყო, გუშინ კი იმდღევანდელ მოვლენასთან დაკავშირებით, ამჯერად უკვე თბილისში, რესტორან "შობაში" თემურ ხუბულურის მეცადინეობით სასიამოვნო საღამო მოეწყო, რომელზედაც გარდა იმისა, რომ სპორტსმენებს პრეზიდენტმა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის, ირაკლი მეძმარიაშვილის ხელით და მთავრობის სხვა წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს, ოქროს მედალოსნები ფასიანი საჩუქრებითაც დააჯილდოვეს. პრეზიდენტის ბრძანებულებით ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ ძიუდოისტები ზურაბ ზვიადაური, ნესტორ ხერგიანი, ივერი ჯიქარაული. მწვრთნელები ანზორ მარგველანი, ბიძინა მოხევიშვილი, შენგელი ფიცხელაური. ღირსების მედლებით ალექსი დავითაშვილი, გურამ მოდებაძე და დავით ქევხიშვილი.

ალსანიშნავია, რომ ქართველი ძიუდოისტები სულ მეორედ იღებდნენ მონაწილეობას ასეთი სახის ტურნირზე. სხვა შეჯიბრებებზე ჩვენი ეროვნული გუნდი უსახსრობის გამო ვერ გაემგზავრა. აგვისტოში მსოფლიო თასის გათამაშება უნდა შედგეს, თუმცა უსახსრობის გამო ჩვენი გუნდი შესაძლოა, ტურნირის მიღმა აღმოჩნდეს, არადა ევროპის ჩემპიონის გამოკლება ტურნირს აშკარად დააკლებს ხიბლს.

"ეს არის ქართული ძიუდოს სკოლის უდიდესი წარმატება. ამ წარმატებისთვის ფედერაცია დიდი ხანია ემზადებოდა. ჩვენ რითაც შეგვეძლო, ყველაფრით დავეხმარეთ ძიუდოისტებს, მაგრამ მარტო ამ ტურნირით ხომ არ წყდება ყველაფერი. წინ მსოფლიო თასია და თუ პრეზიდენტის ფონდიდან დახმარება არ იქნა სპორტის დეპარტამენტს გუნდის დაფინანსების არანაირი საშუალება არ გააჩნია. ძალიან კარგია დღევანდელი საღამო რომ მოეწყო, მაგრამ ამ ხალხს სხვანაირი მოპყრობა სჭირდება, უფრო თბილი და ყურადღებიანი", - განაცხადა ირაკლი მეძმარიაშვილმა.

*იუბილე*

# გივი ჩოხელი - 65

დემიკო ლოლაძე

1960 წლის 10 ივლისს პარიზის "პარკ დე პრენსზე" იუგოსლავიის ძლიერი ნაკრების წინააღმდეგ ფინალურ მატჩში გივი ჩოხელი მეორედ გამოდიოდა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში და უაღრესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ, 23 წლის ასაკში, ევროპის უმაღლესი საფეხბურთო ჯილდოს მფლობელი გახდა.

გივი ჩოხელს ფეხბურთში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ქართველთაგან მან, მიხეილ მესხმა და სლავა მეტრეველმა სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ევროპის თასი მოიპოვეს.

გივი ჩოხელმა ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების მატჩებში პირველად 1957 წლის 6 აპრილს ჩაიცვა თბილისის "დინამოს" მაისურა, როდესაც თბილისელები მასპინძლობდნენ მოსკოველ თანაკლუბელებს.

1959 წელს ბატონი ანდრო ჟორდანია გუნდში მესამედ დაბრუნდა. დაიწყო დინამოელთა ახალი აღმავლობა, რომელმაც 1964 წლის ტრიუმფამდე მიგვიყვანა. ეს იყო წლები, როდესაც, ფაქტობრივად, მთავრდებოდა ცვლის მძიმე პროცესი და გუნდში ფეხს იკიდებდა ნიჭიერი ახალგაზრდობა: მესხი, ჩოხელი, იამანიძე, ბარქაია, კოტრიკაძე და სხვები. ანდრო ჟორდანიამ მოსვლისთანავე მათ მისცა ხელში სადავეები და, ხუთწლიანი კრიზისის შემდეგ, გუნდმა მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. სეზონის გახსნის შეხვედრაში მოსკოვის "სპარტაკთან" გივი ჩოხელს საუკეთესო თამაშისთვის სპეციალური პრიზი გადაეცა. ასეთივე ჯილდო მიიღო იგორ ნეტომ.

ის იყო პირველი ქართველი ფეხბურთელი, რომელიც საბჭოთა კავშირის ნაკრებში დაცვის ხაზზე იდგა. მანამდე ჩვენ მხოლოდ თავდამსხმელებით შეგვეძლო გვეამაყა. ჩოხელი უაღრესად თანამედროვე მცველი იყო. დიდი ფეხბურთელის ერუდიცია და მაღალი ტაქტიკური ალღო მას საშუალებას აძლევდა, ყოველთვის რაციონალურად ეთამაშა დაცვის ცენტრში, ხოლო როცა ფლანგზე გადადიოდა, აქტიურად ეხმარებოდა ფორვარდებს. განსაკუთრებით კარგი იყო მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში. შესანიშნავად თამაშობდა თავით. მისი მოჩვენებითი აუჩქარებლობის უკან იმალებოდა მცველის ისეთი ძვირფასი თვისებები, როგორიცაა სიმშვიდე და პარტნიორის შეგრძნება, პოზიციისა და მდგომარეობის ფაქიზი შერჩევა. მაღალი ტექნიკა ეხმარებოდა, ძალზე "ზრდილობიანი" ყოფილიყო მეტოქეთა მიმართ, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს, წესიერების ფარგლებში, ბურთისთვის ძალისმიერი ხერხები გამოეყენებინა. ამ ბრძოლას ის ყოველთვის იგებდა.

შოთა იამანიძე ვერ იხსენებდა ვერც ერთ შემთხვევას, როცა გივის მეგობრის დახმარება შეეძლო ცხოვრებაში თუ მოედანზე და არ დახმარებოდა. ხშირად ამას საკუთარი ავტორიტეტით, ზოგჯერ კი საკუთარი ჯანმრთელობის საზიანოდაც აკეთებდა. გარეგნულად ყოველთვის მშვიდი იყო, ერთი შეხედვით, ფლეგმატურიც კი, მაგრამ წარმატებასაც და წარუმატებლობასაც ტემპერამენტიანი სამხრეთელის კვალობაზე განიცდიდა.

გივი ჩოხელი 1994 წლის 25 თებერვალს გარდაიცვალა. დღეს მას 65 წელი შეუსრულდებოდა.

*ჩოგბურთი*

## უიმბლდონს საფინი გამოეთიშა

უიმბლდონის დღევანდელი დღე სენსაციით აღინიშნა. ბრძოლას გამოეთიშა ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, მეორე ნომრად განთესილი მარატ საფინი. საფინმა ბელგიელ ჩოგბურთელთან, ოლივიე როჰუსთან წააგო. პირველი ორი სეტი ბელგიელმა იოლად, 6-2 და 6-4 მოიგო. მესამეში რუსი გააქტიურდა და 6-3 მოიგო. მეოთხე სეტში ტაი ბრეიკით ისევ როჰუსმა გაიმარჯვა და მომდევნო ეტაპზე გავიდა. ავსტრალიელმა მარკ ფილიპოსისმა სამ სეტში, 7-5, 6-3 და 6-4 დაამარცხა შვედი ენკვისტი. ეკვადორელმა ნიკოლას ლაპენტიმ წაგებული პირველი სეტის სემდეგ, მაინც გატეხა ინგლისელი ბარი კოუენის წინააღმდეგობა და ზედიზედ სამი სეტი მოიგო. ბრძოლას განაგრძობს რუსი ევგენი კაფელნიკოვი, რომელმაც სამ სეტში დაამარცხა ფრანგი ნიკოლა ტომანი. ყველაზე დაძაბული გამოდგა ტურნირის მეთხუთმეტე ნომრის, რუმინელი ანდრეი პაველისა სლოვაკი კაროლ ბეკის შეხვედრა. რუმინელმა პირველი სეტი წააგო, სემდეგ კი ტაი ბრეიკით გაიმარჯვა. ბეკმა ცუდად ჩაატარა მესამე და მეოთხე სეტები. ბრძოლას რუმინელი განაგრძობს. ამერიკელმა ტეილორ დენტმა სამ სეტში, 6-4, 7-5 და 7-6 მოუგო თანამემამულე მაიკლ გემბილს. ნაკლებად დაძაბული გამოდგა ქალთა ტურნირის შეხვედრები. უიმბლდონის ყოფილმა ჩემპიონმა, ფრანგმა მერი პირსმა იოლად, ორ სეტში 6-3, 6-4 მოუგო თანამემამულე, მერვე ნომრად განთესილ სანდრინ ტესტიუს. ჩანდა რუბინმა ირუდა ტულიაგანოვას მოუგო და მომდევნო წრეში რუსი პანოვასა და ელენა ბოვინას შორის გამარჯვებულს შეხვდება.

## ჟურნალისტებს ეთიკისკენ მოუწოდეს

ანა კურნიკოვამ ისევ ვერ გაამართლა მრავალრიცხოვან გულშემატკივართა იმედი - რუსი სექს-სიმბოლო პირველსავე წრეში გამოეთიშა ასპარეზობას. აშკარად გამოიხატა ჟურნალისტთა აგრესია. მასმედიის წარმომადგენლებს, უბრალოდ, მობეზრდათ კურნიკოვას იმიჯის შექმნა და მისგან, ჩემპიონობას თუ არა, ერთი შეხვედრის მოგებას მაინც ელიან. განსაკუთრებით მწვავე კონფლიქტი იყო კურნიკოვასა და რადიოსადგურ ბი-ბი-სის ჟურნალისტებს შორის. ჟურნალისტმა გარი რიჩარდსონმა ხმამაღლა განაცხადა ის, რაც, ალბათ, არაერთხელ უფიქრია თითოეულ ჩვენგანს. "კურნიკოვამ რანგით უფრო დაბალ ტურნირებში უნდა ითამაშოს. სხვაგვარად იგი ვერასოდეს მოიგებს", - თქვა რიჩარდსონმა კურნიკოვას ინტერვიუს დროს. ჩოგბურთელმა მოთმინება დაკარგა, წამოხტა და რიჩარდსონისგან მოითხოვა, ფირზე ჩაწერილი ინტერვიუ საერთოდ წაეშალა. ეს კი ტაქტიკური შეცდომა გამოდგა. ბი-ბი-სიმ აგრესიული კამპანია დაიწყო. პირდაპირი ეთერიდან კურნიკოვა გააკრიტიკეს ყოფილმა ვარსკვლავებმა ჯონ მაკინროიმ, ვირჯინია უეიდმა და პემ სრაივერმა. კურნიკოვას საწინააღმდეგო აქციაში ჩაებნენ ბრიტანული გაზეთებიც.

რუს ჩოგბურთელს მხარი დაუჭირა ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ასოციაციამ, რომელმაც მხარეებს შორის მოლაპარაკება ითავა. "ანას ჰქონდა გაბრაზების საფუძველი," - განაცხადა ასოციაციის პრესსამსახურმა, - "რიჩარდსონის შეკითხვები დასაშვებზე ოდნავ უხეში და არაეთიკური გამოდგა." ბი-ბი-სი კი საკუთარ ჟურნალისტს იცავს და მიაჩნია, რომ კურნიკოვა მომავალში, ტურნირის შერჩევის გარდა, იმაზეც იფიქრებს, ვის მისცეს ინტერვიუ და ვის - არა.

## ცენტრალური კორტი 80 წლისაა

გუშინ, 26 ივნისს მისი უდიდებულესობა მეფე ჯორჯ მეხუთეს მიერ გახსნილი, უიმბლდონის ცენტრალური კორტი, 80 წლის გახდა. პირველი შეხვედრა 1922 წლის 26 ივნისს ჩატარდა და ევროპული დროით დღის სამ საათსა და 45 წუთზე დაიწყო. პირველი ჩაწოდება, რა თქმა უნდა ინგლისელმა ჩოგბურთელმა, ლესლი გოდფრიმ შეასრულა. მისმა მეტოქემ, რომელიც ასევე შევიდა ისტორიაში ბურთი მეტოქის ნახევრისაკენ გაგზავნა. გოდფრიმ, რომელიც გრძნობდა მომენტის ისტორიულ მნიშვნელობას ბურთი ჯიბეში ჩაიდო და სამახსოვროდ დაიტოვა.

*FORMULA 1*

## ფორმულა 1-ს ორი გრან-პრი დაემატება

ფორმულა 1-ის მფლობელმა ბერნი ეკლსტოუნმა უარყო ხმები იმის შესახებ, რომ მომავალ სეზონში მსოფლიო ჩემპიონატს ახალი ტრასა ემატება. სამაგიეროდ, ეკლსტოუნმა განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებებია დაგეგმილი 2004 წლის სეზონისთვის: "2004 წლამდე ცვლილებების შეტანას არ ვაპირებთ. დღევანდელი დონე სავსებით მაკმაყოფილებს. ორ წელიწადში კი ფორმულა 1-ში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი. ჩემპიონატს, მინიმუმ ერთი, მაქსიმუმ სამი გრან-პრი დაემატება." ეკლსტოუნი შეეხო რუსეთში მიმდინარე ტრასის მშენებლობასაც: "თუ ტრასის მშენებლობა დასრულდა, მოსკოვის გრან-პრიც შედგება." უფრო მოულოდნელი და სენსაციური იყო ეკლსტოუნის მომდევნო განცხადება. ფორმულას შეფმა განაცხადა, რომ პროექტშია ჩინეთის გრან-პრის გათამაშება. მისმა განცხადებებმა ტრასების მფლობელთა შორის დიდი არეულობა გამოიწვია. ცხადია, ორი ახალი ტრასის შექმნას ორი ძველი ტრასა შეეწირება. ეკლსტოუნს კი ამის თაობაზე კრინტიც არ დაუძრავს. "გაუქმების ყველაზე დიდი შანსი აქვს ინგლისის "სილვერსტოუნს", რომელიც ძალიან შორსაა თანამედროვე ტრასების სტანდარტისგან", - მიაჩნია ეკლსტოუნს.

# „დომინატორი" მიდის



REUTERS

როცა დიდი უეინ გრეცკი სპორტიდან წავიდა, თანამედროვე ჰოკეის ერთი ეპოქა დასრულდა. დომინიკ ჰაშეკი მაშინ დიდების გზას იკვლევდა. მას შემდეგ "დომინატორმა" მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ოლიმპიური ჩემპიონი სახელოვან პატრიკ რუასთან ერთად nhl-ის უდიდეს მეკარედ აღიარეს.

**"ახლო წარსულში სტენლის თასი ერთადერთი ჯილდო იყო, რომელიც არ მომეგო,** – დამშვიდობებისას თქვა დომინიკ ჰაშეკმა, – **ახლა, უმაღლესი დონის, 21-წლიანი პროფესიული კარიერის გადასახედიდან, ვგრძნობ, რომ მწვერვალზე დასარჩენად ძალა აღარ მყოფნის. ვერ შევძლებ ძველებურად თამაშს".**

12 წელი გაატარა "დომინატორმა" ჰოკეის ნაციონალურ ლიგაში. ამ ხნის განმავლობაში ექვსჯერ გადაეცა ვეზინა ტროფი (საუკეთესო მეკარის პრიზი), ორჯერ - ჰარტ ტროფი, როგორც რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშეს. ბოლოს, სულ ახლახან, მისი გუნდი "დეტროიტ რედ უინგზი" სტენლის თასის მფლობელი გახდა. ეს იყო ბოლო ჯილდო, რომელიც ჰაშეკს მანამდე არ ღირსებია.

შარშან, ზაფხულში, დომინიკ ჰაშეკმა სწორედ ამ ჯილდოსთვის მიაშურა მოტორების ქალაქს და უარით გაისტუმრა სენტლუისელი პრომოუტერები, რომლებიც "დომინატორს", ფინანსური თვალსაზრისით, ბევრად უფრო მაცდურ პირობებს სთავაზობდნენ. გაისტუმრა და არც შემცდარა. 13 ივნისს ფინალური სერიის გადამწყვეტი, მეხუთე მატჩის საფინალო სირენის შემდეგ, ჩეხმა დიდი ხნის ოცნება რეალობად გადააქცია.

ამრიგად, "წითელი ფრთების" ხელმძღვანელობას რვა მილიონი დოლარი (ხელფასის სახით სწორედ ამდენს მიიღებდა ჰაშეკი წლის განმავლობაში, თუ, რა თქმა უნდა, გუნდში დარჩებოდა) და პირველი მეკარის ადგილი გაუთავისუფლდა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამბიციურმა კლუბმა გამოუცდელ მენი ლეგასს დაუთმოს კარში ადგილი. ამიტომ კლუბის გენერალური მენეჯერი კენი ჰოლანდი, თანამოაზრეებთან ერთად, ალბათ, "ტორონტო მეილ ლიფზის" გოლკიპერის კერტის ჯოზეფისთვის ბრძოლაში ჩაებმება. თანაც, პირველი ივლისიდან, თავისუფალი აგენტის სტატუსით, ბაზარზე სამეკარეო ხელოვნების ისეთი ნიმუშები გამოეფინებიან, როგორებიც მაიკ რიხტერი, ბაირონ დაფო და ედ ბელფორი არიან.

# ვენის ტყის სიზმრები

## დათო საყვარელიძე: "Wiener Festwochen - თეატრალური ფესტივალი მათთვის, ვისაც მედიტაცია და ექსპერიმენტი უყვარს"

დავით ბუხრიკიძე

ვენის თეატრალური ფესტივალი, რომელიც 1951 წელს დაარსდა, მეორე მსოფლიო ომისშემდგომ ქანცგაწყვეტილ ევროპას წამალივით მოუხდა. ისევე, როგორც თეატრალურ წრეებში უფრო პოპულარული ედინბურგი და ავინიონი. მართალია, ათწლეულების განმავლობაში ედინბურგსა და ავინიონში პროგრამა ბევრად უფრო მრავალფეროვანი და ხალხურია (ალბათ, ამიტომაც არსებობს "ფრინჯი", თავისუფალი პროგრამა), სამაგიეროდ, ვენაში თეატრალებს უფრო სერიოზული და ექსპერიმენტული ზრახვებით იპყრობენ - Wiener Festwochen მედიტაციისაკენ მიდრეკილთა მოთმინებაზეა გათვლილი და არა ქუჩაში მოხეტიალე მხიარულ და უკომპლექსო მაყურებელზე. თვით ყველაზე უინტერესო სანახაობას ან პრეტენზიულ-აკადემიურ ახირებას ვენაში პრესტიჟულ დარბაზებს უთმობენ.

10 მაისიდან 16 ივნისამდე ფესტივალი Wiener Festwochen მაყურებელს სამნაწილიან პროგრამას სთავაზობდა: მუსიკალურს, ექსპერიმენტალურსა და ლიტერატურულს (აქ შედის ე.წ. კლასიკური წარმოდგენები, ლიტერატურული თეატრი, ერთი მსახიობის თეატრი და ა.შ).

ვენის ფესტივალის ინტერდანტმა, სახელოვანმა რეჟისორმა ლუკა ბონდიმ შესაშური ენთუზიაზმი გამოიჩინა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან სხვადასხვა "წონის" სპექტაკლი თუ პერფორმანსი მოიზიდა. მაგალითად, კლასიკური კატეგორია, რომელსაც ხალხურ ენაზე "ფსიქოლოგიური თეატრი" ეწოდება, წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა პოლონელი რეჟისორის, გჟეგოშ იაჟინას კრაკოვში დადგმული "დღესასწაულით." მას საფუძვლად დაედო "დოგმას" პრინციპით გადაღებული ერთ-ერთი ცნობილი ფილმის სცენარი. მოხუცი მამის დაბადების დღის აღსანიშნავად გათამაშებული "კარნავალი", რომელიც მალე მამხილებელ თვითგვემაში გადაიზრდება, მაყურებელმა არცთუ უინტერესოდ აღიქვა. სპექტაკლი არ არის სტანისლავსკის დახავსებული შეხედულების გამართლება. პირიქით, მასში გამძაფრებულია ფსიქოანალიტიკური ტონუსი. გჟეგოშ იაჟინა კი დღეს პოლონური თეატრის ახალგაზრდა თაობის ყველაზე ნიჭიერი წარმომადგენელია, რომელიც ყოველ სპექტაკლს ახალი ფსევდონიმით დგამს.

განსაკუთრებული წარმატება წილად ხვდა ჰამბურგის "კამერშპილეს." რეჟისორი მიხაელ ტალჰაიმერი ამაოდ არ შეეჭიდა მე-20 საუკუნის ავსტრიელ კლასიკოსს ფრანც მოლნარს, რომლის "ლილიომი" ერთ-ერთ ცნობილ ნაწარმოებად ითვლება. კრიტიკოსებს არ მოეწონათ რომანტიკული თუ სიმბოლური სულისკვეთებით დატვირთული ტექსტი, რომელიც გერმანელმა რეჟისორმა ცივი და რაციონალური ევროპული თეატრის ტრადიციით დადგა. თითქმის ცარიელი სცენა, თანამედროვე კოსტიუმში გამოწყობილი პერსონაჟები, ასკეტური გარემო და თავშეკავებული ემოციები - ასეთია ტალჰაიმერის მიერ შექმნილი ჰერმეტული თეატრალური სამყარო. არადა, პიესაში ვნებები თითქოს საგანგებოდაა დახვავებული: სიყვარული, ეჭვი, დანაშაული, თვითმკვლელობა...

Wiener Festwochen ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე ოპერა "სამი და", რომელიც ექსპერიმენტებით ცნობილ ლიონის ოპერაში დაიდგა. ეს არის წარმატებული შემოქმედებითი თანამშრომლობის მაგალითი, ფესტივალის ხელმძღვანელობასა და უცხოურ თეატრებს შორის. თანამედროვე უნგრელი კომპოზიტორის ოპერა, ძირითადად, ჩეხოვის ტექსტს ეყრდნობა, თუმცა ლიბრეტო გათანამედროვებულია. ქალების როლებს - კერძოდ, ბედკრულ მაშას, ირინას და ოლგას - მამაკაცები ასრულებენ, უფრო ზუსტად, მღერიან. ამ სპექტაკლმა, ისე როგორც ევგენი გრიშკოვეცის "პლანეტამ", დიდი ინტერესი გამოიწვია.



მათი მზერა ყველაფერს წვდება

თანამედროვე რუსული თეატრის ერთ-ერთი გამორჩეული პერსონა ევგენი გრიშკოვეცი თბილისში შარშან ნოემბერში იმყოფებოდა და მონაწილეობა მიიღო პროექტში "რეარტგრუპ". სწორედ მაშინ ვიხილეთ თავად დრამატურგის მიერ დადგმული სპექტაკლი, სადაც თავადვე ასრულებს მთავარ როლს. გრიშკოვეცის დამოკიდებულება დარბაზთან და პერსონაჟთან ისეთივე პოეტური და უცნაურია, როგორიცაა მისი პერსონა რუსულ თეატრში. მრავალრიცხოვანი პრემიებით დაჯილდოებული გრიშკოვეცი კრიტიკოსებსაც უყვართ და მაყურებელსაც.

ვენის ფესტივალზე წელს ქართველი რეჟისორი დავით საყვარელიძეც იმყოფებოდა, რომელიც კულტურის სამინისტროს წახმარებით რამოდენიმე საინტერესო პროექტის მონაწილე გახდა. ჯერ მილანში, "პიკოლო ტეატროში", რეჟისორ ლუკა რონკონისთან მოუწია თანამშრომლობამ, შემდგომ კი ვენაში თანამედროვე დრამატურგიისა და რეჟისურის სემინარში მონაწილეობდა. პარალელურად საფესტივალო სპექტაკლებსაც გაუსინჯა კბილი. მისი თქმით, ვენის თეატრალური ფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ევროპაში. სხვათაშორის, დაგეგმილია საყვარელიძისა და გრიშკოვეცის თანამშრომლობაც. კერძოდ, რუსი დრამატურგი "სუყოს" ახალ პიესას შეაწევს, რომელიც სავარაუდოდ, "სამეფო უბნის" თეატრში შემოდგომაზე დაიდგმება.

ფესტივალის კიდევ ერთი გახმაურებული სანახაობაა გერმანელი რეჟისორის მარკ ფონ ჰენინგის "ცხოვრების გამოგონება". შტუტგარტის დრამატული თეატრის მისტიკური სპექტაკლი, რომელიც "ვიზუალური თეატრის" ბრწყინვალე ნიმუშია. ვენის მანეჟში გათამაშებული სანახაობა სამ ეპიზოდს მოიცავს: პირველ ეპიზოდში მაყურებელი მატარებლის ვაგონებს ხედავს, სადაც მგზავრები ჭამენ, კითხულობენ, სძინავთ. ფანჯრების მიღმა კი მისტიკური პეიზაჟის პროექცია ისახება. მეორე ნაწილში მატარებელი გვირაბში შედის და სიბნელეს იშვიათი ხმები და ინტენსიური გამონათებები არღვევენ. მესამეში კი - მატარებელი წყალშია, რომლის ირგვლივ წყალმცენარეები და თევზები დაცურავენ.

მოკლედ, თეატრი, რომელიც ოდესღაც ღარიბების გასართობი იყო, ძვირადღირებული გახდა. სანახაობა, რომელსაც იგი სთავაზობს მაყურებელს, ხშირად მრავალმილიონიან გრანტს უკავშირდება. ამ მხრივ განსაკუთრებით გაუმართლეათ სწორედ ვენის ფესტივალში მონაწილე თეატრებს, რომელთაც ლუკა ბონდი საკმარისზე მეტად პატრონობს, ანუ თანამედროვე აქციონისტური ხელოვნების პოპულარიაზიციისათვის დიდ თანხებს ხარჯავს. ამავე დროს, ვენის ფესტივალი პროვოცირებას უკეთებს მაყურებელს.

ვენის ფესტივალის პოპულარობა ყოველწლიურად იზრდება. ალბათ, ამიტომაა, რომ მაყურებელი სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენს თანამედროვე ხელოვნების ფორმებისადმი. 2002 წლის ფესტივალის ემბლემა ადამიანია, რომელიც გახვრეტილ დაფაში ცალი თვალით იხედება და ეს ნიშნავს, რომ მისი მზერა ყველაფერს წვდება, ვენას სურს არა მარტო დაგვანახოს, არამედ განგვაცდევინოს. ეს ფესტივალის ინტერდანტის, რეჟისორ ლუკ ბონდის ოცნებაცაა. მანამდე კი ივლისში ედინბურგი და ავინიონი ძვირადღირებულ თეატრალურ სანახაობაში შეეცილებიან ერთმანეთს.

# მხიარული საქსოფონისტი

## ალფრედ პი ვი ელისი - თბილისის ჯაზ-ფესტივალის ფინალური აკორდი

ვერა ნეფარიძე

ხუთ ივლისს კლუბ "ჯოიში" ჯაზ-ფესტივალის სტუმრები ალფრედ "პი ვი" ელისის მუსიკაზე მოილხენენ. თბილისელები მოუსმენენ მუსიკოსს, ვისთან ერთადაც ჯეიმს ბრაუნმა შექმნა კლასიკადქცეული ნაწარმოებები: Cold Sweat, Say It Loud თუ Get It Together; ნოვატორული მუსიკის ლიდერი, ვენ მორისონი კი, პი ვი ელისთან წლების განმავლობაში მუშაობდა.

პირველი, რამაც ჩემი ყურადღება ალფრედ პი ვი ელისის c.v.-ს კითხვისას მიიქცია, ეს მუსიკოსის მხიარული ხასიათის აღნიშვნა იყო. "მუსიკალური ჟანრი: როკი, ჯაზი, ბლუზი, ფანკი; ინსტრუმენტი – საქსოფონი; ხასიათი - მხიარული" – წერია ამერიკელი საქსოფონისტის საპრეზენტაციო მონაცემებში ყველგან: ინტერნეტ გვერდებსა თუ "ისტერნ პრომიუშენის" შედგენილ პრეს-რელიზებში. "ვერ გაიგებ რა უნდა. იგი უბრალოდ, განუწყვეტლივ ხმაურობს. როდესაც არ უკრავს, იღიმის, ეს კი ნიშნავს, რომ გონებაში მუსიკას თხზავს. თუ კი არ წერს, არაჩვეულებრივად იმახსოვრებს. პი ვი უზომოდ ხუმარა და კარგი მოსაუბრეა" – იგივეს ამოწმებს ამბობს მუსიკოსის მეუღლე და მენეჯერი, შარლოტა. თუ როგორი გამორჩეული ხუმარაა პი ვი ელისი, ამაში ხუთ ივლისს, ჯერ პრეს-კონფერენციაზე, მოგვიანებით კი, კლუბ "ჯოიში" დავრწმუნდებით. დახასიათების დანარჩენ მონაცემებში კი, ეჭვი არ უნდა შეიტანოთ. ალფრედ პი ვი ელისი: კომპოზიტორი, არანჟირების ოსტატი, ქიბორდისტი და საქსოფონისტი, მუსიკალურ სამყაროში ორმოცწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში უკრავდა ყველაფერს: ჯაზიდან სოულამდე და ფანკიდან სტადიონურ როკამდე.

51 წლის მუსიკოსი თავისი თაობის ერთ-ერთ საკეთესო საქსოფონისტადაა აღიარებული. რვა წლის პი ვი ელისი საქსოფონს პირველად ბებიასთან, სამსახურში შეეხო. დანახვისთანავე მიიზიდა ბრჭყვიალა ინსტრუმენტის ღილაკებმა და სწორედ აქედან დაიწყო მისი ლტოლვა და სიყვარული ამ ინსტრუმენტის მიმართ. თუმცა, საქსოფონი არ ყოფილა ინსტრუმენტებს შორის მისი ერთადერთი გატაცება - ჯერ კიდევ ბავშვობაში, 12 წლის ელისმა კლარნეტზე დაკვრა ისწავლა. მუსიკით სერიოზული გატაცების შედეგი იყო 1954 წელს ტეხასის იუნიორთა სკოლაში სწავლისას, მისი პირველი შოუ, რამაც საბოლოოდ გადააწყვეტინა ანსამბლის ჩამოყალიბება. სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ფლორიდაში დაბრუნებული ელისი ასეც იქცევა. მისი პირველი ბენდი, Dynamics Incorporated "ბითლზის" მუსიკის ერთგვარი გამოხმაურებაა: ერთ-ერთ პირველ კონცერტზე ისინი ლივერპულელი ოთხეულის ფორმებსა და პარიკებში მოევლინენ მაყურებელს.

პი ვი ელისზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ცნობილმა ამერიკელმა ტენორ-საქსოფონისტმა, სონი როლინსმა. სახელოვან მუსიკოსს ელისი ნიუ-იორკში 1957 წელს, 16 წლის ასაკში შეხვდა. როლინსთან მუშაობა ელისის პირველი სერიოზული სკოლა იყო; სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა იგი პროფესიონალ მუსიკოსად. მისი შემოქმედებითი ზრდა შეუმჩნეველი არ დარჩენილა ჯეიმს ბრაუნისთვის, რომელმაც ელისი ბენდის, James Brown Revue-ს განუყოფელ წევრად აიყვანა. პი ვი ელისი ამ თანმშრომლობის შედეგად ჯეიმს ბრაუნთან ერთად ისეთი კლასიკად ქცეული ნაწარმოებების ავტორია, როგორიცაა: Cold Sweat, Say It Loud, I'm Black and I'm Proud, Mother Popcorn, Get It Together, Lickin Stick. ბრაუნის გარდა (მასთან 1979-86 წლებში მუშაობდა) ელისი თანამშრომლობდა ჯეიბი ჰორნსთან, მასეო პარკერთან, ფრედ ვესლისთან და ვენ მორისონთან. ამ უკანასკნელს უკვე სახელმოხვეჭილი საქსოფონისტი ორიოდე ალბომის ჩაწერაშიც დაეხმარა. ელისი ვენ მორისონის ბენდის განუყოფელი წევრიც იყო. მაგრამ მოულოდნელად მათი თანამშრომლობა შეწყდა. მათი დაშორება მრავალი ვერსიისა და ჭორის საგანი გახდა. თავად პი ვი ელისი კი, ყველაფერს მარტივად ხსნიდა: ვენ მორისონის ინგლისში გადასვლა ორი მუსიკოსის თანამშრომლობის გასაწყვეტად მართლაც რეალური მიზეზია.

გამოჩენილ პერსონებთან მუშაობის მიუხედავად, პი ვი ელისს აღიარება სოლო-პროექტებმა ოდნავ მოგვიანებით, 1992 მოუტანეს. ამ დროისათვის იწყება მისი, როგორც ტენორი საქსოფონისტის კარიერა.

მხიარული საქსოფონისტი ახალი ხმებისა თუ სახეების აღმოჩენით ინტერესდება. და თითქოს, იპოვა კიდეც - ესტერ ფილიპსი – მდიდრული, ხავერდოვანი და განსაკუთრებული ხმის ტემბრით. მისი სიმღერების ჩასაწერად, პი ვი ელისი განსაკუთრებულ მუსიკოსებსაც აგროვებდა, მაგრამ შრომამ ნაყოფი ვერ გამოიღო: "იგი არ აღიარეს შესაბამისად" – ასე ხსნიდა ფილიპსის წარუმატებლობას ელისი.

წარმატებებისა და საინტერესო შემოქმედებითი მოღვაწეობის მიუხედავად, მხიარული საქსოფონისტის ცხოვრებაში უსიამოვნებებიც მრავლად იყო. განსაკუთრებით ელისი შავკანიანთა დისკრედიტაციას განიცდიდა. ერთხელ მაიამიში პირველ ცოლთან, ბარბარასთან ერთად პოლიციას მხოლოდ იმისათვის დაუკავებია, რომ იგი თეთრკანიანთან ერთად იყო. მისთვის ამ მეტად უსიამოვნო ცხოვრებისეულმა ფაქტმა ელისს დააწერინა სიმღერა, სადაც ამბობს: "მე ვარ შავკანიანი და ვარ ამაყი".

ახლა ეს ყველაფერი პი ვი ელისის მხოლოდ უსიამოვნო მოგონებაა. ამჟამად მუსიკოსი ბას როუდში, განახლებულ კოტეჯში ცხოვრობს და საკმაოდ კმაყოფილიცაა: "ძალიან მიყვარს სოფელში მშვიდად ცხოვრება; აქ თავს ფანტასტიურად ვგრძნობ". უყვარს ბუნებაში ყოფნა და პარკში დაკრა: "გარეთ, პარკში, სუფთა ჰერზე არაჩვეულებრივი აკუსტიკაა, ვგიჟდები, როდესაც იქ ვდგავარ და ვუკრავ". ცნობილი საქსოფონისტი ხშირად სოფლის ცენტრშიც აწყობს მცირე კონცერტებს, შემოსულ თანხას კი, ადგილობრივ ფონდში რიცხავს.

საინტერესოა, მოითხოვს თუ არა ამერიკელი მუსიკოსი თბილისში ყოფნისას ბუნების წიაღში დაკვრას. ან, ნეტავ როგორი იქნება თბილისის ჯაზ-ფესტივალის ფინალური აკორდი?



ალფრედ პი ვი ელისი

# „პენ-კლუბის" ჩანაწერები

## ისრაელელი კოლეგები ქართველ პოეტებს ფესტივალზე ეპატიჟებიან

თამარ სუხიშვილი

ორი ქვეყნის "პენ-კლუბების" გუშინდელი შეხვედრა ნამდვილად დააინტერესებდა ლიტერატურისმოყვარულებს და არ მარტო ლიტერატურისმოყვარულებს. ისრაელის "პენ-კლუბის" პრეზიდენტი, პოეტი ორციონ ბართანა გაზეთ "24 საათის" რედაქციაში ქართული "პენ-კლუბის" თავმჯდომარეს, პოეტ დათო მაღრაძეს შეხვდა. ეს ორი პრეზიდენტის პირისპირ შეხვედრა არ ყოფილა, აქ ესწრებოდნენ ბართანას კოლეგები ისრაელიდან, მწერალი გურამ ბათიაშვილი და ფილოლოგი რუბენ ენუქაშვილი.

ორციონ ბართანა ცნობილი ისრაელელი მწერალი და მეცნიერია. იგი 1935 წელს ისრაელში რეპატრირებული პოეტის, მორდეხაი ბრატანსკის ვაჟია. ბართანა 1949 წელს დაიბადა თელავივში, დაამთავრა თელავივის უნივერსიტეტი ებრაული ლიტერატურისა და ზოგადი ფილოსოფიის სპეციალობით. პირველი ლექსი 14 წლის ასაკში გამოაქვეყნა, 17 წლისა იყო, როცა მისი პირველი ლექსების კრებული გამოვიდა. 1980 წელს დოქტორის ხარისხი მიიღო. მისი სადოქტორო დისერტაცია აღორძინების ებრაულ ლიტერატურას ეძღვნება. ბართანა არიელის კოლეჯის ებრაული კულტურის განყოფილებას ხელმძღვანელობს და, ამავდროულად, ხაიფის ტექნიონში ებრაულ ლიტერატურას ასწავლის. გამოქვეყნებული აქვს რვა პოეტური, ხოლო ნოველების ორი კრებული, წერს ნოველებს, არის ორი რომანის ავტორი. აქვს უამრავი ლიტერატურული გამოკვლევა, მიღებული აქვს არაერთი ეროვნული თუ საერთაშორისო ჯილდო, მათ შორის ისრაელის პრემიერ-მინისტრის, ბერნსტაინის, ვოლფის, ბრენერისა და სხვა პრემიები. ბართანას თხზულებები წიგნები მრავალ ენაზეა თარგმნილი.

დღეს პენ-კლუბის პრეზიდენტი 53 წლის ორციონ ბართანა, რომელიც ექვსი წელია ამ გაერთიანების ჟურნალის, "მოზნაიმ"-ის (სასწორი) მთავარი რედაქტორი იყო, თბილისის სტუმარია, თანაც ძალიან საინტერესო სტუმარი.

კალმოსანთა შეხვედრაზე ურთიერთგაცნობის, ორი ქვეყნის პენკლუბების მუშაობის სპეციფიკაზე საუბრისა და აზრთა გაზიარების შემდეგ უამრავი საკითხი წამოიჭრა; როგორ მუშაობს ისრაელის მწერალთა კავშირი, რომელიც ჩვენს კავშირთან შედარებით უფრო მეტ ფუნქციას ითავსებს, მაგალითად აკეთებს როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების არქივებს, ანუ დაახლოებით ის ფუნქციაც აქვს, რაც ჩვენში ლიტერატურის მუზეუმს და სხვა და სხვა.

მოსაუბრეთა განსაკუთრებული ინტერესი საავტორო უფლებების პრობლემამ გამოიწვია. ჩვენ ვიკითხოთ, თორემ ისრაელში ამ თვალსაზრისით საქმე აწყობილი აქვთ. არსებობს შემოქმედთა გაერთიანება, რომელიც საავტორო უფლებების დაცვაზე მუშაობს და იცავს ყველა კომპოზიტორის, მწერლისა თუ სხვა მოღვაწეთა უფლებებს, არა აქვს მნიშვნელობა ეს მოღვაწეები შემოქმედთა გაერთიანების წევრები არიან თუ არა. შეიძლება ითქვას, რომ იქ თითოეულ ლექსს თავისი ფასი აქვს (გადატანითი და პირდაპირი მნიშვნელობით). მაგალითად, პოეტმა თუნდაც საკუთარი შვილის სკოლაში ლექსი რომ წაიკითხოს, მას საავტორო ჰონორარს გადაუხდიან, რადიოგადაცემებში, ჩვენებურ "პოეზიის ხუთი წუთში", კი თითოეული პოეტისა თუ მწერლის ნაწარმოების ნაწყვეტის გამოყენება ავტორთან შეთანხმებით და გარკვეული თანხის საფუძველზე ხდება (რას გაიხარებდნენ ქართველი მოლექსე-მოშაირეები...). აი, როგორ იქცევიან ისრაელის მცხოვრებნი იმ შემთხვევაში, როცა პოეტი საკუთარი ინიციატივით ნაცნობ-მეგობართა წრეში საკუთარ ლექსს კითხულობს, ნამდვილად ვერ გეტყვით.

გუშინ უკვე გაკეთდა რამდენიმე საქმიანი წინადადება ორი კლუბის და, საერთოდ, ორი ქვეყნის მომავალ სამწერლობო თანამშრომლობასთან დაკავშირებით. მაგალითად, გადაწყდა, რომ ჟურნალი "არილი" ითანამშრომლებს ისრაელის მხარესთან და მალე ალბათ სპეციალურ ნომერს გამოუშვებს, რომელიც მთლიანად თანამედროვე ებრაულ ლიტერატურას მიეძღვნება, აქ გამოქვეყნდება ორციონ ბართანას მოთხრობაც. დაბოლოს, უნდა აღვნიშნო იერუსალიმში შოთაობის ტრადიციის აღდგენის დიდი სურვილი, რომელიც ქართულმა მხარემ გამოთქვა. ისრაელის წარმომადგენლები ამ წინადადებას ინტერესით შეხვდნენ, მაგრამ ისიც აღნიშნეს, რომ ამას დიდი სამზადისი დასჭირდება, ვინაიდან ეს ღონისძიება მხოლოდ ქართველი ებრაელებისთვის არ უნდა მოეწყოს; ქართველი პოეტების ისრაელში ჩასვლას და იქ პოეზიის საღამოების გამართვას აზრი მაშინ ექნება, თუ თანამედროვე ქართულ პოეზიას ებრაელი ხალხი ივრითზე გაეცნობა. ამისათვის დიდი მთარგმნელობითი სამუშაოს ჩატარებაა საჭირო, მანამდე კი "პენკლუბის" ისრაელელი თავმჯდომარე ქართველებს არანაკლებ მიმზიდველ კონკრეტულ წინადადებას სთავაზობს: ყოველწლიურად ისრაელში აპრილის თვეში პოეზიის ფესტივალი იმართება - საკმაოდ მრავალფეროვანი პროგრამით და ბევრი სტუმრით. მომავალ წელს იქ ალბათ ქართველი პოეტებიც ჩავლენ.

დამშვიდობებისას ერთმა სტუმარმა, პროფესიით ბიოლოგმა დათო მაღრაძეს, რომელიც ღერს ღერზე ეწეოდა, მეგობრული რჩევა მისცა: ძალიან დავინტერესდი თქვენი კლუბის საქმიანობით, მინდა, ეს საქმე დიდხანს გააგრძელოთ და იქნებ ცოტა ნაკლები მოწიოთ. "პენკლუბის" თავმჯდომარემ პიონერული სიტყვა მისცა. გუშინდელ შეხვედრაზე ეს კოლეგების ბოლო შეთანხმება იყო.

# ვარსკვლავებს მოსკოვის კინოფესტივალის აღარ სჯერათ?



ნიკიტა მიხალკოვი და ჩინგიზ აიტმატოვი ხსნიან ფესტივალს

ИТАР-ТАСС

გიორგი გვახარია

ნიკიტა მიხალკოვმა ჯერ როგორც კინორეჟისორმა "დააძმობილა" ჰოლივუდი და "მოსფილმი" (შესაბამისად, ამერიკული და რუსული კინო) – გადაიღო "ციმბირელი დალაქი", ჰოლივუდის კინოფანტაზია, რუსული ხიზილალით და ბოშებით, ისე, რომ საბოლოოდ "გადაახტა" ევროპულ კულტურას. ევროპა მიხალკოვს განსაკუთრებით მაშინ შეძულდა, როცა კანის კინოფესტივალმა არა მას, არამედ "ვიღაც ტარანტინოს" (ეს მიხალკოვის გამოთქმაა) მიანიჭა "ოქროს პალმის რტო". მერე ბერლინის ფესტივალმაც კი უარი უთხრა "ციმბირელი დალაქის" საკონკურსო პროგრამაში ჩართვაზე და ყველა ევროპელზე გაბრაზებული რუსი პატრიოტი კანისა და ბერლინის ფესტივალის ჯიბრზე, მოსკოვის სახელგატეხილ კინოფორუმს ჩაუდგა სათავეში. ფულიც ბლომად იშოვა, ვარსკვლავებიც ჩამოიყვანა ზაფხულში დაცარიელებულ მოსკოვში (როგორც გამოირკვა, ზოგიერთს ფულიც კი გადაუხადა მოსკოვში ჩამოსასვლელად), რეკლამაც არ მოაკლო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

დასავლეთმა მოსკოვის 22-ე და 23-ე კინოფორუმებზე ისევ იქილიკა, კინოფილმების ჩვენება კი ნახევრად ცარიელ დარბაზებში გაიმართა. ბევრი იტეხა ტვინი მიხალკოვმა, ჯერ ყოველდღიური გახადა ფესტივალი, წელს კი ივლისიდან ივნისის მიწურულს გადმოიტანა იმ იმედით, რომ კინემატოგრაფისტები "პირველ არდადეგებს" სწორედ მოსკოვში გაატარებდნენ, არაყსა და ხიზილალას მიირთმევდნენ და ფსკოვსა და ნოვგოროდში დაგეგმილი ექსკურსიებით მოიხიბლებოდნენ. მე მინახავს ბერლინის ფესტივალზე გამოგზავნილი მიხალკოვის ემისრები, კინოკრიტიკოსები, რომლებიც მოსკოვის კინოფესტივალისთვის მუშაობენ, მინახავს, როგორ ეხვეწებიან სახელოვან კინორეჟისორებს, "ჩვენთან ჩამოდით, კანსა და ვენეციაში რა გინდათ, ჩვენ უკეთეს დროს გაგატარებინებთო". უმრავლესობა მაინც კანს და ვენეციას ირჩევს. ამ ორ კინოფორუმებს შორის "მოყოლილი" მოსკოვის ფესტივალი კი, რომელსაც "ა" კლასის კინოფორუმის პრეტენზია აქვს (ამიტომ კონკურსში ვერ ჩართავს სხვა ფესტივალებზე ნაჩვენებ სურათებს) ყოვლად უმწეო საკონკურსო პროგრამით იწონებს თავს.

აქამდე მიხალკოვს მართლაც ჩამოჰყავდა ვარსკვლავები მოსკოვში. მაგრამ იმათ, ვინც ფსკოვი და ნოვგოროდი უკვე ნახეს, წითელ მოედანზეც გაისეირნეს და ხიზილალაც მიირთვეს, ეტყობა მოსკოვში ხელახლა დაბრუნების სურვილი აღარა აქვთ. ბოლოს და ბოლოს კინოფესტივალები მთელ მსოფლიოში იმიტომ ეწყობა, რომ ხალხმა კარგი კინო ნახოს. ის ფილმები კი, რომლებიც წლევანდელი მოსკოვის ფესტივალის კონკურსგარეშე პროგრამებშია ჩართული (მათ შორის ალმოდოვარის "დაელაპარაკე", კაურისმიაკის "კაცი წარსულის გარეშე" და ფრანსუა ოზონის "რვა ქალი", რომლითაც გაიხსნა მოსკოვის წლევანდელი კინოფესტივალი), უცხოელებმა უკვე ზეპირად იციან. მოსკოვის საკონკურსო პროგრამის კი მათ უბრალოდ არ სჯერათ. აბა, რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის უარს კანის, ან ვენეციის ფესტივალზე და მოსკოვის "წმინდა გიორგისთვის" (ასე ჰქვია ფესტივალის მთავარ პრიზს) შეინახავს თავის სურათს.

მოსკოვის წლევანდელი კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამას რომ გადავხედოთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნიკიტა მიხალკოვმა მაინც მიაგნო ასეთ ჭკუათმყოფელებს. კონკურსში ჩართულია, მაგალითად, გენიალური იტალიელების, პაოლო და ვიტორიიო ტავიანების ახალი ფილმი "აღდგომა", რომელსაც რუსული პრესა "შედევრად", "სენსაციად" ნათლავს. ღმერთმა ქნას, რომ ასე იყოს. თუმცა საინტერესოა, რატომ დაიწუნა მაშინ ეს სურათი ვენეციის კინოფესტივალის შემრჩევმა კომისიამ, რომელიც ისედაც წუხს იტალიური კონოს დღევანდელი მდგომარეობის გამო? ფაქტია, რომ ტავიანების ცდა "შეჭიდებოდნენ" ტოლსტოის, ერთხელ უკვე წარუმატებლად დასრულდა, მათი "მამა სერგი" მეტისმეტად მანერული ფილმი გამოდგა. თანაც, როგორც გამოირკვა, "აღდგომა" სატელევიზიო ფილმია. ასეთ კინოს კი "ა" კლასის კინოფესტივალზე, როგორც წესი, კონკურსში არ რთავენ ხოლმე. იგივე შეიძლება ითქვას საკონკურსო პროგრამაში ჩართულ, სახელოვან ავტორთა სხვა ფილმებზე; ბობ რაფელსონის განგსტერულ დრამაზე "სახლი თურქეთის ქუჩაზე" და ქშიშტოფ ზანუსის ფილმზე "დამატება". ორივე კინემატოგრაფისტი კანის, ვენეციისა და ბერლინის კინოფესტივალებისთვის "პენსიონერად" ითვლება და პირადად მე მეეჭვება, რომ მათ რაიმე ახალი თქვეს ამ ფილმებით.

მოსკოვის წლევანდელ კინოფესტივალზე ვარსკვლავები აღარ ჩამოვიდნენ. არც ჰოლივუდია აქ წარმოდგენილი ისე ფართოდ, როგორც ნიკიტა მიხალკოვის პირველ ფესტივალებზე. ამჯერად ჭარბობს ირანული, კორეული, სკანდინავიის ქვეყნების ფილმები. მაგრამ ნამდვილად არა იმიტომ, რომ მოსკოვის კინოფორუმის მესვეურებმა ჩვეული სნობიზმი დაძლიეს. უბრალოდ, ასეთი კინო დღეს ამერიკაშიც მოდაშია. ის კი არა, მოგეხსენებათ, ეგზოტიკა ახლა უკვე ფეხბურთშიც ფასობს.

ასეთი ფესტივალით შესაძლოა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის კინომოყვარულები აღფრთოვანდნენ, მათ შორის - ქართველებიც. მოსკოვის კინოფორუმის კონკურსგარეშე პროგრამებში ხომ პრაქტიკულად ყველა იმ სურათს უჩვენებენ, რომელიც კანისა და ბერლინის კონკურსებში იყო ჩართული. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ამ მხრივაც არ უნდა დაგვწყდეს გული. სწორედ იმ დროს, როცა ფესტივალის ინტერნეტგვერდს ვეცნობოდი (www.miff.ru), დამირეკა კინოთეატრ "ამირანის" მენეჯერმა, მანანა სურაძემ და მითხრა, რომ "ამირანი" ივლისში აპირებს გვიჩვენოს ალმოდოვარის "დაელაპარაკე".. და კიდე,ვ მიხალკოვის ფესტივალის სხვა სურათები. ასე რომ, ცოტა უნდა მოვითმინოთ და ჯერჯერობით თბილისიდან ვადევნოთ თვალი უვარსკვლავებოდ და ახალი ფილმების გარეშე დარჩენილ მოსკოვის კინოფესტივალს.

## ორი სიტყვით

### ვიმ ვენდერსი პირველ ოქტომბრამდე

1 ოქტომბრამდე ბილბაოს გუგენჰეიმის მუზეუმში არაჩვეულებრივი გამოფენა მოეწყობა: “ვიმ ვენდერსი. სურათები დედამიწის ზედაპირიდან”. ვენდერსმა, გერმანელმა მხატვარმა და კინორეჟისორმა, ფოტოების გადაღება 1983 წლიდან დაიწყო. თავიდან ის აშშ-სა და ჰავანას პეიზაჟებს იღებდა, შემდეგ იაპონური ტყეებითა და ეკლესიებით დაინტერესდა, ბოლოს ავსტრალიური უდაბნოებითაც. ვიმ ვენდერსის პეიზაჟები აბსოლუტურად განსხვავებულია. ფოტოებს მიღმა ჩანს ფოტოხელოვანის სურვილი, ფირზე აღბეჭდოს კადრი, რომელიც მალე გაქრება. გუგენჰეიმში წარმოდგენილი გამოფენა სრულყოფილად წარმოაჩენს ფოტოხელოვანის ღირსებებს.

### კუბრიკი-ნაპოლეონის ალიანსი ახალ წიგნში

როგორც ცნობილია, სტენლი კუბრიკი ოცნებობდა ნაპოლეონის ცხოვრების შესახებ ფილმის გადაღებაზე. მისი ეს გეგმები, ჩანაფიქრები დაწვრილებით იქნება გადმოცემული ახალ წიგნში “სტენლი კუბრიკის “ნაპოლეონი” – უდიდესი ფილმი, რომელიც რეჟისორმა ვერ გადაიღო”. წიგნს ადგენენ რეჟისორის მეუღლე, კრისტიანი და ძმა იან ჰარლანი, რომელიც კუბრიკის მთავარი პროდიუსერიც იყო.

1999 წელს გარდაცვლილ რეჟისორს ნაპოლეონის იდეა მთელი 30 წლის განმავლობაში არ ასვენებდა. ის აგროვებდა მასალებს, წიგნებს (საუბარია დაახლოებით 18 ათას გამოცემაზე) და დიდი იმპერატორის ცხოვრებას დეტალურად სწავლობდა. რეჟისორს სურდა, ნაპოლეონის ცხოვრება დაბადებიდან სიკვდილამდე აღეწერა.

წიგნი, რომელიც მთლიანად კუბრიკის ამ გატაცებას მიეძღვნება, მომავალ წელს გამოვა.

### ჰოლი ბერი და უილ სმიტი - ფავორიტები

შავკანიანთა გასართობი ტელევიზიის (BET) დაჯილდოების ცერემონიალზე როკ-სოულ ჯგუფი Earth, Wind & Fire მუსიკაში გაწეული წვლილისთვის დააჯილდოვეს, პრიზი გადასცეს მუჰამედ ალის და სხვა შავკანიან ვარსკვლავებსაც. საერთოდ, BET-ის მიზანია დააფასოს ყველა ფერადკანიანი მოღვაწე მუსიკის, კინოს და სპორტის სახეობებიდან.

საზეიმო ცერემონიალს, რომელიც ჰოლივუდში, კოდაკის თეატრში მიმდინარეობდა, კომიკოსი მსახიობი სტივ ჰარვი უძღვებოდა. ჰოლი ბერი, რომელიც წელს ოსკარი, როგორც საუკეთესო ქალ მსახიობს ერგო, BET-მა საყვარელი მსახიობი ქალის ტიტულით დააჯილდოვა. მამაკაცთათვის განკუთვნილ იგივე კატეგორიაში უილ სმიტმა გაიმარჯვა. სხვა ჯილდოები კი ასე გადანაწილდა: მუსიკალური ჯგუფი: OutKast-ი; მამაკაცი R&B შემსრულებელი: აშერი; ქალი R&B შემსრულებელი: ინდია არი; მამაკაცი ჰიპ-ჰოპ შემსრულებელი: ჯა რული, ქალი ჰიპ-ჰოპ შემსრულებელი მისი ელიოტი.

### ტონი ბრექსტონი გაიზარდა

“პირველი კინოდებიუტის შემდეგ, გავიზარდე როგორც მსახიობი”, - ასე ფიქრობს ტონი ბრექსტონი. შარშან მან კომედიაში Kingdom Come მიიღო მონაწილეობა და თაყვანისცემლების მოწონებაც დაიმსახურა. თავისი ნიჭიერების დამტკიცების შანსი გრემის მფლობელ ბრექსტონს ახლაც მიეცა. ის თამაშობს ტელე-არხ VH1-სთვის გადაღებულ ფილმში, Play’d Hip-Hop Story, რომლის პრემიერაც გუშინ შედგა.

ბრექსტონმა ამ ფილმის გადაღებებისთვის ალბომზე მუშაობაც შეწყვიტა. “სიმღერა ძალიან მიყვარს და მზად ვარ, მთელი სიცოცხლე ვიმღერო, უბრალოდ, მინდოდა ახალი რამ მეცადა”, - აცხადებს მომღერალი.

### საშხაპეშიც აღარ იმღერებს

ბოლო ცნობების მიხედვით, ლუჩანო პავაროტი სცენიდან წასვლას 2005 წლის 12 ოქტომბერს გეგმავს. ანუ, ეს მნიშვნელოვანი თარიღი ტენორმა თავის 70 წლის იუბილეს დაამთხვია. პავაროტი ხუმრობით ასეთ ფიცსაც დებს: “სამ წელიწადში წავალ და საშხაპეშიც კი აღარ ვიმღერებ”. უდიდესმა ტენორმა ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ორი ნიუიორკული კონცერტი ავადმყოფობის გამო გადადო. თუმცა, ამერიკულმა პრესამ ეს ტენორს მაინც არ აპატია – პავაროტიმ მაშინ თაყვანისმცემლებით სავსე მეტროპოლიტან ოპერა დატოვა და პუჩინის “ტოსკაში” მონაწილეობაზე უარი თქვა. მეორე დღეს “ნიუ-იორკ პოსტის” პირველ გვერდზე ასეთი სათაური გაჩნდა: “ღორმუცელა არ იმღერებს”.



### ერთი დღე ისტორიაში
ხუთშაბათი, 27 ივნისი



2001 წელს 76 წლის ასაკში გარდაიცვალა ორი ოსკარის მფლობელი მსახიობი ჯეკ ლემონი. ოსკარები ფილმებისთვის: "ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან" და "ბინა".

1905 წელს რუსებმა პოტიომკინის ბრძოლა მოიგეს.

1954 წელს მოსკოვთან ახლოს მსოფლიოში პირველი ატომური სადგური აიგო.

1967 წელს ლონდონში, ბარკლის ბანკის ფილიალში მსოფლიოში პირველი ბანკომატი დადგეს.

1976 წელს პალესტინელმა ექსტრემისტებმა "ეარ ფრანსის" თვითმფრინავი გაიტაცეს ენტებეში, რომელიც 4 ივლისს ისრაელის ჯარისკაცებმა სისხლიანი შტურმით აიღეს.

1986 წელს ჰააგაში მსოფლიოს სასამართლომ აშშ, ნიკარაგუელი რევოლუციონერების მხარდაჭერის გამო, საერთაშორისო კანო-ნდებლობის

995 წელს კატარის სამეფოს მემკვიდრე პრი-ნცმა მამის ტახტიდან ჩამოსაგდებად სისხლი-ანი გადატრიალება მოაწყო.

ფოტო: Associated Press © GRAPHIC NEWS

## ატომი ვერსად დაემალებათ

ატომი უმცირესი ზომისაა, მაგრამ მთლად უხილავი არ არის. ამერიკული კომპანიის "ლუსენთ ტექნოლოჯის" მეცნიერებმა შეიმუშავეს ახალი მიკროსკოპული ტექნიკა. იგი კაჟის კრისტალში "ჩაძირული" თითოეული ატომის დანახვის საშუალებას იძლევა. მართალია, ცალკეული ატომების ხილვა adრეც იყო შესაძლებელი, მაგრამ მხოლოდ დასამზერი მასალის ზედაპირზე.

მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელი, დოქტორი **დევიდ მიულერი** ასეთ შედარებას აკეთებს: **"კომპიუტერის ჩიპების დასამზადებელ, კაჟის 20-სანტიმეტრიან ფირფიტას თუ აშშ-ის ზომებამდე გავზრდით, ცალკეული ტრანზისტორები ავტომობილისოდენა გახდებიან, ხოლო ატომები ქინძისთავებად იქცევიან."**

**"ახლა ჩვენ შეგვიძლია აშშ-ის ტერიტორიაზე ვიპოვოთ ყოველ ავტომობილში ჩაკარგული ასეთი ქინძისთავი"**, - ამბობს დოქტორი **მიულერი**, რომელმაც აღმოჩენის შესახებ უმალ ამცნო უძველეს სამეცნიერო ჟურნალს "ნეიჩერ".

## მობილური ტელეფონი საშიშია

"მობილური ტელეფონის გამოსხივება სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ტვინზე," - ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ფინელი მეცნიერები, რომლებიც ადამიანის უჯრედებზე რადიოტალღების ზემოქმედებას ორი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ.

მათ დაადგინეს, რომ ტელეფონის მუშაობას უჯრედები ტვინთან დაკავშირებული ცილების გაზრდილი აქტიურობით პასუხობდნენ. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ასეთმა აქტიურობამ შეიძლება, შეასუსტოს ე.წ. გემატოენცეფალური ბარიერი, რომელიც ტვინს იცავს ადამიანის სისხლში მოძრავი პოტენციურად მავნე ქიმიური ნივთიერებებისგან. მიუხედავად ამისა, კვლევის ხელმძღვანელი ამბობს, რომ მობილური ტელეფონებით თვითონ და მისი ოჯახის წევრები მაინც სარგებლობენ, რადგან მხოლოდ ამ დასკვნის საფუძველზე რაიმე შეზღუდვაზე საუბარი არ შეიძლება.

## ეს კარიესი კი არა, ტელეფონია

შესაძლებელია, მალე სტომატოლოგებმა აითვისონ ეს ფრაზა.

ლონდონის ხელოვნების სამეფო კოლეჯის ყოველწლიურ გამოფენაზე, სადაც კოლეჯის მოსწავლეებს წლის საუკეთესო დიზაინერული იდეები გამოაქვთ სამსჯავროზე ,გამოჩნდა ტელეფონი, რომელიც კბილში თავსდება(!). კბილის ტელეფონი იღებს სიგნალებს ერთი ბეწო ვიბრაციული მემბრანის საშუალებით და პირის ღრუდან ყურს ხმოვან ტალღებს გადასცემს.

სტუდენტი-გამომგონებლების თქმით, ტელეფონის კბილში ინპლანტირება ჩვეულებრივი ქირურგიული ოპერაციის შედეგად მოხდება. გამოფენაზე ტელეფონის მაკეტია წარმოდგენილი. გამომგონებელი სტუდენტის სიტყვებით, ტელეფონის ტექნოლოგია დამუშავებულია და მისი მოდელში ჩამონტაჟება ძალიან იოლია.

სტუდენტები კბილის ტელეფონს ურჩევენ ბირჟის ტრეიდერებს ცინცხალი საფინანსო ინფორმაციის მისაღებად და ფეხბურთის მწვრთნელებს მატჩის გადამწყვეტი მომენტების დროს მოთამაშეებთან დასაკავშირებლად.

მაკეტის პროტოტიპის შექმნა ბრიტანეთის მეცნიერების , ტექნოლოგიისა და ხელოვნების დაფინანსების ეროვნულმა პროგრამამ უზრუნველყო და კბილის ტელეფონი 22 ივნისიდან ნოემბრამდე ლონდონის მუზეუმშიც შეგიძლიათ ნახოთ.

როგორც მეცნიერები ხუმრობენ, კბილის ტელეფონი სტუდენტებმა გამოცდებზე კარნახის გასაიოლებლად გამოიგონეს, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვან მიზანსაც აღნიშნავენ.

ალბათ, ტელეფონი საზოგადოებრივი დისკუსიის სტიმულატორი გახდება და გამოიკვეთება დამოკიდებულება, შეურიგდებიან თუ არა ადამიანები ელექტრონული ხელსაწყოების ინპლანტაციას.

### საფრთხე, რომელიც მობილური ტელეფონებისგან გვემუქრება

მეცნიერების დასკვნით, მობილური ტელეფონების გამოსხივება უარყოფით გავლენას ახდენს ენდოთელიურ უჯრედებზე, რაც აზიანებს ჰემატოენცეფალურ ბარიერს. არადა, ამ უკანასკნელს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია, ის სისხლში შემავალ უარყოფით ნივთიერებებს ტვინისკენ გზას უღობავს.




Source: Finnish Radiation and Nuclear Safety Authority © GRAPHIC NEWS

# 38 - გრადუსიანი სიცხე გვიახლოვდება

## შესაძლოა, ივლისს-აგვისტოში ტემპერატურა 42 გრადუსამდეც ავარდეს - აცხადებენ სინოპტიკოსები

ზაზა წულაძე

*გუშინ თბილისში 35 გრადუსი სიცხე აღინიშნა. ეს, წელს, დედაქალაქისთვის სარეკორდო მაჩვენებელია. საქართველოს მაშტაბით, წლევანდელი რეკორდი ზესტაფონის რაიონში დაფიქსირდა. ოთხი დღის უკან, სოფელ საქარაში ტემპერატურამ 38 გრადუსს გადააჭარბა. სინოპტიკოსები, ივნისის ბოლომდე, ოდნავ აგრილებას გვპირდებიან, რომელსაც ივლისის დასაწყისიდან აგვისტოს ბოლომდე კვლავ თაკარა მზე შეცვლის. ამ პერიოდში, ტემპერატურა 34-38-ის ფარგლებში იმერყევებს. "არსებობს, 20 პროცენტიანი ალბათობაც იმისა, რომ ივლისს-აგვისტოში ტემპერატურა 42 გრადუსამდეც ავარდეს" – ამბობს ჰიდრომეტდეპარტამენტის ოპერატიული პროგნოზების სამსახურის უფროსი ირაკლი ჩოგოვაძე.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

გასულ კვირაში ევროპის ტერიტორიაზე უმაღლესი ტემპერატურის ყველა რეკორდი მოიხსნა. გერმანიის ქალაქებში ბერლინში და კიოლნში - 35, ხოლო ფრანქფურტსა და მიუნხენში – 37 გრადუსი დაფიქსირდა. ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების სანაპიროზე საერთოდ ხმელთაშუაზღვის კლიმატმა დაისადგურა. იტალიაში ტემპერატურა 42 გრადუსამდე ავარდა, ტურისტებით გადაჭედილ მილანში, ტურინში, ვენეციაში, ფლორენციასა და სიცილიაზე საშინელმა სიცხემ ცხოვრება აუტანელი გახადა. რომში მღვდელ-მკურნალის პადრე პიოს კანონიზაციაზე მისული 40 ათასი კაციდან 300-ს მზის დასხივების გამო, სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია დასჭირდა. ორი მათგანი, მოგვიანებით გარდაიცვალა. უჩვეულო ტემპერატურის გამო, რომის ქუჩებში ავტოავარიების რიცხმა რამდენჯერმე მოიმატა, რის შედეგადაც 5000-მდე ადამიანი დაშავდა. საფრანგეთი 31-33 გრადუსიან ტემპერატურაში ცხოვრობდა, ჩრდილოაღმოსავლეთით კი სიცხემ 37-ს გადააჭარბა. ტემპერატურისა აქამდე არსებული სარეკორდო მაჩვენებლები დაეცა ერთდროულად სამ ქვეყანაში, ესპანეთის სამხრეთში – 45, ავსტრიაში – 36 და ჩეხეთში – 32,5 გრადუსი აღინიშნა. ავსტრიაში კიდევ ერთი რეკორდი დაეცა, ვენის ობსერვატორია "ხოე ვარტემ", აბსოლუტური რეკორდი, წუთში 200 ელვა(!!!) დააფიქსირა. თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ თბილ აბაზანად მოგეჩვენებად, ნიგერიასთან შედარებით. იქ ტემპერატურა სამი დღის მანძილზე 60-ს არ ჩამოსცილებია და 123 ადამიანის სიცოცხლეც გადაიყოლა.

ევროპის ტერიტორიაზე ასეთ საშინელ დათბობას სინოპტიკოსები ე.წ. აზოვის ანტიციკლონს უკავშირებენ. აზერბაიჯანის კოსმოსური გამოკვლევების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი შახზდი ახმედოვი დარწმუნებულია, რომ უკვე რამდენიმე დღეში ეს ანტციკლონი კავკასიის რეგიონში იქნება. **"კოსმოსიდან მიღებული ფოტოები ადასტურებს, რომ ანტიციკლონის ნაკადი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გადაადგილდება და აუცილებლად შეეხება საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს"** – ამბობს აზერბაიჯანელი სპეციალისტი. ახმედოვის ვარაუდით, ორი დღის შემდეგ, აზერბაიჯანში ტემპერატურა 40-ს გრადუსს მიუკაკუნებს, რამდენიმე დაბალ რაიონში კი 45-ს გადააჭარბებს.

საქართველოში, ბოლო 150 წლის მანძილზე ტემპერატურის ორი უმაღლესი მაჩვენებელია დაფიქსირებული. დასავლეთში – 43, ხოლო აღმოსავლეთში – 42 გრადუსი. უკანასკნელად, ყველაზე მაღალი ტემპერატურა, 43 გრადუსი, 2000 წელს, ქუთაისში აღინიშნა. თბილისში იმ დროს 41 გრადუსი იყო.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტის ოპერატიული პროგნოზების სამსახურის უფროსი ირაკლი ჩოგოვაძე ადასტურებს, რომ აზოვის ანტიციკლონი რამდენიმე დღეში საქართველოს ტერიტორიაზეც შემოვა, თუმცა მისი მონაცემებით, ანტიციკლონს საქართველოში შდარებით ნაკლები ინტენსივობის ზეგავლენა ექნება, ვიდრე ეს სხვა ქვეყნებში შეძლო. **"ჩვენი მონაცემებით, ივნისის ბოლომდე, ცხელი ამინდები იქნება, თუმცა შემდეგ, აგრილებას ველოდებით. საერთოდ, ივლისისა და აგვისტოს თვეებში, ტალღისებური ცლილებებია მოსალოდნელი, ტემპერატურა, შეიძლება, ავარდეს 38-40 გრადუსამდეც და შეიძლება, დაეცეს, 18-20 გრადუსამდეც. თუმცა უმეტესწილად, რა თქმა უნდა, აგვისტოს ბოლომდე, ცხელი ამინდები იქნება და ტემპერატურა 34-38 გრადუსის ფარგლებში იმოძრავებს. თუმცა იმის, ოცპროცენტიანი ალბათობაც არსებობს, რომ ტემპერატურა 42-43 გრადუსამდეც ავარდეს"** – ამბობს ირაკლი ჩოგოვაძე.

სინოპტიკოსების თქმით, ზაფხული უფრო ცხელი იქნება დასავლეთ საქართველოში, ვიდრე აღმოსავლეთში. თუმცა ყველაზე ცხელ რაიონად კვლავაც გარდაბანი რჩება, არ არის მიზანშეწონილი რიონისხეობაში დარჩენაც(წყალტუბო, ზესტაფონი, ქუთაისი, ფოთი), რომელიც, ტრადიციულად, ასევე ცხელ უბნად ითვლება.

საქართველოს დაავადებათა ეროვნული კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელის პაატა იმნაძის თქმით, **"ტემპერატურის მნიშვნელოვანი მატებისას მკვეთრად იზრდება რისკი გულის დაავადების მქონე ადამიანებისთვის. რისკის ჯგუფებს ასევე მიეკუთვნებიან ახალშობილები და ოთხ წლამდე ბავშვები, 65 წლის და უფროსი ასაკის ადამიანები და ავადმყოფები, მათვის კატეგორიულად დაუშვებელია, ასეთი ტემპერატურის დროს, დიდი ხნით გარეთ ყოფნა"**.

ექიმთა რჩევით, ასეთი კატეგორიის ადამიანების ჯანმრთელობისთვის, აუცილებელია, (დანარჩენებისთვის კი სასურველი) რომ მათ ამ პერიოდში დატოვონ თბილისი, სხვა ცხელი ადგილები, და მთიან რაიონებში აინაცვლონ. თბილისთან ახლოს, ასეთი ადგილებია, კიკეთი, წყნეთი და კოჯორი, სადაც სინოპტიკოსების თქმით, ტემპერატურა 28-30 გრადუსს არ ასცდება.

# კატა-თაგვობანა „მეტროში"

ზაზა ფარუაშვილი

ამ დილით მეტროპოლიტენის გადასასვლელ გვირაბში შვიდი უხალისო პოლიციელი მოვაჭრეთა ერთი ჯგუფის გარშემო ცოცხალ ღობესავით იდგა და მომხმარებელს გამყიდველებამდე არ უშვებდა. "მეტროში" აკრძალული ვაჭრობის ჩვენთვის უკვდავი პრობლემის მოსაგვარებლად ასეთი ორიგინალური ხერხის შეთავაზება პოლიციის მხრიდან უდავოდ ნოვატორული და საინტერესო წინადადებაა, მაგრამ, ჯერჯერობით, სიცოცხლისუნარიანობა აკლია. ტრადიციული ძალოვანი მეთოდები კი საქმეს ჩვეულებისამებრ ამწვავებს.

ამას "24 საათის" რედაქციაში მოსული წერილიც ადასტურებს, რომელსაც ხელს 38 ქუჩის მოვაჭრე აწერს. ისინი "მეტროში" ვაჭრობის უფლებას ითხოვენ.

საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინათ ქალაქის მთავრობამ "მეტროში" კანონის აღსრულება გადაწყვიტა და მოვაჭრეებს პოლიცია მიუგზავნა. როგორც მოსალოდნელი იყო ფორმიანების გააქტიურებას ადექვატური რეაქცია მოჰყვა. გვირაბებში მოხეტიალე მეწვრილმანეებმა სადგურ "თავისუფლების" ხაზი გადაკეტეს და თავის მოკვლითა და დაწვით დაიმუქრნენ. პარარელურად მთავრობას და პარლამენტს თხოვნა-წერილი გაუგზავნეს:

"თქვენ ვალდებული ხართ, ჯერ უზრუნველყოთ ხალხი სამუშაოთი, მისცეთ ხელფასი და პენსია საარსებო მინიმუმის დონეზე და მხოლოდ შემდეგ აუკრძალოთ ხალხს მეტროში წვრილმანი საქონლით ვაჭრობა.

მეტროპოლიტენი ჩვენია და არა თქვენი, მაგრამ ჩვენს ქონებას თქვენ ხმარობთ და გინდათ, შიმშილით დაგვხოცოთ, რასაც არცერთ შემთხვევაში არ დავუშვებთ.

გახსოვდეთ, რომ ყოველგვარი კანონი და ძალა უძლურია შიმშილთან!" – წერენ მოვაჭრეები.

მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობამ ასეთი კომენტარი გააკეთა: "მეტროს ქვედა სადგურებსა და მატარებლებში ვაჭრობა კანონით აკრძალულია და პოლიციაც ცდილობს წესრიგის დამყარებას. მოვაჭრეები ხელს უშლიან მგზავრების ნორმალურ მომსახურებას. ამიტომ პოლიცია რეიდებს გააგრძელებს."

ხვალ რა იქნება, ძნელი სათქმელია. დღეს პოლიცია და მოვაჭრეები კატა-თაგვობანას "თამაშობენ."



ИТАР-ТАСС

# ჯილდო - ასი ათასი ფუნტი სტერლინგი

როგორც ახლახან გაირკვა, ლონდონში, ბონდ სტრიტის ანტიკური სამკაულების მაღაზია Moira-დან გატაცებულ ნივთებს შორის მადონას საქორწინო სამაჯურიც ყოფილა. ეს 49 ათას ფუნტ სტერლინგიანი სამკაული მომღერალს სკიბოს ციხე-სიმაგრეში ჩატარებულ ცერემონიალზე უმშვენებდა მაჯას. 1910 წლით დათარიღებულ სამაჯურს 19-კარატიანი ბრილიანტები ამშვენებს და ერთ-ერთ უძვირფასეს ნივთად ითვლება. სამაჯური მადონას სტელა მაკარტნიმ თავისი გემოვნებით შეურჩია. სტელამვე შეკერა მისი საქორწინო კაბაც.

სამაჯურთან ერთად Moira-დან სულ 100 ათასი ფუნტი სტერლიგის ღირებულების 13 ძვირფასი ნივთი, მაისში გაიტაცეს. დამნაშავეების კვალს ჯერჯერობით ვერ მიაგნეს. "ლოიდსის" სადაზღვევო კომპანია განძის მპოვნელს ჯილდოდ ასი ათას ფუნტს ჰპირდება.

## პასუხები

**თარაზულად:** 1. ჩინეთი; 4. აგენტი; 7. მკვლე; 8. დახლი; 9. სიო; 10. ძვალი; 12. რიონი; 13. ნალბანდი; 14. ტრიო; 15. მარანი; 17. რეიგანი; 19. სუსტი; 20. ცერბერი; 22. დოზა; 23. ინდაური.

**შვეულად:** 1. ჩემპიონი; 2. ნაკრძალი; 3. თელია; 5. გოდორი; 6. ტალანტი; 9. სი; 11. ლონდონი; 14. ტარი; 16. ნევროზი; 17. რუსეთი; 18. გიტარა; 20. ცური; 21. ბუდე.

**თარაზულად:** ფხაკაძე; ასლანი; რეკრუტი; ადონისი; ნახა; სმერჩი; კარე; ანტენა; მანკი; ომალო; შორტი; საიკეიროსი; ელეგია; ფარგალი; ლიხი; ნაიბი; გადია; ასანთი; ბრანდო; სელი; ტრუმენი; ბირთვი; გეა; კები; დინამიტი; ზორო; ამო; მაზინა; ლიბერო; ტიტა; ჰიდრა; კლასიკა; სინდიკატი; ელჩი; ფორტი; ცა.

**შვეულად:** მაკე; კამორა; რეპრიზა; რკალი; პენტაგონი; კარიესი; ბომონდი; მხედარი; ალგოლი; სვია; კრეტა; ტაო; სკანდალი; დუ; თრიმლი; შაში; ნაკელი; ელია; რიფი; ბასი; მერიმე; სუ; ენერგია; რენო; ბაკარა; სვე; ოსანა; კლუნი; ანცი; კორსიკა; კატა; პა; თითა; მადა; ანისი; ლეიბი; ნება; ორტი; აპლომბი; პრაიდი; აია.



# დედოფალი ამგვარ წიგნებს არ კითხულობს

ბუკინგემის სასახლე ოფიციალურ უკმაყოფილებას გამოთქვამს ახალი სარეკლამო კამპანიის გამო, რომელშიც დედოფალ ელისაბედის ფოტოებია გამოყენებული. საქმე ეხება ენ სამერსის ახალ წიგნს "სექსის ველური გიდი". ამ გამოცემის სამკადრიან რეკლამაში დედოფალი ელისაბედი წიგნს ეცნობა და ბოლოს ასკვნის: "ეს აუცილებლად უნდა შევიძინო". საჩივრის ოფიციალური წერილი ენ სამერსსაც გაუგზავნეს. ბუკინგემის სასახლემ რეკლამაზე გამოხმაურება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც სამერსის წიგნიანი დედოფლის ფოტოები სექს-შოპების ვიტრინებზე მთელი ბრიტანეთის მასშტაბით გამოფინეს. დედოფლის წარმომადგენლის განმარტებით, ენ სამერსმა დაარღვია კანონი რეკლამის შესახებ, რომელშიც მითითებულია, რომ სამეფო ოჯახის წევრების გამოყენება რაიმე მოვლენის ან ნივთის პროპაგანდის მიზნით დაუშვებელია. თუმცა, ვინაიდან რეკლამა მხოლოდ სამერსის მაღაზიებშია გამოფენილი, მის წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობენ. სექს-შოპების მფლობელი სამერსი კი ბუკინგემის სასახლის უკმაყოფილების მიზეზს ვერ ხედავს. "გადავწყვიტეთ, დედოფლის ოქროს იუბილესთვის უფრო მსუბუქი თვალით შეგვეხედა. უცნაურია, რომ ბუკინგემის სასახლეში ჩვენი ხუმრობა ვერ გაიგეს", - უკვირს სამერსს.

# ვნებათაღელვა ლონდონში

ამ კვირიდან ლონდონში დიდი მუსიკალური სამდღიანი ფესტივალი დაიწყება. აქამდე არასდროს ახმაურებდნენ ფესტივალის მონაწილე მუსიკოსების ვინაობას, რაც არც ისე დადებითად აისახებოდა ბილეთების გაყიდვაზე. როგორც ჩანს, ორგანიზატორებმა ისწავლეს ჭკუა და რამდენიმე დღით ადრე გაამჟღავნეს მონაწილე სუპერვარსკვლავების სახელები. მათი ინფორმაცის თანახმად, გლასტონბერიზე წელს გამოვლენ: როდ სტიუარტი, როჯერ ვოტერსი, Charlatans და Coldplay. თუმცა, გუშინ ინტერნეტში გავრცელებული ცნობებით, როდ სტიუარტს ექიმმა სასტიკად აუკრძალა ყველა დაგეგმილ საკონცერტო გამოსვლში მონაწილეობა, ასე რომ, ჯერ-ჯერობით უცნობია, რას მოიმოქმედებს თავად მომღერალი.

როკის ლეგენდებთან ერთად ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ პოპ-სცენის ისეთი ახალგაზრდა წარმომადგენლები, როგორიცაა Ash და White Stripes. ფესტივალის ხელმძღვანელობამ ორი წლის წინანდელი შეცდომაც (საკმაოდ დაბალი კედლის წყალობით უამრავმა უბილეთომ მოახერხა შეღწევა) გაითვალისწინა და საკონცერტო მოედანი უზარმაზარი კედლით შეღობა.

ფესტივალი რომ მართლაც დიდი დღესასწაულია თანამედროვე მუსიკის მოყვარულებისთვის, ამაში იმ ჯგუფებისა და მუსიკოსების ერთობლიობაც დაგარწმუნებთ, ვისაც წლევანდელ ფესტივალზე ელიან. ესენი კი არიან: ფრანგული სუპერჯგუფი Air, ტრანს მუსიკის მამები – Orbital, ალტერნატიული როკის "ცხოველები" - Super Furry Animals, Garbage და კიდევ ბევრი საინტერესო ვინმე.

## კროსვორდები





ლაშა ბუღაძე

# ბავშვის შეკითხვა №1!

*ექვსი წლის ქეთათო. დედა. მამა.*

*ბავშვი ზის იატაკზე და თოჯინებით თამაშობს.*

*დედა - ქსოვს. მამა - გაზეთს კითხულობს.*

*უეცრად ბავშვი ასეთ შეკითხვას დასვამს:*

**ქეთათო:** მამიკო, ბავშვი ლოგოლ ჩნდება?

*დედ-მამა ერთმანეთს გადახედავს. შესაძლოა, დედა სახეზე შეწითლდეს კიდეც. მამა ყურს მოიყრუებს.*

**ქეთათო:** *(გაჯიუტდება - გაიმეორებს შეკითხვას)* ლოგოლ ჩნდება ბავშვი?

*ისედაც ცუდ ხასიათზე მყოფი მამა წარბებს ბოროტად მოჭმუხნის და სახეზე გაზეთს აიფარებს.*

**ქეთათო:** *(ფეხზე წამოდგება)* დედა, ბავშვი ლოგოლ ჩნდება?

*დედა სწრაფად მოიფიქრებს პასუხს.*

**დედა:** წეროს მოყავს.

**ქეთათო:** წელოს? *(დაფიქრდება)* ლოგოლ?

**დედა:** როგორ და ჩვეულებრივად. *(დაძაბული განაგრძობს ქსოვას).*

**ქეთათო:** ისეთი შეგლძნება მაქვს, თითქოს ლალაცას მიმალავ.

**დედა:** რატომ, დედიკო? არ მენდობი?

**ქეთათო:** ლალა დაგიმალო და, ალა.

*სასოწარკვეთილი დედა მამას გადახედავს. მამა უკმაყოფილოდ ჩაახველებს.*

**დედა:** *(ქეთათოს კალთაში ჩაისვამს)* მართალი ხარ, დედიკო. მოგატყუე.

**ქეთათო:** ტყუილი - ცოდვაა.

**დედა:** ამიტომაც გადავწყვიტე, რომ სიმართლე გითხრა.

**ქეთათო:** ხო, ხო... ბოლოს და ბოლოს, გამაგებინე, ლოგოლ ჩნდება ეს ბავშვი?

**დედა:** აფთიაქში იყიდება სპეციალური წამალი. დალევ ამ წამალს და ბავშვიც გაგიჩნდება. და რამდენ ტაბლეტსაც მიიღებ - იმდენი შვილი გეყოლება. ეს არის და ეს.

**ქეთათო:** ლა ქვია ამ წამალს?

**დედა:** რა ქვია წამალს?.. *(კვლავ მამას გადახედავს)* რა ქვია და... აპექსინი.

**მამა:** *(თავისთვის, უკმაყოფილოდ)* ფუი!

**ქეთათო:** ეს სიცლუეა! ეზოში სხვანაილად მომიყვეს.

**დედა:** რა მოგიყვეს ეზოში?.. უფრო სწორად, ვინ მოგიყვა?..

**ქეთათო:** ვიღაც კაცი იდგა და კვებოდა... მაგლამ მე ველაფელს მივხვდი. ამიტომაც დამაინტელესა ამ საკითხმა. შენ კი იმის მაგივლად, რომ სიმალთლე მითხლა, ლალაც ზღაპლებს მიყვები... გეგონება პატალა ვიყო!

**დედა:** *(გაბრაზდება)* ლოცვაა საჭირო! ილოცებ და ღმერთი ბავშვს ციდან გადმოგიგდებს. მორჩა და გათავდა! *(ძირს ჩამოსვამს)* აღარ მოვიდა შენი ძილის დრო?

**ქეთათო:** *(ფეხებს დააბაკუნებს)* სანამ ალ მეტყვით, ლოგოლ ჩნდება ბავშვი, ალ დავიძინებ!.. ალა!

**დედა:** ქეთათო!..

**ქეთათო:** ამიხსენით!.. განმიმალტეთ!.. საჭილოა თუ ალა ბავშვის გაჩენისათვის ქალი? თუ ალ ალი საჭილო! იქნებ ოლი ქალია საჭილო? ან სამი! ლოგოლ მონაწილეობს ამ პლოცესში მამაკაცი! და, საელთოდ, მონაწილეობს კი?! მე ალაფელი ალ ვიცი! მე ჭულში ვზივალ! *(აალოლდება მამამისს, წაართმევს გაზეთს, თავზე გადაახევს, თან კივის)* ბავშვის გაჩენა! ბავშვის გაჩენა! მე მაინტელესებს ეს საკითხი!

**დედა:** *(ცდილობს ქეთათოს ხელში აყვანას - ბავშვი უძალიანდება)* რა დაგემართა ამისთანა! რა ეშმაკი შეგიჩნდა, დედა!

**ქეთათო:** *(მამას ულვაშებზე ეჭიდება)* მამა!.. ბავშვი ლოგოლ ჩნდება... ლოგოლ!

*მამას სიმწრის ოფლი დაასხამს; სულ ცოტა და, მოთმინების ფიალა აევსება.*

**ქეთათო:** *(მამამისს თავზე აახოხდება - დედასთან ხელჩართული ბრძოლა აქვს გაჩაღებული)* მე წალმოდგენა ალა მაქვს, ლატომ აჩენს ქალი ბავშვს და ლა შუაშია აქ მამაკაცი!.. ლატომ და ლოგოლ ხდება ეს ყველაფელი!

**მამა:** *(სახეზე გამწვანდება, ანუ აევსება მოთმინების ფიალა)*

... როგორ და, მიაჯდება კაცი ქალს, ან ქალი კაცს და...

**დედა:** *(გაოგნებული შეჰყურებს მამას)* რა სისულელეს ამბობ, დევი! შენ ხომ არ გადარეულხარ! *(ქეთათოს)* მოდი, დედიკო, აქ...

**მამა:** *(აგრესიულად)* ... რო გადაიფარჩხება ქალი - კაცი ზედ უნდა დააწვეს!

**დედა:** *(ისტერიულად)* გაჩუმდი, დევი! ქეთათო, დახუჭე... ყურები!

**ქეთათო:** *(რომელიც მამამისის თავზეა მოკალათებული - დედამისივით ისტერიულად)* ალ შეიძლება, ლომ ცივილიზილებული სიტკვებით მელაპალაკო?

**მამა:** სპერმატოზოიდი ანაყოფიერებს კვერცხუჯრედს! მოგწონს ეგრე?.. *(ბღავილით)* თუ არ მოგწონს!

*ქეთათო ტირილს იწყებს; დედამისი მას ხელში აიყვანს.*

**დედა:** *(დევის)* შე კრეტინო, შენა!.. გადარეულო!.. გააგიჟა ბავშვი!.. გამოიყვანა წყობიდან. *(ქეთათოს)* დამშვიდდი, დედა.

**მამა:** ... ახლა რაც შეეხება პოზებს.

**დედა:** ტყუილია ეგ ყველაფერი! ტყუილი!.. არ არი ეგრე!

**მამა:** ეგრეა!.. კაცი უნდა მიაჯდეს ქალს!.. ან ქალი უნდა მოთავსდეს ზედ! *(დედას)* შენ რო არ გახსოვს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეგრე არ არი!..

**დედა:** მატყუარა შენა!.. დეგენერატო!

**ქეთათო:** *(ტირილით)* ლა დავაშავე ასეთი... ლა! ველაფელი ველ გავიგე...

**მამა:** როგორ თუ ვერ გაიგე!.. კაცი ბუქნის ქალს - ქალი ზმუის...

**ქეთათო:** *(ყურებზე ხელებს აიფარებს; ქვითინით)* გავიგე, გავიგე!.. აღალ მინდა!

**დედა:** წამოდი, დედიკო, წამოდი... რა საერთო გვაქვს ჩვენ ამ ტყუილების გუდასთან!.. დეგენერატი ესა! *(გადიან)*

**მამა:** *(მარტოა ოთახში)* ... ქალი და კაცია საჭირო!.. კაცი და ქალი! სხვა და სხვა სქესის!.. ორი... ან მეტი!.. მაგრამ სხვა და სხვა!.. კაცი და ქალი!.. *(ტირის)*

*ფარდა*





ლევან კიკალიშვილის ნახატები




## TV პროგრამა 27 ივნისი

### რუსთავი - 2

- 07.00 მუსიკა
- 07.30 ფიფქია
- 08.00 კურიერი
- 08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
- 09.50 კომუნიკატორი
- 10.40 ბრენდაიზერი
- 11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
- 12.00, 15.00 კურიერი
- 12.15 მულტსერიალი
- 13.30 მხ. ფილმი
- 15.20 მხ.ფილმი
- 17.05 ლუისი და კლარკი
- 18.00, 21.00, 02.00 კურიერი
- 18.20 ბრენდაიზერი
- 18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
- 19.15 მოგზაურობის ასი წელი
- 19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
- 22.00 კომუნიკატორი
- 22.50 კურიერი
- 00.05 მხ.ფ. "ღმერთო დალოცე ბავშვები". მთ. როლებში: კიმ ბესინჯერი, ჯიმი სმიტსი

### პირველი არხი

- 07.30 ალიონი
- 09.45 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი"
- 10.10 სერიალი "ძილის წინ"
- 10.30 "მსოფლიოს ველური ბუნება"
- 11.25 "მეტრო"
- 12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე
- 12.15 მიამბეთ თქვენზე
- 13.00 "ნაშუადღევს"
- 14.05 სერიალი "გოგონები ქარში"
- 14.35 ცეკვავს "ვარაზი"
- 15.15 მხ. ფილმი "სიცოცხლე - სქესობრივი გზით გადამდები უკურნებელი სენი"
- 17.00 "ჯანმრთელობა"
- 17.20 ჰოლივუდის ვარსკვლავები
- 17.50 "რამპა"
- 18.00 "ვესტნიკი"
- 18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
- 19.00 ვიდეოპატრული
- 19.10 "ისტორიანი"
- 19.40 ბასტი ბუბუ
- 20.55 ვაზი - სახელმწიფო
- 21.40 "თბილისის დროით"
- 22.00 საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი თურქეთში
- 23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
- 23.55 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
- 00.15 მხ.ფ. "ღამის ქალები"

### მეორე არხი

- 19.00 იყო და არა იყო რა
- 19.30 მხ. ფილმი "უკანასკნელი მოჰიკანი"
- 21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
- 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
- 22.10 მხ. ფილმი "პატრიოტთა თამაში"

### ევრიკა

- 10.00, 12.00, 15.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
- 10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
- 10.45 მსოფლიო სპორტი
- 11.45 მუსიკალური კოლაჟი
- 12.25, 21.30 სალონი
- 14.00 ექიმი გვირჩევს
- 15.20 კომპიუტერის შემსწავლელი კურსები
- 18.30 რუსული ენის ტელეგაკვეთილი
- 19.00 ინგლისური ენის ტელეგაკვეთილი
- 19.30 "იდენ ტვ"
- 20.00 მსოფლიო სპორტი
- 23.00 ოაზისი
- 00.15 მხ.ფ. "შემართება"

### იბერია

- მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
- 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი
- 08.15, 20.15 ალსავალი
- 08.20, 09.55, 12.10, 20.20, 22.00, 00.15 მუსიკა
- 08.25 მხ.ფ. "შინაგანი პრობლემები"
- 10.05 მხ.ფ. "კაპიტან კორელის არჩევანი"
- 20.25 მხ.ფ. "სუპერჯაშუში"
- 22.10 მხ.ფ. "დაპირება"

### პირველი სტერეო

- 07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
- 08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
- 11.00 "ოცეულები" განმეორებით
- 12.30 "მო" განმეორებით
- 14.30 მხ.ფილმი
- 16.10 მუსიკა
- 17.35 "სწ.მედია" მხ.ფ. "ფრანგული კოცნა"
- 19.00 მუსიკა
- 20.00 ჩაძირობანა
- 22.00 ევრო-ქართული ათეული
- 23.00 "სოლო"
- 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ყასაბის ცოლი". მთ. როლში დემი მური
- 01.45 "ღამურა" მხ.ფ. "უფსკრული". მთ. როლებში ედ ხარისი, მერი ელიზაბეტ მასტრანტონიო
- 03.35 ნონ-სტოპი

### კავკასია

- 12.00 მხ.ფ "არასოდეს თქვა: არასოდეს"
- 14.10 მხ.ფ "უკეთესი არ არსებობს"
- 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
- 17.15 მხ.ფ. "ტაქსი"
- 19.20 სპექტრი
- 21.00 დოკ. ფილმი
- 21.50 მხ. ფილმი "შეხედულება მკვლელობაზე"

### მეცხრე არხი

- 09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
- 09.20 მულტფილმი "ალექსი" მე-16 სერია
- 09.45 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-16 სერია
- 10.15 დოკ. სერიალი "ჩემი ქვეყანა" - "სიონის სამრევლო სკოლა"
- 10.30 მხ. ფილმი "ლომის წილი"
- 12.15, 14.15, 17.20, 18.45, 20.20, 21.10, 23.50, 00.20 მუსიკა
- 12.30, 19.00 დისქავერი
- 14.45 მთავარი თემა
- 15.30 მხ. ფილმი "დედალი ჭრელა"
- 17.45 მულტფილმი "ალექსი" მე-17 სერია
- 18.15 მხ.სერიალი "ჰორასი და თინა" მე-17 სერია
- 19.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში"
- 21.30 მთავარი თემა
- 22.15 მხ. ფილმი "მეოთხე ანგელოსი" მთ. როლებში ჯერემი აირონსი, ფორესტ უიტეკერი
- 00.40 მხ.ფილმი "სისხლის ტახტი" მთ.როლებში ტოშირო მიფუნე, ირეზე იამადა

### აჭარის ტელევიზია

- 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
- 09.40 "მსოფლიო თასი-2002"
- 09.40 კომედია "ბოთეები"
- 10.40 ქართული ფილმი "თვალი პატიოსანი"
- 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
- 12.15 საბავშვო კომედია "სათამაშო"
- 13.45 ფსიქოლოგიური თრილერი "თამაში"
- 16.15 მულტსერიალი
- 17.30 მხატვრული ფილმი "ჭორი"
- 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
- 19.30 " Пресс-папье"
- 19.40 მსოფლიო კინოს კლასიკოსები "მათეს სახარება"
- 22.50, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
- 23.00, 01.10 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
- 23.10 "მსოფლიო თასი-2002"
- 23.20 დოკუმენტური ფილმი
- 01.15 თრილერი "ნათლიმამას განაჩენი"
- 03.30 სათავგადასავლო ფილმი "მექსიკელი"

### VII არხი

- 09.00 ანონსი
- 09.05 მოკლედ.... საინფორმაციო გამოშვება
- 09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
- 09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
- 09.45 "აჩიკუდა"
- 10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
- 10.25 მოკლედ... სპორტი
- 10.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" (განმეორებით)
- 10.40 მუსიკალური ბიორითმი
- 11.00 მულტსერიალი
- 11.20 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
- 11.25 მუსიკალური ტაიმაუტი
- 11.45 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
- 12.05 დისნეი და მისი მეგობრები
- 12.25 "სახლიდან გაუსვლელად"
- 12.45 სპორტი
- 13.00 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
- 18.10 პრესა
- 18.25 სპორტული ინფორმაცია
- 18.35 "სახლიდან გაუსვლელად"
- 18.50 მუსიკალური ტაიმაუტი
- 18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
- 19.00 "აჩიკუდა"
- 19.30 მოკლედ... საინფორმაციო გამოშვება
- 19.40 "პაემანი"
- 20.30 მუსიკალური ტაიმაუტი
- 20.40 სპორტული პროგრამა
- 21.05 მუსიკალური ობიექტივი
- 21.30 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
- 21.40 მოკლედ... სპორტი
- 21.45 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
- 22.00 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "გადატრიალება" .
- 23.55 პრესის მიმოხილვა
- 00.10 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
- 00.30 მოკლედ... საინფორმაციო გამოშვება
- 00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
- 00.55 მუსიკალური ბიორითმი
- 01.15 მხ.ფ. ჟანრებში: - "ქორწილის მომღერალი"
- 02.50 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

- 07.00 "Доброе утро".
- 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
- 10.15, 19.20 Сериал "семейные узы"
- 11.10 х.ф. "МЕНЯЛЫ"
- 13.20 Дисней-клуб.
- 13.40 Программа "Объектив"
- 13.55 х.ф. "ОБЪЯВЛЕННОЕ УБИЙСТВО" Часть 3-я
- 15.00 "Народ против". Телеигра.
- 16.20 Док. фильм "Дикие штучки"
- 16.55 х.ф."СТРАЖА АПОКАЛИПСИСА"
- 18.00 Большая стирка
- 20.15 х.ф. "МОЙ ЛЮБИМЫЙ МАРСИАНИН"
- 22.00 Время.
- 22.35 "Русская рулетка"
- 23.25 Человек и закон
- 00.00 "Секретные материалы"
- 01.00 Ночное "Время"
- 01.30 Дневник Московского кинофестиваля
- 01.40 "16-й отдел".
- 02.35 "ФИРМЕННЫЙ РЕЦЕПТ".

### РТР

- 06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20, 21.35, 00.20 Вести-Москва
- 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.30, 21.00 Вести.
- 07.10 "Православный календарь".
- 07.15, 08.30 Семейные новости
- 07.25, 09.10 Дежурная часть
- 07.30, 19.10 Афиша
- 07.40, 23.45 Дорожный патруль
- 08.10 Экспертиза РТР
- 08.20 Национальный доход
- 08.25 Вести-спорт
- 08.40 "Пролог" часть 1-я.
- 09.15 Открытая таможня
- 09.40 "Пролог" часть 2-я.
- 10.10 Вокруг света.
- 11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
- 12.20 х.ф. "БУДЬТЕ МОИМ МУЖЕМ"
- 14.00 Мульфильмы.
- 14.30 Сериал "СИБИЛЛ".
- 15.20 Сериал "дикий ангел"
- 16.20 "ТАЙНА ЛИЧНОСТИ БОРНА"
- 17.25 Сериал "ДРУЗЬЯ-4"
- 18.20 Док. Фильм "Союз бывших"
- 19.50 Сериал "комиссар рекс"
- 20.50 Спокойной ночи, малыши!
- 21.55 "АГЕНТСТВО НЛС"
- 22.55 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, ПРИКЛЮЧЕНИЕ С ДЕШЕВОЙ КВАРТИРОЙ ".
- 00.00 Вести - Подробности
- 00.30 х.ф. "ТРАФФИК"

### НТВ

- 07.05 Утро на НТВ
- 09.50 х.ф. "ПОЛИЦЕЙСКИЕ. БЛУДНЫЙ СЫН"
- 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00, 01.00 Сегодня.
- 11.25 Чистосердечная признание
- 11.55 Шоу Елены Степаненко.
- 12.45 Вкусные истории
- 13.20, 16.40, 19.40 Криминал
- 13. 35 х.ф. "ШЕРЛОК ХОЛМС И ДОКТОР ВАТСОН", "СМЕРТЕЛЬНАЯ СХВАТКА"
- 15.05 Ток-шоу "Принцип "Домино"
- 17.30, 21.45 х.ф. "СЛЕД ОБОРОТНЯ"
- 18.40 Сериал "ГРЯЗНАЯ РАБОТА"
- 20.30, 01.15 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
- 23.35 Герой дня.
- 23.55 Совершенно секретно.
- 02.15 "О, Счастливчик!". Игра.

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 32 23 71
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში